

თამარ ავალიანი

# ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებები

*ედვინა ჩემს დეიდას - ხათუნა შავლაძეს*

თბილისი

2022



ავტორი: თამარ ავალიანი

რედაქტორი: ანა ფირცხალაშვილი

რეცენზენტი: ნანა ჭილაძე

წარმოდგენილი კვლევა მომზადებულია საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს მხარდაჭერით, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში.

Research have been prepared with the support of Georgian National University SEU, in the framework of scientific grant project for the academic staff.

უნივერსიტეტის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს. სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

Universitat's position may not coincide with that of authors. Authors are responsible for the facts and data in the article.



დანიავდა შპს „ფორმა“-ში  
[www.forma.ge](http://www.forma.ge)

ISBN 978-9941-8-3249-9

---

---

## წინასიტყვაობა

საქართველოს კონსტიტუცია იზიარებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს, რომელთა საფუძველზეც ყველას აქვს უფლება, თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითაროს თავისი კულტურა, ისარგებლოს მშობლიური ენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მიხედვით გარანტირებულია ყველა ადამიანის სამართლის წინაშე თანასწორობა და აკრძალულია დისკრიმინაცია.

უმცირესობათა უფლებების კონსტიტუციურ რანგში აყვანა ნიშნავს მისდამი განსაკუთრებულ პატივისცემას, არამხოლოდ სახელმწიფოს, არამედ მთელი საზოგადოების და მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ. აღნიშნული უნდა გამოიხატებოდეს პოლიტიკურ, საგანმანათლებლო და კულტურულ კონტექსტში. სახელმწიფოსა და საზოგადოებისათვის უმცირესობის უფლებათა დაცვა და მათი გარანტირება ნიშნავს არა მხოლოდ მრავალფეროვნების გარანტიებს და ინდივიდების დაცვას, არამედ ის იმავდროულად სტაბილურ, მშვიდობიან და უსაფრთხო თანაცხოვრებას უზრუნველყოფს.

თამარ ავალიანის მიერ განხორციელებული კვლევა, სწორედ უმცირესობათა უფლებების მრავალმხრივობიდან გამომდინარე ემსახურება არამხოლოდ აკადემიურ და სამეცნიერო მიზნებს, არამედ ახალგაზრდა თაობის, სტუდენტების ცნობიერების ამაღლებას. მათ მოქალაქეობრივ თვითშეგნებას. მეორეს მხრივ კი გამოხატავს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს პასუხისმგებლობას, სწავლებითა და კვლევით მხარი დაუჭიროს საზოგადოებაში ტოლერანტობის განვითარებას და მუდმივად იყოს ჩართული მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პროცესებში.

დარწმუნებული ვარ, წინამდებარე პუბლიკაცია დაიმსახურებს მკითხველის მოწონებას. იგი ასევე შესაძლოა გამოყენებული იქნეს როგორც დამატებითი სასწავლო მასალა ადამიანის უფლებათა სხვადასხვა სასწავლო კურსის სწავლების პროცესში. ნაშრომი ასევე საინტერესოა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებით დაინტერესებული პირებისათვის, მკვლევარებისთვის და სტუდენტებისთვის.

ანა ფირცხალაშვილი

სამართლის დოქტორი, პროფესორი,

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს  
ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით

---

---

სარჩევი

შესავალი .....	6
I. უმცირესობის ცნება.....	7
1.1. უმცირესობის განმარტება.....	7
1.2. ურთიერთმიმართება ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს შორის.....	14
1.3. უმცირესობები და მოქალაქეობის კრიტერიუმი.....	16
1.4. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა და უმცირესობები .....	17
II. უმცირესობის უფლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი საერთაშორისო - სამართლებრივი ინსტრუმენტები.....	19
III. ევროკავშირი და უმცირესობები .....	26
IV. უეთო და უმცირესობები.....	29
V. უმცირესობების სპეციალური უფლებები .....	31
5.1. ეროვნული კულტურის და იდენტობის დაცვისა და შენარჩუნების უფლება .....	31
5.2. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება .....	41
5.3. განათლების უფლება .....	54
5.4. ლინგვისტური უფლებები .....	63
5.5. გაერთიანების თავისუფლება .....	72
5.6. გამომხატვის თავისუფლება და მედიის ხელმისაწვდომობა .....	78
5.7. რელიგიის თავისუფლება.....	82
5.8. უმცირესობების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები.....	90
VI. რასიალიზაცია და მისი ფორმები .....	95
6.1. „რასიალიზაციის“ და „რასობრივი გამორჩევის“ კონცეფტები.....	95
6.2. სეგრეგაცია.....	96
6.3. მითითება დისკრიმინაციაზე (instructions to discriminate).....	98
6.4. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული.....	99
6.5. სიძულვილის ენა .....	107
6.6. სიძულვილის ენა და საქართველოს კანონმდებლობა.....	113
VII. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების მომწესრიგებელი პრობლემური დებულებები საქართველოს კონსტიტუციაში .....	116
7.1 საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის სტანდარტი.....	116

---

---

7.2. საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილი და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან .....	118
7.3. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან .....	120
VIII. უმცირესობების უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები.....	125
8.1. ევროპის საბჭოს მექანიზმები .....	125
8.2. გაეროს სახელმწიკრულებო ორგანოები.....	128
8.3. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR) .....	130
8.4. უმცირესობის უფლებებზე სპეციალური მომხსენებელი .....	131
8.5. ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისარი .....	131
IX. უმცირესობების უფლებების შიდასახელმწიფოებრივი დაცვის მექანიზმები .....	133
9.1. სახალხო დამცველის მექანიზმი.....	133
9.2. საერთო სასამართლოების მექანიზმი .....	135
9.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო.....	135

---

---

„მსოფლიოს ყველა რეგიონში უმცირესობები კვლავაც აწყდებიან სერიოზულ საფრთხეებს, დისკრიმინაციას, და რასიზმს, ხშირად, მათ ერთმევათ შესაძლებლობა სრულფასოვანი მონაწილეობა მიიღონ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, რაც სრულად ხელმისაწვდომია იმ ქვეყნების ან საზოგადოების უმრავლესობისათვის, სადაც ისინი ცხოვრობენ“

**ნავანეთემ ფილეი,**

**გაეროს ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისარი**

## **შესავალი**

ეთნიკური უმცირესობების უფლებების მომწერიგებელი ნორმები არაერთ საერთაშორისო-სამართლებრივ აქტშია განფენილი. როგორც უნივერსალური, ისე რეგიონალური საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტები განსაზღვრავენ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის აუცილებლობას და მის ღირებულებით მასშტაბს, თანასწორი, სოლიდარული და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობისთვის. უმცირესობათა უფლებების დაცვის სამართალში ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა ისეთ ფუძემდებლურ პრინციპებს ეფუძნება, როგორიცაა: უმცირესობების იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის პირობების შექმნა; ადამიანის უფლებებით თანასწორად სარგებლობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეფექტიანი მონაწილეობის შესაძლებლობა<sup>1</sup>. შესაბამისად, სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, თანასწორად და არადისკრიმინაციულად მოეპყრას უმცირესობებს და გაატაროს სათანადო ზომები მულტიკულტურტული გარემოს შექმნის მიმართულებით.

წინამდებარე კვლევის მიზანია საზოგადოებას, პროფესიულ და აკადემიურ წრეებს, სტუდენტებს და საკითხით დაინტერესებულ ადამიანებს მიაწოდოს ინფორმაცია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დაცვის საერთაშორისო და ადგილობრივ სტანდარტებთან დაკავშირებით. წიგნში წარმოდგენილი ინფორმაცია დაეხმარება დაინტერესებულ პირებს გაიღრმავონ ცოდნა ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებებების დაცვის სტანდარტებთან დაკავშირებით და გამოიყენონ იგი უფლებადაცვით საქმიანობაში.

---

<sup>1</sup> Minority Rights, International Standards and Guidance for Implementation, OHCHR, 2010, 7-12.

---

## I. უმცირესობის ცნება

უმცირესობის კონცეფტის ნაწილში გაანალიზებულ იქნება უმცირესობის დეფინიასთან დაკავშირებული საკითხები, ურთიერთმიმართება ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობებს შორის, უმცირესობისა და მოქალაქეობის კრიტერიუმში, ასევე, ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მიმართება უმცირესობებთან.

### 1.1. უმცირესობის განმარტება

არც ერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი სამართლებრივი ინსტრუმენტი „უმცირესობის“ განმარტებას არ ითვალისწინებს. სამართლებრივ დონეზე არ არის განმარტებული თუ რა კატეგორიის ჯგუფები განეკუთვნებიან უმცირესობებს. არც საერთაშორისო და არც შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არ არსებობს ნორმატიულ დონეზე საყოველთაოდ აღიარებული უმცირესობის იურიდიულად სავალდებულო დეფინიცია. გაეროს 1992 წლის დეკლარაციის პირველი მუხლი უმცირესობად მიიჩნევს ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ და ლინგვისტურ უმცირესობებს, თუმცა „უმცირესობის“ განმარტებას არ ახდენს<sup>2</sup>. გაეროს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი განმარტავს, რომ „იმ ქვეყანაში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და აღასრულონ თავიანთი რელიგია, ან გამოიყენონ მათი მშობლიური ენა“<sup>3</sup>. საერთაშორისო პაქტი არ განმარტავს ვინ განეკუთვნებიან უმცირესობებს. „უმცირესობების“ დეფინიციას არ ახდენს არც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი პაქტის 27-ე მუხლთან დაკავშირებულ კომენტარში<sup>4</sup>. „უმცირესობების“ განმარტებას არ ახდენს ევროსაბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“, რომელიც ეროვნული უმცირესობების მომწერიგებელი სპეციალური საერთაშორისო-სამართლებრივი აქტია<sup>5</sup>. უმცირესობების განმარტებას არარსებობას თავისი განმაპირობებელი რამდენიმე მიზეზი გააჩნია. ჩარჩო კონვენციაში განმარტების არარსებობის მიზეზად მიჩნეულია ის, რომ ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფოები ვერ შეთახმდნენ უმცირესობის დეფინიციაზე, რომლის განსასაზღვრად სხვადასხვა სტანდარტს და კრიტერიუმს აწესებენ<sup>6</sup>. ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის უმცირესობის დეფინიციაზე საერთოევროპული კონსენსუსის არარსებობა

---

<sup>2</sup> Article 1, Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities, General Assembly resolution 47/135, 18.12.1992.

<sup>3</sup> გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.

<sup>4</sup> CCPR General Comment No. 23: Article 27 (Rights of Minorities);

<sup>5</sup> ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია „ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ“; 1.02.1995.

<sup>6</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 10.

---

განპირობებულია იმით, რომ ყოველ საზოგადოებაში უმცირესობებს სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური ნიშან-თვისებები ახასიათებთ, რაც ართულებს უმცირესობის ცნების ყველასთვის მისაღები განმარტების შემუშავებას<sup>7</sup>.

უმცირესობის ფართოდ მისაღები განმარტების სირთულე მდგომარეობს იმ სიტუაციურ მრავალფეროვნებაშიც, სადაც უმცირესობები ცხოვრობენ. ზოგიერთი ჯგუფი ერთად ცხოვრობს, დომინანტური მოსახლეობისგან განცალკევებით, ზოგიერთი ჯგუფი გაბნეულია ქვეყნის მასშტაბით, ზოგიერთ უმცირესობას აქვს ძლიერი კოლექტიური იდენტობის განცდა და ისტორიული მონაცემები, ზოგიერთებს კი საერთო მემკვიდრეობის ფრაგმენტული აღქმა აქვთ<sup>8</sup>. უმცირესობის განმარტებისას, ობიექტურ ნიშნებთან ერთად, სუბიექტური ნიშნებიც უნდა იქნას გათვალისწინებული. უმცირესობის ერთიანი განმარტების არარსებობის პირობებში, უმცირესობების განმსაზღვრელ ძირითად ნიშნად ამა თუ იმ ჯგუფისადმი ინდივიდის თვითმიკუთვნებადობა უნდა იყოს მიჩნეული<sup>9</sup>. ინდივიდს აქვს უფლება, მიაკუთვნოს ან არ მიაკუთვნოს საკუთარი თავი ამა თუ იმ უმცირესობის ჯგუფს. უმცირესობის ცნების სუბიექტური მახასიათებელი განმსაზღვრელია ამა თუ იმ ჯგუფის უმცირესობად მიჩნევისთვის. უმცირესობის ცნების სუბიექტური ნიშანი მდგომარეობს მის არჩევანში, მოექცნენ თუ არა მას, როგორც უმცირესობას<sup>10</sup>.

ეროვნული უმცირესობების ცნების არანორმატიული განმარტების შეიმუშავა ევროსაბჭოს ვენეციის კომისიამ. კომისიის განმარტებით, ეროვნული უმცირესობა არის „ადამიანთა ჯგუფი, რომელთა საერთო რაოდენობა არის იმაზე ნაკლები, ვიდრე ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა და რომელთა წევრები არიან განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური იდენტობის მატარებელი, ვიდრე დომინანტი მოსახლეობა და რომლებსაც აქვთ სურვილი, დაიცვან საკუთარი კულტურა, ტრადიციები, რელიგია და ენა“<sup>11</sup>. ეროვნული უმცირესობის განმარტებისთვის, ვენეციის კომისია განმსაზღვრელ ფაქტორებად მიიჩნევს უმცირესობის შეფასების სუბიექტური და ობიექტური ნიშნებს, რომლებიც უმცირესობის კონცეფციის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია<sup>12</sup>.

---

<sup>7</sup> იქვე, 10

<sup>8</sup> Minority Rights, International Standards and Guidance for Implementation, OHCHR, 2010, 2.

<sup>9</sup> CCPR General Comment No. 23: Article 27 (Rights of Minorities);

<sup>10</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 10.

<sup>11</sup> European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on non-citizens and minority rights, 69th Plenary Session, 2006, 20. ასევე, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 10.

<sup>12</sup> European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Report on non-citizens and minority rights, 69th Plenary Session, 2006, 10.



---

„უმცირესობის“ ტერმინის განმარტების მცდელობა ჰქონდა საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედ სასამართლოს საბერძნეთ-ბულგარეთის საქმეზე, რომელიც უმცირესობათა ჯგუფების ემიგრირებას ეხებოდა. სასამართლოს განმარტებით „უმცირესობა წარმოადგენდა ადამიანთა ჯგუფს, რომლებიც კონკრეტულ ქვეყანაში ან/და ლოკაციაზე ცხოვრობდნენ, რომელთაც აქვთ საკუთარი რასა, რელიგია, ენა და ტრადიციები და გაერთიანებულნი არიან ამ ნიშნებით, რომლებიც გამოხატავენ სოლიდარობის გრძნობას საკუთარი ტრადიციების შენარჩუნების მიზნით, გააჩნიათ საკულტო ფორმები და უზრუნველყოფენ საკუთარი შვილების აღზრდას საკუთარი იდენტობის შესაბამისად და ერთმანეთის დახმარებით“<sup>13</sup>. საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი სასამართლოს დეფინიცია შეიცავდა „უმცირესობის“ განმსაზღვრელ როგორც ობიექტურ (უმრავლესობისგან განსხვავებული რასა, რელიგია, ენა და ტრადიციები), ისე სუბიექტურ ნიშნებს (სოლიდარობის გრძნობა და ტრადიციებს შენარჩუნების სურვილი). სასამართლოს განმარტება არ შეიცავდა რიცხობრივ მახასიათებელს (რიცხობრივად ნაკლებობას) და კონკრეტულ ქვეყანაში ან რეგიონში უმცირესობის მდგომარეობას დომინანტური თუ არადომინანტური კუთხით<sup>14</sup>. ამ განმარტებით, სასამართლო უმცირესობის სავალდებულო კრიტერიუმად არ მიიჩნევდა მოქალაქეობას და ძირითადი აქცენტს ადგილმდებარეობის კრიტერიუმზე აკეთებდა.

უმცირესობების სახელმძღვანელო და ყველაზე ავტორიტეტული განმარტება ეკუთვნის დისკრიმინაციის პრევენციისა და უმცირესობების დაცვის ქვეკომიტეტის გაეროს სპეციალურ მომხსენებელს ფრანცისკო კაპოტორტის, რომელმაც უმცირესობები განმარტა „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლის საფუძველზე. კაპოტორტის განმარტებით „ეროვნული უმცირესობა არის ჯგუფი, რომელიც რიცხობრივად ჩამორჩება ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას და არის არადომინანტურ პოზიციაში, რომლის წევრებიც ფლობენ ეთნიკურ, რელიგიურ ან ლინგვისტურ მახასიათებლებს, რაც განსხვავდება დომინანტური მოსახლეობისგან და რომლებიც ინარჩუნებენ სოლიდარობის გრძნობას მათ კულტურასთან, ტრადიციებთან, რელიგიასა და ენასთან მიმართებაში“<sup>15</sup>. კაპოტორტიმ ეროვნული უმცირესობის დეფინიციისას ნათლად გამოყო უმცირესობის მაკვალიფიცირებული ობიექტური და სუბიექტური ნიშნები და ხაზი გაუსვა იმ საკითხს, რომ თითოეულ ადამიანს აქვს უფლება, თავი მიაკუთვნოს ან არ მიაკუთვნოს ამა თუ იმ უმცირესობას. კაპოტორტის

---

<sup>13</sup> Hannum, H., *Universal Minority Rights: A Commentary on the Jurisprudence of International Courts and Treaty Bodies*, Edited By: Marc Weller, *Oxford Public International Law*, 2007, 56.

<sup>14</sup> Savitri, K., Minorities -The Problem of definition, 2-3, <  
[https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp\\_content/human\\_rights\\_and\\_duties/09\\_human\\_rights\\_of\\_minorities/01\\_minorities-the\\_problem\\_of\\_definition/et/7964\\_et\\_01.pdf](https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp_content/human_rights_and_duties/09_human_rights_of_minorities/01_minorities-the_problem_of_definition/et/7964_et_01.pdf)> [ნახვის თარიღი: 17.11.2021]

<sup>15</sup> Capotorti, F., Study on the Rights of Persons Belonging to Ethnic, Religious and Linguistic Minorities, UN, New York, 1979, 1-7.

---

განმარტებით, უმცირესობად თვითიდენტიფიკაცია პირის პირადი არჩევანის საკითხია და დაუშვებელია მისი თავსმოხვევა. კაპოტორტის მიერ შემუშავებული განმარტების უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ უმცირესობის ერთ-ერთ მაკვალფიცირებელ ნიშნად მან უმცირესობის „არადომინანტური პოზიცია“ განსაზღვრა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ „რიცხოვნობა“ ყოველთვის არ არის უმცირესობის განსაზღვრისთვის საკმარისი კრიტერიუმი. მაგალითად, ფერადკანიანი მოსახლეობა აპარტეიდის რეჟიმის დროს შეადგენდნენ რიცხოვრივ უმრავლესობას, თუმცა, იყვნენ არადომინანტურ პოზიციაში და რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლებს წარმოადგენდნენ.

„არადომინანტური მდგომარეობა“ განიხილება უმცირესობებისთვის სრული შესაძლებლობის არქონად, შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურული, რელიგიური თუ ენობრივი ნიშნები საზოგადოებრივ ცხოვრებაში<sup>16</sup>.

კაპოტორტის ფორმულირებით, უმცირესობის ძალაუფლების ნაკლებობა განპირობებულია ორი ფაქტორით: მცირერიცხოვნობით და არადომინანტური მდგომარეობით<sup>17</sup>. გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „რიცხოვრივი სიმცირე და დომინანტური პოზიციის არარსებობა, უნდა შეფასდეს მთლიანი მოსახლეობის ჭრილში და არა მხოლოდ კონკრეტულ რეგიონში, სადაც შესაძლოა უმცირესობას ჰქონდეს რიცხოვრივი უპირატესობა ან გაბატონებული მდგომარეობა.“<sup>18</sup>

„სოლიდარობის გამოსატული გრძნობა, რომელიც მიმართულია საკუთარი კულტურის, ენის, ტრადიციების და რელიგიის თვითმყოფადობის შენარჩუნებისკენ“ თვითიდენტიფიკაციის კრიტერიუმს უკავშირდება. სოლიდარობის გრძნობა ვლინდება უმცირესობის მახასიათებლების შენარჩუნებასა და საკუთარი კულტურული იდენტობის განვითარებაში<sup>19</sup>.

უმცირესობის კაპოტორტისეული განმარტების შედარებით მსგავსი დეფინიცია განავითარა ჟულეს დემენსმა - გაეროს ქვეკომისიის წევრმა, უმცირესობების 1985 წლის დეკლარაციის ტექსტზე მუშაობისას. მან უმცირესობა განმარტა, როგორც „ქვეყნის მოქალაქეთა ჯგუფი, რომელიც რიცხოვრივად ჩამორჩება დანარჩენ მოსახლეობას და არის არადომინანტურ პოზიციაში, გააჩნია საერთო ეთნიკური, რელიგიური ან ლინგვისტური მახასიათებლები, რითაც ისინი მოსახლეობის უმრავლესობისგან

---

<sup>16</sup> იქვე, 1-7.

<sup>17</sup> Jackson-Preece, J., Beyond the (Non) Definition of Minority, ECMI Brief # 30, European Centre on Minority Issues, February 2014, 5.

<sup>18</sup> ზურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., და სხვა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი, 2013, 471; ასევე, ზეკა ძამაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშეწყობის გარემოებები საქართველოში, თსუ, 2017, 107.

<sup>19</sup> Capotorti, F., Study on the Rights of Persons Belonging to Ethnic, Religious and Linguistic Minorities, UN, New York, 1979, 1-7.

---

განსხვავდებიან, აქვთ ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის გრძობა და გააჩნიათ კოლექტიური სურვილი გადარჩენის, რომელთა მიზანია თანასწორობის მიღწევა კანონმდებლობის დონეზე და პრაქტიკაში<sup>20</sup>. დემენსი მნიშვნელობას არ ანიჭებს სოლიდარობის განცდას საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და საუბრობს სოლიდარობის გრძობაზე ერთმანეთის მიმართ<sup>21</sup>. დემენსი ძირითად აქცენტს აკეთებს უმცირესობის მიერ თანასწორობის მიღწევაზე კანონმდებლობის დონეზე და პრაქტიკაში. იგი ხაზს უსვავს გადარჩენის მნიშვნელობას და არა იდენტობის შენარჩუნების გრძობას<sup>22</sup>.

1993 წელს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დამატებით ოქმის მონახაზში (რომელიც არ იქნა მიღებული) ეროვნული უმცირესობების ისეთი განმსაზღვრელი ნიშნები ჩამოაყალიბა, როგორიცაა: კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე ბინადრობა და მოქალაქეობის ქონა; გრძელვადიანი, მყარი და ხანგრძლივი ბმა სახელმწიფოსთან; განსახვავებული ეთნიკური, კულტურული, რელიგიური ან ლინგვისტური მახასიათებლები; არიან საკმარისად წარმომადგენლობითნი, თუმცა მცირერიცხოვნები დანარჩენი მოსახლეობისგან; არიან მოტივირებულები შეინარჩუნონ მათი საერთო იდენტობა, კულტურის, ტრადიციების, რელიგიის და ენის ჩათვლით<sup>23</sup>. ევროსაბჭოს ამ განმარტებით, უმცირესობის მაკვალიფიცირებელ კრიტერიუმს წარმოადგენს სახელმწიფოს მოქალაქეობა. უმცირესობის ჯგუფს არ განეკუთვნებიან უცხოელი მიგრანტები. ეს მიდგომა იქიდანაც გამომდინარეობს, რომ მხოლოდ „ისტორიულ უმცირესობები“ (რომელთაც აქვთ ხანგრძლივი და მტიკიცე ბმა სახელმწიფოსთან) არიან ამ განმარტებით უმცირესობებად მიჩნეულნი<sup>24</sup>.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 1990 წლის #1134 რეკომენდაციით განიმარტა ეროვნული უმცირესობების ცნება. ევროსაბჭოს რეკომენდაციის მიხედვით „ეროვნული უმცირესობები წარმოადგენს კონკრეტულ ჯგუფს, რომელიც მყარად არიან დაფუძნებული სახელმწიფოში კონკრეტულ ლოკაციაზე, არიან ქვეყნის მოქალაქეები, აქვთ საერთო რელიგიური, კულტურული და ლინგვისტური მახასიათებლები, რითაც მოსახლეობის ნარაჩენი ნაწილისგან განსხვავდებიან.“<sup>25</sup>

---

<sup>20</sup> Dechènes, Jules. Proposal Concerning a Definition of the term 'Minority', submitted to UN Sub-Commission on Prevention of Discrimination and Protection of Minorities, 1985, 29.

<sup>21</sup> Savitri, K., Minorities -The Problem of definition, 6, <

[https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp\\_content/human\\_rights\\_and\\_duties/09.\\_human\\_rights\\_of\\_minorities/01.\\_minorities-the\\_problem\\_of\\_definition/et/7964\\_et\\_01.pdf](https://epgp.inflibnet.ac.in/epgpdata/uploads/epgp_content/human_rights_and_duties/09._human_rights_of_minorities/01._minorities-the_problem_of_definition/et/7964_et_01.pdf) [ნახვის თარიღი: 17.11.2021]

<sup>22</sup> იქვე, 6.

<sup>23</sup> Proposal for an additional protocol to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Parliamentary Assembly of the Council of Europe, Recommendation 1201 (1993), 44th Sess., 22nd Sitting, 1 February 1993, Art. 1.

<sup>24</sup> Venice Commission, CDL(2011)018, Strasbourg, 6 June 2011, 5.

<sup>25</sup> Recommendation 1134 -"On the Rights of Minorities." Council of Europe, 1 October 1990.

---

გაეროს მომხსენებელი აბჟონ აიღე უმცირესობას განმარტავს, როგორც ადამიანების ჯგუფს, რომლებიც სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ და რომლებიც დანარჩენ მოქალაქეთა ნახევარზე ნაკლებს წარმოადგენენ და გააჩნიათ ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური მახასიათებლები, რითაც ისინი დანარჩენი მოსახლეობისგან განსხვავდებიან<sup>26</sup>. აიღე ძირითადად ხაზს უსვამს რიცხოვნობის კრიტერიუმს და მას უმცირესობის განმსაზღვრელ კრიტერიუმად მიიჩნევს.

სხვა დეფინიციებთან შედარებით, უმცირესობის კაპოტორტისული განმარტების მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ იგი უმცირესობის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებლად მათ არადომინანტურ მდგომარეობას განიხილავს, რაც სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კომპლექსურად შესაფასებელი საკითხია.

რაც შეეხება ევროპული ქვეყნების გამოცდილებას, მაგალითად, ესტონეთი ეროვნულ უმცირესობად მიიჩნევს ესტონეთის მოქალაქეებს, რომლებიც ესტონეთის ტერიტორიაზე ბინადრობენ, ინარჩუნებენ გრძელვადიან, მტკიცე და მყარ კავშირს ესტონეთთან; აქვთ ეთნიკური ესტონელებისგან განსახვავებული ეთნიკური, კულტურული, რელიგიური ან ლინგვისტური მახასიათებლები; მოტივირებულნი არიან შეინარჩუნონ თავიანთი კულტურული ტრადიციები, რელიგია და ენა, რომელიც მათი იდენტობის საფუძველს წარმოადგენს<sup>27</sup>. ლუქსენბურგი უფრო სპეციფიურ მიდგომას ავითარებს და უმცირესობად მიიჩნევს ადამიანთან ჯგუფს, რომლებიც თაობების განმავლობაში ცხოვრობენ ლუქსენბურგის ტერიტორიაზე, რომელსაც აქვს ლუქსენბურგის მოქალაქეობა და განსმასხვავებელი ეთნიკური და ლინგვისტური ნიშნები<sup>28</sup>. ლატვია, პოლონეთი და შვეიცარია ეროვნული უმცირესობის მსგავს განმარტებას ავითარებენ და მოქალაქეობის კრიტერიუმის არსებობას სავალდებულოდ მიიჩნევენ<sup>29</sup>.

ქართული კონსტიტუციური სტანდარტი უმცირესობის განმარტებისას, უმცირესობის ცნების საერთაშორისო განმარტებას იზიარებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 31 მარტის განჩინებაში გაიზიარა უმცირესობების საერთაშორისო განმარტებები და აქცენტი უმცირესობის ობიექტურ და სიუბიექტურ მახასიათებლებზე გააკეთა. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობაზე რიცხობრივად მცირე ჯგუფი, რომელსაც არ უკავია გაბატონებული პოზიცია და რომლის

---

<sup>26</sup> *Asbjørn Eide*, Working definition on minorities, Possible ways and means of facilitating the peaceful and constructive solution of problems involving minorities, 11 August 1993, SCPDPM (45 session), par.29.

<sup>27</sup> *Minority rights in Estonia*, report of Legal Information Center for Human Rights, 2009, 14-15, <[https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CCPR/Shared%20Documents/EST/INT\\_CCPR\\_NGO\\_EST\\_99\\_8742\\_E.pdf](https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CCPR/Shared%20Documents/EST/INT_CCPR_NGO_EST_99_8742_E.pdf)>. [ნახვის თარიღი: 19.11.2021])

<sup>28</sup> *Hannum, H.*, Universal Minority Rights: A Commentary on the Jurisprudence of International Courts and Treaty Bodies, Edited By: Marc Weller, Oxford Public International Law, 2007, 65.

<sup>29</sup> იქვე, 65.

---

წევრებს ახასიათებთ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ნიშნები, რომლებიც მას სხვებისგან განასხვავებენ და გამოხატავს საკუთარი კულტურის, ტრადიციების, რელიგიის და ენის შენარჩუნებისაკენ მიმართულ სოლიდარობის გრძნობას.“<sup>30</sup>

სამეცნიერო და უფლებადაცვით წრეებში დღემდე მიდის დისკუსია, მიზანშეწონილია თუ არა „უმცირესობის“ ნორმატიულად სავალდებულო განმარტება უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის უკეთესად გარანტირების მიზნით. ბოლო წლებში განვითარებული მოსაზრებით, უმცირესობების არსებობა არის ფაქტი და არა კანონის მოწესრიგების საკითხი. შესაბამისად, არ აქვს მნიშვნელობა სახელმწიფო აღიარებს თუ არა ამა თუ იმ ჯგუფს უმცირესობად<sup>31</sup>. სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი დაახარისხოს ჯგუფების უმცირესობებად, დომინანტურ ან არადომინანტურ ჯგუფებად. უმცირესობების ნებისმიერი განმარტება უნდა მოიცავდეს ობიექტურ (საერთო ეთნიკურობა, ენა, რელიგია) და სუბიექტურ ნიშნებს (პირის უფლება მიაკუთვნოს საკუთარი თავი უმცირესობას)<sup>32</sup>. უმცირესობის განმარტების არსებობა-არარსებობა არ ახდენს რაიმე გავლენას მათი უფლებების დაცვის საკითხზე. საერთაშორისო ორგანიზაციების ინტერესმა არსებითად გადაინაცვლა იმაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს სახელმწიფოში ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვის მიზნით<sup>33</sup>. ბოლო ათწლეულის მანძილზე გავრცელდა მოსაზრება, რომ სამართლებრივად სავალდებულო ძალის მქონე განმარტება არ იქნებოდა ხელსაყრელი და მეტიც, უფრო დაასუსტებდა ეთნიკური უმცირესობების დაცვის რეჟიმს<sup>34</sup>. სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი, ჩაერიოს უმცირესობისადმი კუთვნილების განსაზღვრაში, თუკი საქმე არ გვაქვს უფლების ბოროტად გამოყენებასთან. მაგალითად, თუ პირი ცდილობს უმცირესობის წევრად გაასაღოს თავი, რათა ისარგებლოს უმცირესობისთვის გათვალისწინებული შეღავათებით. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს ეძლევა იმის უფლება გადაამოწმოს, მართლა არსებობს თუ არა უმცირესობისადმი თავის მიკუთვნების ობიექტური საფუძველი<sup>35</sup>.

ევროსაბჭოს მრჩეველთა კომიტეტი 2016 წლის მე-4 თემატურ კომენტარში აღნიშნავს, რომ ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ცოცხალი ინსტრუმენტია და მასში გარანტირებულ უფლებები დინამიურად უნდა განიმარტოს,

---

<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინება საქმეზე - იურიდიული პირები - მალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი "მიზანი-2005"-ის თავმჯდომარე - ნოდარ ცოტნიაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; პარ.4.

<sup>31</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 11.

<sup>32</sup> Minority Rights, International Standards and Guidance for Implementation, OHCHR, 2010, 8.

<sup>33</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 12.

<sup>34</sup> იქვე, 11.

<sup>35</sup> ბურდული ი., გოცირიძე ე., ერქვანია თ., და სხვა, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თბილისი, 2013, 471.

---

იმგვარად, რომ მუდამივად ტრანსფორმირებად საზოგადოებაში შეძლოს ეთნიკური უმცირესობების სათანადოდ დაცვა<sup>36</sup>. ადამიანის უფლებების დინამიურ ინტერპრეტაციას იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც კონვენციას ცოცხალ ინსტრუმენტად განიხილავს და ადამიანის უფლებებს თანამედროვე ტრანსფორმაციების შესაბამისად განმარტავს<sup>37</sup>.

აკადემიურ წრეებში მიმდინარეობს დისკუსია იმასთან დაკავშირებით, რამდენად წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ უმცირესობის ფორმალური აღიარება, მოქალაქეობის მინიჭების საკითხი, კონკრეტულ ტერიტორიაზე ცხოვრების ხანგრძლივობა ამა თუ იმ ჯგუფის უმცირესობისადმი მიკუთვნებადობის კრიტერიუმს. მრჩვეულთა კომიტეტის შეფასებით, არც ერთი ეს კრიტერიუმი არ შეიძლება სავალდებულო კრიტერიუმად განიხილებოდეს<sup>38</sup>. ამ მიდგომის საილუსტრაციოდ შესაძლებელია ბოშების მაგალითის განხილვა. ბოშები, რომლებიც გაფანტულად ცხოვრობენ სხვადასხვა რაოდენობით ქვეყნის სხვადასხვა წერტილში, ამ ელემენტების დაკმაყოფილება, რომ სავალდებულო იყოს, ისინი ვერასოდეს მოხვდებოდნენ უმცირესობის შესახებ ჩარჩო კონვენციის დაცვის სფეროში და მათზე არ გავრცელდებოდა ის უფლებები, რომელიც კონვენციით და სხვა საერთაშორისო აქტებით არის გარანტირებული<sup>39</sup>.

### *1.2. ურთიერთმიმართება ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს შორის*

არც სამეცნიერო ლიტერატურაში და არც ნორმატიულ დონეზე, ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობას შორის განსხვავებაზე სახელმძღვანელო განმარტება შემუშავებული არ არის, თუ არ ჩავთვლით ცალკეული ავტორების თეორიულ მოსაზრებებს. ამ მოსაზრებების თანახმად „ეროვნულობა“ გულისხმობს ხალხის იმ ჯგუფს, რომელსაც აქვს სამშობლო, სადაც იგი უმრავლესობას აყალიბებს. „ეთნიკურობა“ მოიცავს ხალხის იმ ჯგუფს, რომელსაც არ აქვს სამშობლო იმ სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, სადაც იგი უმცირესობას წარმოადგენს.“<sup>40</sup> ამ განმარტებით, ეთნიკურ უმცირესობებს განეკუთვნებიან მაგალითად, ბოშები, ხოლო ეროვნულ უმცირესობებს - რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ებრაელები და სხვა. ცალკეული ავტორის მოსაზრებები ეროვნული და ეთნიკური უმცირესობების გამიჯვნასთან დაკავშირებით არის თეორიული ნააზრევი, რომელიც არ გამომდინარეობს უმცირესობების უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების მიერ განვითარებული სტანდარტიდან.

---

<sup>36</sup> Thematic Commentary No. 4 The Scope of Application of the Framework Convention For the Protection of National Minorities, Advisory Committee on the Framework Convention For the Protection of National Minorities, 2016, 3.

<sup>37</sup> იქვე, 3.

<sup>38</sup> იქვე, 12-16

<sup>39</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 12

<sup>40</sup> იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., და ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 324.

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი საუბრობს ეთნიკური უმცირესობების დაცვაზე, თუმცა, არ ახსენებს ეროვნულ უმცირესობებს<sup>41</sup>. ეთნიკურ უმცირესობებზე აქვს აქცენტი გაკეთებული ფრანცისკო კაპოტორტის. გაეროს 1992 წლის დეკლარაცია ეთნიკურ უმცირესობებთან ერთად ეროვნულ უმცირესობებსაც იხსენიებს<sup>42</sup>.

ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“ საუბრობს მხოლოდ ეროვნული უმცირესობების დაცვაზე<sup>43</sup>. ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების დაცვის საშუალებად ამ უმცირესობათა ეთნიკური, ენობრივი, კულტურული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნებას მიიჩნევს<sup>44</sup>. ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობად ზოგად კატეგორიად მიიჩნევს, რომელიც მოიცავს ეთნიკურ, ენობრივ, კულტურულ და რელიგიურ იდენტობას<sup>45</sup>. ჩარჩო კონვენციისგან განსხვავებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ კუთვნილებას თანასწორ კატეგორიებად განიხილავს და ცალ-ცალკე მდგომი სამართლებრივი დაცვის ღირსი სიკეთეებისა<sup>46</sup>.

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებამდე რედაქციაში საქართველოს კონსტიტუციის 38-ე მუხლი ერთმანეთის გვერდით მოიხსენიებდა ეროვნულ და ეთნიკურ უმცირესობებს<sup>47</sup>. 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად მე-11 მუხლში საუბარია ეთნიკურ უმცირესობებზე. ეროვნული უმცირესობები ამოღებულ იქნა კონსტიტუციიდან<sup>48</sup>. კონსტიტუციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილით „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.“<sup>49</sup> ეროვნული უმცირესობების უმცირესობათა კატალოგიდან ამოღების მიზეზად შეიძლება მიჩნეულ იქნას ის, რომ კანონმდებელმა ეროვნული და ეთნიკური უმცირესობები სინონიმურ ცნებებად

<sup>41</sup> გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის აქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.

<sup>42</sup> Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities, UN, 1992.

<sup>43</sup> ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“

<sup>44</sup> ბეჯა მამაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშეწყობის გარემოებები საქართველოში, თსუ, 2017, 115.

<sup>45</sup> იქვე, 115.

<sup>46</sup> იქვე, 115.

<sup>47</sup> საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>>.

<sup>48</sup> საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმის გათვალისწინებით.

<sup>49</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილი.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>>.

---

მიიჩნია<sup>50</sup>. ამასთანავე, საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მოწესრიგება „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლის გავლენას განიცდის და მის მაგავს რეგლამენტაციას ავითარებს.

### 1.3. უმცირესობები და მოქალაქეობის კრიტერიუმი

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ გაეროს საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი იცავს ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს მიუხედავად მოქალაქეობისა<sup>51</sup>. საერთაშორისო პაქტი უმცირესობებისთვის არ გამოყოფს მოქალაქეობის სავალდებულო კრიტერიუმს, იმისთვის, რომ მასზე გავრცელდეს უმცირესობების უფლებები. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის #23 ზოგადი კომენტარით, სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი, დაავიწროვოს უმცირესობებით დაცულ სუბიექტთა წრე და ეს უფლებები მხოლოდ მოქალაქეებზე გავრცელდეს<sup>52</sup>. გაეროს 1992 წლის დეკლარაციაც არ გამოყოფს მოქალაქეობის კრიტერიუმს<sup>53</sup>. ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების შესახებ ყოველგვარი მოქალაქეობრივი მიკუთვნებადობის გარეშე იცავს სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ უმცირესობებს. ევროსაბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ ეროვნულ სახელმწიფოებისგან მოითხოვს მათ ტერიტორიაზე მყოფი უმცირესობების უფლებების დაცვას მოქალაქეობრივი კუთვნილების მიუხედავად<sup>54</sup>.

ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტების მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან ყველა ინდივიდის უფლება მათი იურისდიქციის ფარგლებში. ერთადერთი გამონაკლისი არის ის, რომ არამოქალაქეები ვერ სარგებლობენ პოლიტიკური უფლებებით<sup>55</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი იცავს ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ მოქალაქე უმცირესობებს<sup>56</sup>. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად, უმცირესობები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები, იმისათვის, რომ მათზე გავრცელდეს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილის დაცვის გარანტიები.

---

<sup>50</sup> ბექა მამაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემწყობელი გარემოებები საქართველოში, თსუ, 2017, 115

<sup>51</sup> გაეროს 1966 წლის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი.

<sup>52</sup> CCCR General Comment No. 23: Article 27 (Rights of Minorities), § 5.1, <<http://www.refworld.org/docid/453883fc0.html>> [ბოლოს ნანახია: 10.11.2021].

<sup>53</sup> Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities, UN, 1992.

<sup>54</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“.

<sup>55</sup> Minority Rights, International Standards and Guidance for Implementation, OHCHR, 2010, 4.

<sup>56</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილი.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>>.



---

„უცხოელების უმცირესობა“<sup>57</sup> არ არის საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის სუბიექტი. არც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არ ახდენს უმცირესობის განმარტებისას მოქალაქეობის კრიტერიუმზე ხაზგასმას. 2006 წლის 31 მარტის განჩინებაში განვითარებული უმცირესობის მსგავსი განმარტება გაიმორა საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 2 ივნისის განჩინებაში, სადაც სიტყვასიტყვითი განმარტებით უმცირესობების უფლებების დაცვის სუბიექტად მხოლოდ მოქალაქეებს არ მიიჩნევს<sup>58</sup>. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი არ არის შესაბამისობაში უმცირესობის განმარტებასთან, რომელიც გათვალისწინებულია გაეროს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტში და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის #23 ზოგად კომენტართან. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მეორე ნაწილით დაცულ სუბიექტთა წრის დავიწროებით სპეციალური უფლებებით დაცვის გარეშე ტოვებს უმცირესობებს, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და არ აქვთ საქართველოს მოქალაქეობა.

#### 1.4. ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობა და უმცირესობები

„უმცირესობების“ მსგავსად, არ არსებობს „ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის“ უნივერსალურად მისაღები საერთაშორისო განმარტება. გაეროს სამუშაო ჯგუფი მკვირ მოსახლეობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ „მკვიდრი მოსახლეობა“ არის იმ ხალხების შთამომავალი, რომელიც პირველად დასახლდა მიწაზე ან ტერიტორიაზე კოლონიზაციამდე ან საზღვრების დადგენამდე; ისინი ფლობენ განსაკუთრებულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემებს, ენებს, კულტურას და რწმენას და მყარად გადაწყვეტილი აქვთ შეინარჩუნონ და განავითარონ თავისი განსაკუთრებული იდენტობა; ისინი გამონატყვევნი ძლიერ მიჯაჭვულობას წინაპართა მიწებზე და ბუნებრივ რესურსებზე; ისინი წარმოადგენენ საზოგადოების არადომინანტ ჯგუფებს და საკუთარ თავს ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობასთან აიგივებენ<sup>59</sup>. ადგილობრივ მკვიდრ მოსახლეობას ეთნიკური, ლინგვისტური და რელიგიური უმცირესობების მსგავსი მახასიათებლები გააჩნიათ. ორივე კატეგორია არადომინანტურ პოზიციაში იმყოფება და მათი კულტურა, ენა და რელიგია განსახვავდება დომინანტური უმრავლესობისგან

---

<sup>57</sup> იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., და ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები: ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 327.

<sup>58</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის განჩინება N2/10/383 საქმეზე საქართველოს მოქალაქეები - ნოდარ ცოტნიაშვილი, ზადრი მაჭარაშვილი, შოთა სომხიშვილი, პეტრე საფინანი, დიმიტრი გოგოლაძე; ჯარიბეკ პარადიანი, ლიდვიგ გრიგორიანი, შალიკო ბეჟუაშვილი, ასიმ ჩიტრეკაშვილი, ლევან თოკმაჭიანი, ნორიკ სუმბათიანი, ივანე როსტიაშვილი, რაფილ სხვაჩხიანი, არჩილ ფუხაშვილი, სერგო ეგიაზაროვი, გივი ჭაბუკიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>59</sup> Minority Rights, International Standards and Guidance for Implementation, OHCHR , 2010, 3.

---

ენისგან, კულტურისგან და რელიგიისგან<sup>60</sup>. უმცირესობების მსგავსად მკვიდრი მოსახლეობაც ცდილობს შეინარჩინოს და განავითაროს საკუთარი იდენტობა. ხშირად, მკვიდრი მოსახლეობაც იმყოფება უმცირესობების მსგავს სიტუაციაში, ისევე როგორც უმცირესობები ინარჩუნებენ ძლიერ მიჯაჭვულობას საკუთარი წინაპრების მიწასთან. მათ შორის განმასხვავებელი არის ის, რომ უმცირესობებს არ მოეთხოვებათ ხანგრძლივი და ტრადიციული კულტურული, ისტორიული და სულიერი ბმა წინაპართა მიწებთან, რაც აუცილებელია კრიტერუმია მკვიდრო მოსახლეობის იდენტიფიცირებისთვის<sup>61</sup>.

---

<sup>60</sup> იქვე, 3-4.

<sup>61</sup> იქვე, 4.

---

## II. უმცირესობის უფლებრივი მდგომარეობის მომწესრიგებელი საერთაშორისო - სამართლებრივი ინსტრუმენტები

უმცირესობის უფლებების მომწესრიგებელი აქტების მიღების პირველი მცდელობა ერთა ლიგის პირობებში გაწეულ ძალისხმევას უკავშირდება. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, უმცირესობების თემა ერთა ლიგის ცენტრალურ საკითხს წარმოადგენდა. ერთა ლიგის პირობებში, მიღებულ იქნა ცალკეული უმცირესობების ჯგუფების უფლებების მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტები<sup>62</sup>. ერთა ლიგის პირობებში, უმცირესობების სამართლებრივი აქტების მოწესრიგების სფერო და ფარგლები შეზღუდული იყო. აქტები ეხებოდა დამარცხებულ ან ახალ სახელმწიფოებს და არ არსებობდა შეთანხმება, რომ უმცირესობების უფლებები უნივერსალური გამოყენების იყო. თუმცა, მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი იყო ერთა ლიგის როლი და გაწეული ძალისხმევა უმცირესობების უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების გზაზე<sup>63</sup>.

უმცირესობების უფლებების მომწესრიგებელ საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტები და დაცვის კონკრეტული მექანიზმები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში წარმოიშვა და შემდეგ რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში გავრცელდა<sup>64</sup>.

1945 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნისას, ყურადღება გადატანილი იყო ადამიანის უფლებებსა და დეკოლონიზაციაზე<sup>65</sup>. გაერომ შეიმუშავა მნიშვნელოვანი აქტები, რომლებიც უმცირესობების უფლებებს გარანტირებდა. 1992 წელს, მიღებულ იქნა გაეროს დეკლარაცია ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების შესახებ, რომელიც უმცირესობების უფლებების დაცვის სახელმძღვანელო დოკუმენტია<sup>66</sup>. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება არ ახდენს უმცირესობების უფლებებზე აქცენტირებას *per se*, თუმცა, წესდების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი გაეროს ერთ-ერთ მიზნად საერთაშორისო თანამშრომლობის მიღწევას ასახელებს ადამიანის უფლებების პატივისცემის წახალისებისა და ხელშეწყობის გზით, რასის, სქესის, ენის თუ რელიგიის საფუძვლით განსაზვავებების გარეშე<sup>67</sup>.

---

<sup>62</sup> Petrićušić, A., The Rights of Minorities in International Law: Tracing Developments in Normative Arrangements of International Organizations, Croatian International Relations Review, Vol. XI No.38/39, 2005, 2.

<sup>63</sup> Promoting and Protecting Minority Rights, a guide for advocates, United Nations Human Rights Office of the High Commissioner, Geneva, 2012, 2.

<sup>64</sup> Minority Rights: International Standards and Guidance for Implementation, United Nations Human Rights office of the High Commissioner, Geneva, 2010, 1.

<sup>65</sup> Promoting and Protecting Minority Rights, A guide for advocates, United Nations Human Rights Office of the High Commissioner, Geneva, 2012, 2.

<sup>66</sup> Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities, UN, 1992.

<sup>67</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, პირველი მუხლის მე-3 პუნქტი.

---

1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიიღო, რომელშიც უმცირესობების დაცვის ანტიდისკრიმინაციული დებულებები განისაზღვრა<sup>68</sup>. დეკლარაციის შემუშავებისას, გენერალურმა ასამბლეამ ვერ შეძლო წევრ სახელმწიფოებს შორის შეთანხმების მიღწევა უმცირესობის უფლებების *per se* გათვალისწინებისა თითოეულ სახელმწიფოში მისი სპეციფიურობის გამო, თუმცა განმარტა, რომ „გაერო ვერ იქნება გულგრილი უმცირესობების ბედისადმი“<sup>69</sup>. საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლის თანახმად „დეკლარაციით გათვალისწინებული ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს თითოეულ ადამიანს განურჩევლად ნებისმიერი განსხვავებისა, სახელდობრ: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა რწმენისა, ეროვნული თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი, წოდებრივი თუ სხვა მდგომარეობისა.“<sup>70</sup> ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია უმცირესობებთან მიმართებით ანტიდისკრიმინაციული ჩანაწერით შემოიფარგლა და ხაზი გაუსვა ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრის აუცილებლობას, რომელიც მოიცავს ეთნიკური/ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრის ვალდებულებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემაში მოქმედ სამართლებრივ ინსტრუმენტებში უმცირესობების უფლებები, როგორც წესი, არ არის დეტალურად რეგულირებული. გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის სისტემაში უმცირესობებთან დაკავშირებით შექმნილია მინიმალური სამართლებრივი ბაზა, რომლის საფუძველზეც გაეროს სახელმეკრულებო ორგანოები ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის საქმეებს განიხილავენ. სრულად უნდა იქნას გაზიარებული მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტების მიღების შედეგს წარმოადგენს ის, რომ ამავე ხელშეკრულებების საფუძველზე შექმნილია სპეციალური კომიტეტები, რომლებიც მონიტორინგს უწევენ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციას<sup>71</sup>.

გაეროს 1966 წლის საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანოთა სისტემაში ერთადერთი აქტია, რომელიც უმცირესობების სპეციალურ უფლებებს ითვალისწინებს და ცალკე განსაზღვრავს ჩანაწერს ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების შესახებ<sup>72</sup>. საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ

---

<sup>68</sup> გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

<sup>69</sup> Minorities, Inclusion, not Stereotyping, UN, <<https://www.un.org/en/field/racism/vulnerable-groups/minorities>> [ნახვის თარიღი: 17.12.2021].

<sup>70</sup> გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-2 მუხლი.

<sup>71</sup> *De Schutter O.*, International Human Rights Law: Cases, Material, Commentary, Cambridge, 2010,

791. ასევე, ზეკა ძამაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემწყობი გარემოებები საქართველოში, თსუ, 2017, 55.

<sup>72</sup> გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.

---

უმცირესობების მიერ საკუთარი კულტურით, აღმსარებლობით და ენით თავისუფლად სარგებლობა<sup>73</sup>. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, პაქტის 27-ე მუხლის ჩანაწერი აწესებს და აღიარებს უმცირესობებისთვის ცალკეულ უფლებებს, რომელიც პაქტით ყველასათვის განსაზღვრული სხვა უფლებების დამატებას წარმოადგენს<sup>74</sup>. კომიტეტი აღნიშნავს, რომ პაქტის 27-ე მუხლით გარანტირებული უფლება არ გულისხმობს რაიმე სახით სახელმწიფო სუვერენიტეტისა და ტერიტორიული ერთიანობის შეზღუდვას<sup>75</sup>. საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი, როგორც უმცირესობების უფლებების მომწესრიგებელი სპეციალური, დამცავი ნორმა მიმართულია უმცირესობების კულტურული, რელიგიური და სოციალური იდენტობის განგრძობადი განვითარების უზრუნველყოფაზე. ეს კი მთლიანობაში, საზოგადოების გამდიდრების მნიშვნელოვანი წყაროა<sup>76</sup>.

1965 წელს მიღებული იქნა გაეროს კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“<sup>77</sup>. ერთ-ერთი პირველი ნიშანი, რომლის საფუძველზეც დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ სპეციალური კონვენცია იქნა მიღებული იყო რასა, თუმცა, კონვენცია „რასის“ განმარტებას არ ახდენს<sup>78</sup>. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის მიღება მეტწილად განპირობებული იყო პოსტკოლონიალური მეგვიდრეობის არსებობით და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ განსაკუთრებული აქცენტის გაკეთების საჭიროებით<sup>79</sup>.

კონვენცია ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს და დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშნად ეთნიკურ და ენობრივ წარმოშობას განსაზღვრავს. „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის შესახებ“ კონვენცია ეთნიკურ დისკრიმინაციას რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთ გამოხატულებად თვლის. გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა განმარტა, რომ კონკრეტული რასობრივი ან

---

<sup>73</sup> გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 27-ე მუხლი.

<sup>74</sup> UN Human Rights Committee (HRC), CCPR General Comment No. 23: Article 27 (Rights of Minorities), 8 April 1994, CCPR/C/21/Rev.1/Add.5, 1.

<sup>75</sup> იქვე, 1.

<sup>76</sup> UN Human Rights Committee (HRC), CCPR General Comment No. 23: Article 27 (Rights of Minorities), 8 April 1994, CCPR/C/21/Rev.1/Add.5, par. 9.

<sup>77</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1965 წლის კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“.

<sup>78</sup> ზეჟა ძამაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში, თსუ, 2017, 56.

<sup>79</sup> McDougall G. J., Toward a Meaningful International Regime: The Domestic Relevance of International Efforts to Eliminate All Forms of Racial Discrimination, “Harvard Law Journal”, 40(3), 1997, 582. ასევე, ზეჟა ძამაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში, თსუ, 2017, 56.

---

ეთნიკური ჯგუფისადმი პირის მიკუთვნებულობა უნდა დადგინდეს ამ პირის თვითგამორკვევის საფუძველზე, თუკი დასაბუთებით საპირისპირო არ მტკიცდება<sup>80</sup>.

იგივე მსჯელობას ავითარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც. საქმეზე - *Timishev v. Russia* ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „ეთნიკურობა და რასა ურთიერთდაკავშირებული და თანმხვედრი ცნებებია. ცნება „რასა“ საფუძველს იღებს ქვესახეობებად ადამიანთა კლასიფიკაციის იდეისგან, მორფოლოგიური მახასიათებლების მიხედვით, როგორცაა: კანის ფერი ან სახის ნაკვთები, „ეთნიკურობა“ კი – საზოგადოებრივი ჯგუფების იდეისგან, რომლებსაც ახასიათებთ საერთო ეროვნება, ერთი ტომისადმი კუთვნილება, საერთო რწმენა, ერთიანი ენა ან კულტურისა და ტრადიციების საერთო საწყისები და ფონი“<sup>81</sup>. *Timishev-ის* საქმეზე ევროპულმა სასამართლომ „რასისა“ და „ეთნიკურობის“ კონცეპტების დეფინირება მოახდინა და განსაზღვრა, რომ ენა, რელიგია, ეროვნება და კულტურა რასის განუყოფელ ნაწილებია<sup>82</sup>.

იგივე მსჯელობა განავითარა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina*. ევროპული სასამართლოს შეფასებით „ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია რასობრივი დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს.“<sup>83</sup>

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისგან განსახვევებით, გაეროს 1966 წლის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი არ ითვალისწინებს სპეციალურ უფლებას ეთნიკური უმცირესობებისთვის, თუმცა მისი მე-2 მუხლი ადგენს, რომ პაქტით გარანტირებული ყველა უფლებით სარგებლობის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს განურჩევლად ყველას, მათ შორის ნებისმიერი ეთნოსის და ეროვნების ადამიანს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე“<sup>84</sup>.

რაც შეეხება რეგიონალურ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, უმცირესობების უფლებების დაცვის კუთხით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ზოგად რეგულირებას განსაზღვრავს<sup>85</sup>. იგი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების სპეციალურ უფლებებს არ ადგენს და ანტიდისკრიმინაციული დანაწესებით შემოიფარგლება. ევროპული კონვენცია უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს არაპირდაპირ, სხვადასხვა უფლებების ჭრილში იხილავს<sup>86</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია „ყველასთვის“ გარანტირებს ადამიანის უფლებების დაცვას და ცალკე კატეგორიად

---

<sup>80</sup> CERD General Recommendation VIII Concerning the Interpretation and Application of Article 1, Paragraphs 1 and 4 of the Convention Identification with a Particular Racial or Ethnic Group, 1990.

<sup>81</sup> ტიმიშევი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (*Timishev v. Russia*), 2005 წლის 13 დეკემბერი, 55-ე პუნქტი.

<sup>82</sup> იქვე, 55-ე პუნქტი

<sup>83</sup> სეიჯიჩი და ფინცი ბოსნია-ჰერცეგოვინის წინააღმდეგ (*Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina*), 2009 წლის 22 დეკემბერი.

<sup>84</sup> გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“, მე-2 მუხლი.

<sup>85</sup> 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

<sup>86</sup> იქსი ავსტრიის წინააღმდეგ (*X. v. Austria*), 1980 წლის 10 ოქტომბერი. 88-ე, 92-93-ე პუნქტები.

---

უმცირესობებს არ გამოყოფს<sup>87</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობა უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა უმცირესობების იდენტობის დაცვისა და განვითარებისთვის<sup>88</sup>. უმცირესობების დაცვის თვალსაზრისით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მექანიზმი ეფექტიანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მისი გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა, რომლის აღსრულებაზეც ზედამხედველობას მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თანახმად, კონვენციით უზრუნველყოფილი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა ყველა ადამიანმა უნდა შეძლოს ყოველგვარი, მათ შორის, რასობრივი დისკრიმინაციის გარეშე. ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი დისკრიმინაციის ერთ-ერთ საფუძვლად ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილებას ასახელებს<sup>89</sup>.

დისკრიმინაციის ზოგადი ამკრძალავი დებულებებია გათვალისწინებული ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმით<sup>90</sup>. კონვენციის მე-14 მუხლი უზრუნველყოფდა მხოლოდ თავად კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით არადისკრიმინაციულ სარგებლობას. თუმცა, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების ფაქტმა, უფლებების განვითარების კვალდაკვალ ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვის არასაკმარისობამ და კონვენციის, როგორც „ცოცხალი ორგანიზმის“ ბუნებამ გამოიწვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის მიღება 2000 წელს. კონვენციის მე-12 დამატებითმა ოქმმა გააფართოვა დისკრიმინაციის დაცვის ფარგლები და იგი გაავრცელა ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების არადისკრიმინაციულ სარგებლობაზე<sup>91</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და მისი დამატებითი ოქმები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების სპეციალურ უფლებებს არ აწესებს, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საკმაოდ მდიდარი პრაქტიკა აქვს კონვენციის მე-14 მუხლსა და მე-12 დამატებით ოქმთან დაკავშირებით<sup>92</sup>. სახელმძღვანელო განმარტება განავითარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Timishev v. Russia*. სასამართლოს შეფასებით „არანაირი განსხვავება მოპყრობაში, რომელიც ექსკლუზიურად ეფუძნება ან სადაც გადამწყვეტი

---

<sup>87</sup> Venice Commission, Report on Non-Citizens and Minority Rights, , CDL-AD(2007)001, 2007, 5.

<sup>88</sup> იქვე, 5.

<sup>89</sup> 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი.

<sup>90</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი.

<sup>91</sup> დისკრიმინაცია, სიმულულით მოტივირებული დანაშაულები და სიმულულის ენა, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2019, 14.

<sup>92</sup> Minority Rights under European Convention on Human Rights, Pamphlet No 7, <<https://www.ohchr.org/sites/default/files/Documents/Publications/GuideMinoritiesTen.pdf>>. [ბოლოს ნანახია: 26.11.2021].

---

ძალა აქვს ადამიანის ეთნიკურ კუთვნილებას, არ შეიძლება იყოს ობიექტურად გამართლებული თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც ეფუძნება პლურალიზმისა და კულტურათა მრავალფეროვნების პრინციპების პატივისცემას<sup>93</sup>. როგორც *Timishev-ის* საქმიდან იკვეთება, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მკაცრი ტესტის გამოყენებით აფასებს ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციას.

ინიციატივა ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით დამატებითი ოქმის მიღების შესახებ ვერ განხორციელდა, რაც უპირველეს ყოვლისა გამომდინარეობდა სახელმწიფოების სურვილიდან, თავი აერიდებინათ დამატებითი პოზიტიური ვალდებულებების აღებისთვის<sup>94</sup>. დამატებითი ოქმის მიღების შემთხვევაში, შესაძლებელი გახდებოდა ოქმით უმცირესობების სპეციალური უფლებების განსაზღვრა და სტრასბურგის სასამართლოს ეფექტიანი აღსრულებაზე ზედამხედველობის მექანიზმის გათვალისწინებით, უფრო ქმედითი გახდებოდა უმცირესობების უფლებების დაცვა<sup>95</sup>.

1992 წელს, ევროსაბჭოს მიერ მიღებულ იქნა რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტია, რომელიც ძალაში შევიდა 1998 წელს<sup>96</sup>. ქარტია მიზნად ისახავს უმცირესობების რეგიონალური ენების დაცვისა და განვითარების სისტემის შექმნას<sup>97</sup>.

ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ სცდება უმცირესობების უფლებების ზოგად რეგულირებას და წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ ისტრუმენტს, რომელიც უმცირესობების სპეციალურ უფლებებს გარანტირებს<sup>98</sup>. ჩარჩო კონვენცია ხაზს უსვამს უმცირესობების ენების დაცვისა და რეალიზებისთვის სათანადო პირობების შექმნის აუცილებლობას<sup>99</sup>. იგი ეფუძნება ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებს, როგორცაა თანასწორობის პრინციპი, კულტურის და საკუთარი იდენტობის შენარჩუნების პრინციპი, ტოლერანტობისა და ინტერკულტურული დიალოგის მხარდაჭერა, ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობა როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად, უმცირესობის არჩევანის თავისუფლება, თავად გადაწყვიტოს მიაკუთვნოს თუ არა თავი

---

<sup>93</sup> ტიმიშევი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (*Timishev v. Russia*), 2005 წლის 13 დეკემბერი, 55-ე პუნქტი.

<sup>94</sup> CoE Parliamentary Assembly, recommendation 1255 (1995), Protection of the rights of national minorities. ასევე, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 15.

<sup>95</sup> CoE Parliamentary Assembly, recommendation 1255 (1995), Protection of the rights of national minorities. ასევე, ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 15.

<sup>96</sup> European Charter for Regional or Minority Languages (ETS No. 148), 1992.

<sup>97</sup> Explanatory Report to the European Charter for Regional or Minority Languages, No. 148, 1992, par. 3. ასევე, ბექა ძამაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშეშლელი გარემოებები საქართველოში, თსუ, 2017, 72.

<sup>98</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ.

<sup>99</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ; მე-5, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 და მე-14 მუხლები.



---

უმცირესობას<sup>100</sup>. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია წარმოადგენს უმცირესობების დაცვის პანევროპული სტანდარტის შემუშავების ხუთწლიანი ძალისხმევის შედეგს, რაც უმცირესობების სპეციალური გარანტიების შემუშავებაში გამოიხატა<sup>101</sup>.

---

<sup>100</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ; მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები.

<sup>101</sup> Bruno de Vite , Politics Versus Law in the EU Approach to Ethnic Minorities, RSC No.2000/4, Robert Schuman Centre for Advanced Studies, 2000, 5.

### III. ევროკავშირი და უმცირესობები

პირველად ტერმინი „უმცირესობები“ ევროკავშირის ფარგლებში ნათლად გამოიკვეთა ლისაბონის ხელშეკრულებაში, რომელიც ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს<sup>102</sup>. ხელშეკრულების მე-2 მუხლი საუბრობს უმცირესობების უფლებების პატივისცემაზე, რომელიც სხვა ღირებულებებთან ერთად ევროკავშირის ფუძემდებლურ ფასეულობებია<sup>103</sup>. ევროკავშირი ეფუძნება პლურალიზმის, ტოლერანტობისა და მულტიკულტურალიზმის იდეებს და მათ სახელმძღვანელო ნორმა-პრინციპებად განიხილავს. სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტების მსგავსად, ევროკავშირის სამართალი არ ახდენს ტერმინ „უმცირესობების“ განმარტებას და გაეროს სპეციალური მომხსენებლისა და ვენეციის კომისიის განმარტებებს იზიარებს.

ევროკავშირის ფარგლებში, უმცირესობების უფლებების მომწესრიგებელ ფუძემდებლურ აქტს წარმოადგენს ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია, რომლის 21-ე მუხლი კრძალავს ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობის ნიშნით დისკრიმინაციას<sup>104</sup>. ქარტია მიღებულ იქნა 2000 წელს და ძალაში შევიდა 2009 წელს ლისაბონის ხელშეკრულებით.

ქარტიის ნებისმიერი მუხლის დარღვევაზე ინდივიდუალური საჩივრის განხილვის უფლებამოსილება აქვს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს, რომელიც შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებებს იღებს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის და ევროკავშირის ორგანოებისთვის. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს. თუ ეროვნული სახელმწიფო ადგილობრივ დონეზე არ განახორციელებს უფლების აღდგენას, საჩივარს იხილავს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებებს იღებს. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო არაერთ საქმეს იხილავს დისკრიმინაციასთან დაკავშირებით.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან განსხვავებით, რასობრივი დისკრიმინაციის კონტექსტში უფრო შორს მიდის და მიიჩნევს, რომ პირდაპირი დისკრიმინაციის დასადგენად არ არის კონკრეტული მსხვერპლის არსებობა საჭირო<sup>105</sup>. ამის მაგალითია *ფერინის საქმე*<sup>106</sup>,

<sup>102</sup> Treaty of Lisbon, 2007/C 306/01, <[http://publications.europa.eu/resource/cellar/688a7a98-3110-4ffe-a6b3-8972d8445325.0007.01/DOC\\_19](http://publications.europa.eu/resource/cellar/688a7a98-3110-4ffe-a6b3-8972d8445325.0007.01/DOC_19)>. [ზოლოს ნანახია: 23.03.2022].

<sup>103</sup> Respect for and Protection of Persons Belonging to Minorities, 2008-2010, FRA, European Union Agency for Fundamental Rights, 2010, 9.

<sup>104</sup> Article 21, Charter of Fundamental Rights of the European Union 2012/C 326/02.

<sup>105</sup> *კინწურაშვილი ნ.*, პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაციის ძირითადი ასპექტები საერთაშორისო სამართალში, მართლმსაჯულება და კანონი, #2/3(45/46)15, 2015, 92.

<sup>106</sup> Case C-54/07. Judgment of the Court (Second Chamber) of 10 July 2008. Centrum voor gelijkheid van kansen en voor racismebestrijding v Firma Feryn NV. Reference for a preliminary ruling: Arbeidshof te Brussel - Belgium. Directive 2000/43/EC - Discriminatory criteria for selecting staff - Burden of proof - Penalties. ასევე:

---

სადაც ერთ-ერთი ბელგიური კომპანიის მესაკუთრემ განაცხადა, რომ იმიგრანტები ვერ დასაქმდებოდნენ მის კომპანიაში. ასეთი პოზიცია მან გამოხატა როგორც რეკლამის მეშვეობით, ისე ზეპირად. ამ საქმეში არ არსებობდა დისკრიმინაციის კონკრეტული მსხვერპლი, ანუ არ ფიგურირებდა კონკრეტული დაზარალებული, ვინაიდან არათეთრკანიანებმა გადაწყვიტეს, რომ საერთოდ არ მიემართათ კომპანიისათვის ამ უკანასკნელის მიერ გაკეთებული სარეკლამო განცხადების გამო. სწორედ ამიტომ საჩივარი სასამართლოში შეიტანა ბელგიის თანასწორობის ცენტრმა, სასამართლომ კი დაადგინა, რომ არ იყო აუცილებელი დისკრიმინაციის კონკრეტული მსხვერპლის იდენტიფიცირება. კომპანიის ამ კონკრეტული რეკლამის შინაარსიდან გამომდინარე, სასამართლომ აშკარად მიიჩნია, რომ „არათეთრკანიანები“ თავისთავად შეიკავებდნენ თავს დასაქმების შესახებ განცხადებით მიემართათ კომპანიისათვის, რადგან მათ წინასწარ იცოდნენ, რომ დასაქმების არავითარი პერსპექტივა არ ექნებოდათ. შესაბამისად, უკვე შესაძლებელი იყო იმის დასაბუთება, რომ კომპანიის პოლიტიკა იყო იმთავითვე დისკრიმინაციული და ამდენად, დისკრიმინაციის აღიარებისათვის აღარ იყო საჭირო არაკეთილმოსურნე მოპყრობის კონკრეტული მსხვერპლის არსებობა<sup>107</sup>.

რადგან ევროკავშირის ოცდაშვიდივე სახელმწიფო არის ევროსაბჭოს წევრი, ევროსაბჭოს კონვენციები ევროკავშირის ფარგლებშიც ვრცელდება. ევროკავშირის ფარგლებში მოქმედებს ცალკეული ანტიდისკრიმინაციული დირექტივები, რომლებიც კონკრეტულ სფეროში დისკრიმინაციის აკრძალვას ახდენენ. 2000 წელს, ევროკავშირის მიერ მიღებულ იქნა რასობრივი და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის დირექტივა<sup>108</sup>. რასობრივი თანასწორობის დირექტივა თანასწორობის ევროპული წარმოდგენის ქვაკუთხედს წარმოადგენს<sup>109</sup>. 2000 წელს, რასობრივი თანასწორობის შესახებ დირექტივის მიღებით, ევროკავშირმა გააფართოვა დისკრიმინაციის აკრძალვის სამართლებრივი ფარგლები, რითაც აიკრძალა დისკრიმინაცია რასობრივი ან ეთნიკური საფუძვლით შრომით ურთიერთობებში, სოციალურ დაზმარებებზე, სოციალური უზრუნველყოფის სისტემაზე და საქონელსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით<sup>110</sup>.

---

დისკრიმინაცია, სიმუღლით მოტივირებული დანაშაულები და სიმუღლის ენა, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2019.

<sup>107</sup> დისკრიმინაცია, სიმუღლით მოტივირებული დანაშაულები და სიმუღლის ენა, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2019.

<sup>108</sup> Directive 2000/43/EC against discrimination on grounds of race and ethnic origin, <<https://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:32000L0043:en:HTML>>. [ბოლოდ ნანახია: 15.12.2021].

<sup>109</sup> Respect for and protection of persons belonging to minorities 2008-2010, FRA, European Union Agency for Fundamental Rights, 2010, 25, <[https://fra.europa.eu/sites/default/files/fra\\_uploads/1769-FRA-Report-Respect-protection-minorities-2011\\_EN.pdf](https://fra.europa.eu/sites/default/files/fra_uploads/1769-FRA-Report-Respect-protection-minorities-2011_EN.pdf)>. [ბოლოს ნანახია: 23.11.2021].

<sup>110</sup> დისკრიმინაცია, სიმუღლით მოტივირებული დანაშაულები და სიმუღლის ენა, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2019, 14

---

2000 წელსვე მიღებულ იქნა სამუშაო ადგილებზე რელიგიის, რწმენის, შეზღუდული შესაძლებლობის, ასაკისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციის აკრძალვის კონვენცია<sup>111</sup>. 2008 წელს, ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებულ იქნა ჩარჩო გადაწყვეტილება რასიზმისა და ქსენოფობიის ცალკეული ფორმებისა და გამოსატვის სისხლის სამართლის კანონით ბრძოლის შესახებ<sup>112</sup>. ევროკავშირის 2020-2025 წლების ანტირასისტული სამოქმედო გეგმა ყურადღებას ამახვილებს ანტირასისტული პოლიტიკისა და კანონებლობის განვითარების უცილებლობაზე<sup>113</sup>.

ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ბოშათა უფლებების დაცვას და მათ ინკლუზიას საზოგადოებაში. 2008 წლის 31 ნოემბერს ევროპარლამენტის მიერ მიღებულ იქნა რეზოლუცია ბოშათა უფლებების ევროპულ სტრატეგიაზე, რომელიც ბოშებისთვის თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველყოფას ეხება და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას ისახავს მიზნად<sup>114</sup>. 2010 წელს, მიღებულ იქნა ევროკომისიის ანგარიში, რომელიც ევროპაში ბოშების ინკლუზიის კუთხით ევროკავშირის ინსტრუმენტებისა და პოლიტიკის იმპლემენტაციას ეხებოდა<sup>115</sup>.

ევროკავშირის კანონმდებლობა უმცირესობის შესახებ სრულად იზიარებს გაეროს სახელმეკრულებო ორგანოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებს უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და მათ იმპლემენტაციას კონკრეტულ დირექტივებში ახდენს. ევროკავშირის დირექტივები ითვალისწინებენ, წევრი სახელმწიფოებისგან ეროვნულ დონეზე ანტიდისკრიმინაციული მექანიზმების შემუშავებას და თანასწორობაზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებას.

---

<sup>111</sup> Directive 2000/78/EC against discrimination at work on grounds of religion or belief, disability, age or sexual orientation, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32000L0078>> [ბოლოს ნანახია: 27.01.2022].

<sup>112</sup> Council Framework Decision 2008/913/JHA of 28 November 2008 on combating certain forms and expressions of racism and xenophobia by means of criminal law, <<https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=LEGISSUM:133178>>. [ბოლოს ნანახია: 17.02.2022].

<sup>113</sup> A Union of Equality: EU anti-racism action plan 2020–2025, <[https://ec.europa.eu/info/policies/justice-and-fundamental-rights/combating-discrimination/racism-and-xenophobia/eu-anti-racism-action-plan-2020-2025\\_en](https://ec.europa.eu/info/policies/justice-and-fundamental-rights/combating-discrimination/racism-and-xenophobia/eu-anti-racism-action-plan-2020-2025_en)>. [ბოლოს ნანახია: 19.02.2022].

<sup>114</sup> European Parliament resolution of 31 January 2008 on a European strategy on the Roma, <[https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-6-2008-0035\\_EN.html?redirect](https://www.europarl.europa.eu/doceo/document/TA-6-2008-0035_EN.html?redirect)>. [ბოლოს ნანახია: 12.02.2022].

<sup>115</sup> Communication on Roma in Europe and Progress Report on Roma inclusion 2008–2010, <[https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/MEMO\\_10\\_121](https://ec.europa.eu/commission/presscorner/detail/en/MEMO_10_121)> [ბოლოს ნანახია: 23.02.2022].

---

#### IV. ეუთო და უმცირესობები

ეუთოს ჰელსინკის 1975 წლის სადამფუძნებლო აქტი უმცირესობების დაცვის ფუძემდებლურ გარანტიებს ითვალისწინებს და წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ უმცირესობების უფლებების დაცვა და მათი თანასწორი წვდომა უფლებებზე<sup>116</sup>. ეუთოს ერთ-ერთი მთავარი ღირებულებითი აქტი - პარიზის ქარტია შეიცავს დებულებებს ეროვნული უმცირესობების ეთნიკური, ლინგვისტური და კულტურული იდენტობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით და უმცირესობების არადისკრიმინაციულ მოპყრობას გარანტირებს<sup>117</sup>.

უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტიანი და ქმედითი მონაწილეობის შესახებ ეუთოს მიერ მიღებულია ლუნდის რეკომენდაციები<sup>118</sup>. ლუნდის რეკომენდაციები სახელმწიფოს მოუწოდებს, ეროვნულ დონეზე შექმნან ეფექტიანი მექანიზმები უმცირესობების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესახებ. ლუნდის რეკომენდაციების თანახმად, სახელმწიფომ პოლიტიკის ფარგლებში უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული ზომები, პარლამენტში, მთავრობასა და სასამართლოში უმცირესობების წარმომადგენლობის გაზრდასთან დაკავშირებით<sup>119</sup>. რეკომენდაციაში განვითარებული სტანდარტით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებში უმცირესობების არა მარტო არითმეტიკული, არამედ ხარისხობრივი წარმომადგენლობა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი შედეგიანი მონაწილეობა.

1998 წელს, ეუთოს მიერ მიღებულ იქნა ოსლოს რეკომენდაციები ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტური უფლებების შესახებ<sup>120</sup>. ოსლოს რეკომენდაციების თანახმად, ეთნიკურ უმცირესობებს უფლება აქვთ ისარებლონ საკუთარი ენით ან ენებით კერძო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე<sup>121</sup>. ოსლოს რეკომენდაციები უმცირესობების ლინგვისტური უფლებებს არა მართო იზოლირებულ უფლებად, არამედ სხვა უფლებების რეალიზაციის საშუალებადაც განიხილავს.

ეუთოს ფარგლებში შექმნილია ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის ინსტიტუტი. უმაღლესი კომისრის მანდატი, როგორც არასასამართლო მექანიზმი,

---

<sup>116</sup> Helsinki Final Act, 1975, OSCE.

<sup>117</sup> Charter of Paris for a New Europe, 1990, OSCE.

<sup>118</sup> The Lund Recommendations on the Effective Participation of National Minorities in Public Life, OSCE, 1999.

<sup>119</sup> The Lund Recommendations on the Effective Participation of National Minorities in Public Life, OSCE, 1999

<sup>120</sup> The Oslo Recommendations regarding the Linguistic Rights of National Minorities, OSCE, 1998

<sup>121</sup> The Oslo Recommendations regarding the Linguistic Rights of National Minorities, OSCE, 1998

---

გაცემს რეკომენდაციებს და უმცირესობების უფლებების დაცვის საერთაშორისო გარანტიებს განსაზღვრავს<sup>122</sup>.

კომისრის რეკომენდაციები განეკუთვნება „რბილ სამართალს“ (soft law), რადგან ისინი შესასრულებლად სავალდებულო არ არის სახელმწიფოებისთვის. კომისრის რეკომენდაციები ადგენს საერთაშორისო სტანდარტებს და მოუწოდებს სახელმწიფოებს, ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ კანონმდებლობა და პრაქტიკა რეკომენდაციებში დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანონ<sup>123</sup>.

---

<sup>122</sup> OSCE High Commissioner on National Minorities, <<https://www.osce.org/hcnm>>. [ბოლოს ნანახი: 19.02.2022].

<sup>123</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 71.

---

## V. უმცირესობების სპეციალური უფლებები

წინამდებარე თავში გაანალიზებულია უმცირესობების სპეციალური უფლებები და მისი დაცვის საერთაშორისო სტანდარტები. მასში წარმოდგენილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელმწირობებო ორგანოების უახლესი პრაქტიკა და განმარტებები. კვლევა მოიცავს როგორც სამოქალაქო-პოლიტიკურ, ისე სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს და მათი დაცვის გარანტიებს.

### 5.1. ეროვნული კულტურის და იდენტობის დაცვისა და შენარჩუნების უფლება

ვამიკ ვოლკანი დიდი ჯგუფების იდენტობას განმარტავს, როგორც ეთნიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური ჯგუფების მიმართ მსგავსების და კუთვნილების ინტენსიურ განცდას<sup>124</sup>. რედეკოვი კი, იდენტობას და რაიმე ჯგუფთან კუთვნილებას, ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევს<sup>125</sup>. იდენტობის განცდა უმცირესობების ჯგუფების თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და კულტურული განვითარების წინაპირობაა. იდენტობის მყარი შეგრძნება იცავს უმცირესობის ჯგუფებს გაქრობისა და გაუჩინარებისგან.

შესაბამისად, ეროვნული კულტურისა და იდენტობის დაცვის და შენარჩუნების უფლება არის არა მხოლოდ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების სპეციალური უფლება, არამედ იგი ყველა სხვა უფლების რეალიზაციის საშუალებასაც წარმოადგენს. შესაბამისად, ეროვნული კულტურისა და იდენტობის დაცვის და შენარჩუნების უფლება მიჩნეულ უნდა იქნას, როგორც მიზნად, ისე სხვა უფლებათა რეალიზაციის წინაპირობად.

უმცირესობის იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების უფლება დამცავი უფლებაა, რომელიც იცავს უმცირესობებს იძულებითი ასიმილაციისგან და კულტურის, რელიგიის და ენის დაკარგვისგან<sup>126</sup>. უმცირესობები მსოფლიოს გამდიდრების წყაროს და მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენენ, რომელთაც სახელმწიფოს მიერ დაცვა სჭირდებათ<sup>127</sup>. იუნესკოს განმარტებით „ყველა კულტურას აქვს ღირსება და

---

<sup>124</sup> Volkan, V. Blind Trust. Charlottesville: Pitchstone Publishing, 2014. ასევე: მამედლი, ქ., არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის თეორიები და მოდელები - მიმოხილვა; უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა, თეორიული ჩარჩო, საერთაშორისო სტანდარტები და პერსპექტივები საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, 5.

<sup>125</sup> Redekop, V. N. (2002). From Violence to Blessing. Novalis; ასევე: მამედლი, ქ., არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის თეორიები და მოდელები - მიმოხილვა; უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა, თეორიული ჩარჩო, საერთაშორისო სტანდარტები და პერსპექტივები საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, 5.

<sup>126</sup> Promoting and Protecting Minority Rights, a guide for advocates, United Nations Human Rights Office of the High Commissioner, Geneva, 2012, 8.

<sup>127</sup> იქვე, 8.

---

ღირებულება, რომელიც შენარჩუნებული და დაცული უნდა იყოს<sup>128</sup>. იუნესკოს პრინციპების თანახმად, თითოეული კულტურა ქმნის საერთო მემკვიდრეობის ნაწილს, რომელიც მთელს კაცობრიობას განეკუთვნება<sup>129</sup>.

არასიმულაციისთან ბრძოლა ხდება მრავალფეროვნებით და მრავალი იდენტობის არსებობით, რომლებიც არა მარტო შეწყნარებულები, არამედ დაცულებიც უნდა იყვნენ. უმცირესობები ამდებდრებენ საზოგადოებას მათი მრავალფეროვნებით<sup>130</sup> და წვლილი შეაქვთ ქვეყნის საერთო კულტურის განვითარებაში.

ეროვნული კულტურის და იდენტობის დაცვისა და შენარჩუნების უფლება არაერთი უნივერსალური და რეგიონალური ადამიანის უფლებების დაცვის ინსტრუმენტებით არის მოწესრიგებული.

გაეროს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლის თანახმად „იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას განეკუთვნებიან, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე, იმავე ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ თავიანთი კულტურით, აღიარონ და ადასრულონ თავიანთი რელიგია ან გამოიყენონ მათი მშობლიური ენა.“<sup>131</sup> საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი იცავს უმცირესობების „იდენტობის უფლებას“, რომელიც მოიცავს ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ მახასიათებლებს<sup>132</sup>.

საერთაშორისო პაქტის ხელშეწყვეტილი სახელმწიფო ვალდებულება, უზრუნველყოს უმცირესობები ამ უფლების დაცვით და რეალიზაციის შესაძლებლობით უარყოფისა და უფლების დარღვევის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლით გარანტირებული უფლებები ინდივიდუალური ხასიათისაა, მათი განხორციელება დამოკიდებულია უმცირესობების შესაძლებლობაზე, შეინარჩინონ თავიანთი კულტურა, რელიგია და ენა<sup>133</sup>.

სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას უმცირესობის წარმომადგენლები ძალადობრივი აქტებისგან არა მარტო კანონმდებლობით, სასამართლო და ადმინისტრაციული პრაქტიკით, არამედ დაიცვას ისინი ნებისიერი სხვა ადამიანის ქმედებისგანაც<sup>134</sup>. პოზიტიური ვალდებულების ჭრილში, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას უმცირესობის იდენტობა და ჯგუფის შესაძლებლობა

---

<sup>128</sup> Declaration of the Principles of International Cultural Co-operation, adopted by the UNESCO, 4 November 1966, par.1

<sup>129</sup> იქვე, პარ.3.

<sup>130</sup> იქვე, პარ. 8.

<sup>131</sup> „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი.

<sup>132</sup> Kempin Reuter, T., Dealing with Claims of Ethnic Minorities in International Law, HeinOnline -- 24 Conn. J. Int'l L. 201 2008-2009, 216.

<sup>133</sup> Human Right Committee General comment No 23 on article 27 (Rights of Minorities), par. 6.2.

<sup>134</sup> ibid, par. 6.1.



---

ისარგებლონ და განავითარონ თავიანთ კულტურა და ენა და ადასრულონ რელიგია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური სახით<sup>135</sup>. უმცირესობის უფლებების დაცვა უნდა იყოს არა ფორმალურ-ილოზურული ხასიათის, არამედ რეალური პრაქტიკაში. ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების უფლებების შესახებ დეკლარაციის მე-2 მუხლის თანახმად, უმცირესობები არ უნდა გახდნენ იძულებულები დამალონ თავიანთი კულტურა, ენა და რელიგია<sup>136</sup>. უმცირესობებს უნდა შეეძლოთ საკუთარი იდენტობის მახასიათებლების გარეგნული გამოვლენა, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური ფორმით.

„უმცირესობების მიერ საკუთარი კულტურის შენარჩუნება და განვითარება“ ფართოდ ინტერპრეტირებადი უფლებაა, რომელიც უმცირესობის სხვადასხვა საქმიანობაში გამოიხატება.

როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკა აჩვენებს, უმცირესობების საქმიანობა შესაძლებელია, დაკავშირებული იყოს მაგალითად, მიწის რესურსების გამოყენებასთან, განსაკუთრებით მკვიდრი მოსახლეობის შემთხვევაში<sup>137</sup>. „საკუთარი კულტურით სარგებლობა“ შეიძლება გამოიხატოს ისეთ ტრადიციულ აქტივობაში, როგორცაა თევზაობა, ნადირობა, კონკრეტულ ადგილზე ცხოვრება და სხვა<sup>138</sup>.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქმეზე - *Sanda Lovelace vs. Canada*, განმარტა, რომ სანდრა ლავლეისა უფლება ჰქონდა კანადის მიერ აღიარებული ყოფილიყო ინდიელ ეთნიკურ უმცირესობად. კანადის ხელისუფლებამ სანდრა ლავლეისს ჩამოართვა ინდიელი ეთნიკური უმცირესობის სტატუსი არაინდიელ მოქალაქეზე ქორწინების გამო. განქორწინების შემდეგ, სანდრა ლავლეისს აღარ მიეცა უფლება ესარგებლა ინდიელი ეთნიკური უმცირესობის სტატუსით და მიეღო შესაბამისი კულტურული სარგებელი<sup>139</sup>.

კანადის კანონმდებლობის თანახმად, ინდიელი ქალი, რომელიც დაქორწინდებოდა არაინდიელ მამაკაცზე, კარგავდა ინდიელის სტატუსს და წვდომას ინდიელებისთვის განსაზღვრულ ფედერალურ განათლებისა და სოციალურ პროგრამებზე. ასევე, მათ უზღუდებოდათ ნადირობისა და თევზაობის უფლება და სახლის ფლობისა და რეზერვირებულ ადგილას ცხოვრება შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ლავლეისის საქმეზე ხაზი გაისვა ეთნიკური უმცირესობის სუბიექტურ მახასიათებელს -

---

<sup>135</sup> Ibid, par. 6.2.

<sup>136</sup> Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities, UN, 1992, article 2.

<sup>137</sup> Human Right Committee General comment No 23 on article 27 (Rights of Minorities), par.7.

<sup>138</sup> Lubicon Lake Band v. Canada, Communication No. 167/1984 (26 March 1990); Ivan Kitok v. Sweden, Communication No. 197/1985, CCPR/C/33/D/197/1985 (1988).

<sup>139</sup> Sandra Lovelace v. Canada, Communication No. 24/1977; Canada 30/07/81, UN Doc. CCPR/C/13/D/24/1977.

---

„მიეკუთვნებინა ან არ მიეკუთვნებინა საკუთარი თავი ამა თუ იმ ეთნიკური უმცირესობისათვის“<sup>140</sup>. კომიტეტმა განმარტა, რომ სანდრა ლავლიეს უფლება ჰქონდა, მიეკუთვნებინა თავი კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფისათვის და თავისი იდენტობა ამ გზით დაეცვა<sup>141</sup>. ადამიანის უფლებათა კომიტეტის შეფასებით „ადამიანები, რომლებიც დაიბადნენ და აღიზარდნენ რეზერვირებულ ადგილას და შეინარჩუნეს კონკრეტულ ადგილთან ბმა და სურთ კონკრეტულ თემთან კავშირების შენარჩუნება, მიჩნეულ უნდა ყოფილყვნენ უმცირესობებად, რომელზეც ვრცელდება საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლის დაცვის ფარგლები“<sup>142</sup>.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით სანდრა ლავლიესი გაიზარდა რეზერვაციაში და დაქორწინების შემდეგ, მხოლოდ რამდენიმე წლით დატოვა საცხოვრებელი ადგილი. საკუთარი კულტურით სარგებლობასთან დაკავშირებით, კომიტეტმა განმარტა, რომ ამ რეზერვაციის გარდა, სხვა ადგილას არ არსებობდნენ ჯგუფები, რომლებიც იგივე ენითა და კულტურით სარგებლობდნენ. შესაბამისად, სანდრა ლავლიესი ერთმეოდა საკუთარი კულტურით სარგებლობის შესაძლებლობა<sup>143</sup>.

სანდრა ლავლიესის საქმის პრეცედენტულობა უმცირესობის სუბიექტური მახასიათებლის ხაზგასმაში ვლინდება. კერძოდ, პირის უფლებაში თვითიდენტიფიკაცია მოახდინოს ან არ მოახდინოს კონკრეტულ უმცირესობასთან.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქმეზე - *Länsman et al v Finland* განმარტა, რომ თუ ეკონომიკური საქმიანობა კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის კულტურის არსებით ნაწილს წარმოადგენს, მასზე ვრცელდება საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლით დაცული ფარგლები. კომიტეტმა ეკონომიკური საქმიანობა კულტურის შემადგენელ ნაწილად მიიჩნია. საქმე ეხებოდა ჩრდილოეთის ირმების მოშენებას/მწყემსვას, რაც ფინეთში მცხოვრები ლაპლანდიელი ტომების კულტურის ნაწილი იყო. კომიტეტმა განმარტა, რომ ამგვარი ტრადიციული საქმიანობა შესაძლოა ვითარდებოდეს თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ. კომიტეტის შეფასებით, „საკუთარი კულტურით სარგებლობის უფლება არ შეიძლება დაწესდეს in abstracto – აბსტრაქტულად, და ის კონკრეტულ კონტექსტში არსებობს“.<sup>144</sup>

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქმეზე - *Apirana Mahuika v. New Zealand* განმარტა, რომ საერთაშორისო პაქტის 27-ე მუხლი იცავს არა მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების

---

<sup>140</sup> Ibid, par. 7-16.

<sup>141</sup> Ibid, par. 7-16.

<sup>142</sup> Sandra Lovelace v. Canada, Communication No. 24/1977: Canada 30/07/81, UN Doc. CCPR/C/13/D/24/197

<sup>143</sup> Ibid, par.1-9.

<sup>144</sup> Jouni E. Länsman et al. v. Finland, Communication No. 671/1995, U.N. Doc. CCPR/C/58/D/671/1995 (1996)

66-76. ასევე: ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 26.

---

ტრადიციული ცხოვრებისა და არსებობის საშუალებებს, არამედ, იმ საშუალებებსაც, რომელიც წლების განმავლობაში ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად განვითარდა<sup>145</sup>. *Apirana Mahuika*-ს საქმეზე უმცირესობის კულტურისა შენარჩუნებისა და განვითარების უფლება ფართოდ განიმარტა, რომელმაც როგორც ტრადიციული ცხოვრების საშუალებები, ისე ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად განვითარებული საშუალებებიც მოიცვა.

ეროვნული უმცირესობების იდენტობის შენარჩუნებისა და დაცვის უფლებას ითვალისწინებს ევროსაბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“<sup>146</sup>. კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან „შუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად“<sup>147</sup>. იდენტობის მახასიათებელ კომპონენტებად ჩარჩო კონვენცია მიიჩნევს რელიგიას, ენას, ტრადიციებს და კულტურულ მემკვიდრეობას. ჩარჩო კონვენციის მე-5 მუხლი, როგორც სპეციალური ნორმა, ადგენს უმცირესობების კულტურული იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების უფლებას და უზრუნველყოფს, რომ ეთნიკურ უმცირესობას მიკუთვნებული ადამიანები იძულებით არ ასიმილირდნენ უმრავლესობასთან და არ დაკარგონ თვითნაირი თვითმყოფადი კულტურული იდენტობის განვითარების შესაძლებლობა<sup>148</sup>.

ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის განმარტებით, კონვენციის მე-5 მუხლი და სახელმწიფოს ვალდებულებები ეროვნული უმცირესობების კულტურისა და იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარებასთან დაკავშირებით ფართოდ უნდა განიმარტოს<sup>149</sup>. ჩარჩო კონვენციის მე-5 მუხლის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოების მიერ იძულებითი ასიმილაციის პრევენცია და უმცირესობების თვითმყოფადი იდენტობის ნიშნების შენარჩუნება და განვითარება<sup>150</sup>. კონვენციის მე-5 მუხლის დაცვის ფარგლები ვრცელდება არა მხოლოდ აღიარებულ ეროვნულ უმცირესობებზე, არამედ იმ

---

<sup>145</sup> *Apirana Mahuika et al.* v. New Zealand, Communication No. 547/1993, U.N. Doc. CCPR/C/70/D/547/1993 (2000); ასევე: ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 26.

<sup>146</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ.

<sup>147</sup> იქვე, მუხლი 5.

<sup>148</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 26.

<sup>149</sup> The Framework Convention: a key tool to managing diversity through minority rights, thematic commentary No. 4 The scope of application of the Framework Convention for the Protection of National Minorities, 2016, 26.

<sup>150</sup> *Ibid*, 26.

---

ჯგუფებზე, რომლებმაც ვერ შეძლეს მათი დამახასიათებელი ნიშნების შენარჩუნება<sup>151</sup>. უმცირესობების იძულებითი ასიმილაციის საწინააღმდეგო ღებულებას შეიცავს ჩარჩო კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც „მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელებისაგან, რომლებიც მიზნად ისახავენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ და უნდა დაიცვან ეს პირები ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ამგვარ ასიმილაციას“<sup>152</sup>.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტმა რიგი რეკომენდაციები შეიმუშავა საქართველოს მიმართ კონვენციის მე-5 მუხლის სტანდარტების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ხელი შეუწყოს ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზანს ეროვნული უმცირესობების იდენტობებისა და კულტურის დაცვა<sup>153</sup>. საკონსულტაციო კომიტეტის განმარტებით, უმცირესობების იდენტობისა და კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების კუთხით სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ თითოეული უმცირესობის თავისებურებანი და საჭიროებები<sup>154</sup>. სახელმწიფოებმა უნდა გაწიონ მიზანმიმართული ძალისხმევა უმცირესობების კულტურის აღორძინების კუთხით, რომლის გარეშეც შეუძლებელია იდენტობის მახასიათებელი ასპექტების გამოხატვა. სახელმწიფომ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გასწიოს იმ მცირერიცხოვანი ჯგუფების ინტეგრაციის კუთხით, რომლებიც იბრძვიან საკუთარი დამახასიათებელი ნიშნების შენარჩუნებისა და იძულებითი ასიმილაციის წინააღმდეგ<sup>155</sup>.

მრჩეველთა კომიტეტმა საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ 2019 წლის მე-3 შემაჯამებელ დასკვნაში ხელისუფლებას მოუწოდა, ისე შეიმუშაოს კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერი პროცედურები და პოლიტიკა, ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე, რომ ფონდები ხელმისაწვდომი იყოს ნაკლებად გამოცდილი ორგანიზაციებისთვის და მიზნად ისახავდეს ყველა ეროვნულ უმცირესობათა, მათ შორის რიცხობრივად მცირე ჯგუფების ან თემების, იდენტობის და კულტურის ხელშეწყობას<sup>156</sup>.

---

<sup>151</sup> Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of Financial Minorities, third Opinion on Finland adopted on 14 October 2010, ACFC/OP/III(2010)007; Advisory Committee on the Framework Convention for the protection of National Minorities, third Opinion on the Czech Republic, adopted on 1 July 2011, ACFC/OP/III(2011)008.

<sup>152</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ; მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>153</sup> Advisory Committee on the Framework Convention for the Protection of National Minorities, third Opinion on Georgia adopted on 7 March 2019.

<sup>154</sup> The Framework Convention: a key tool to managing diversity through minority rights, thematic commentary No. 4 The scope of application of the Framework Convention for the Protection of National Minorities, 2016, 26.

<sup>155</sup> Ibid, 26.

<sup>156</sup> მრჩეველთა კომიტეტის 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002, 22.

---

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უმცირესობების უფლებების სპეციალურ მოწესრიგებას არ ახდენს და ძირითადად, ანტიდიკრიმინაციული დებულებებით შემოიფარგლება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უმცირესობების უფლებებს სხვადასხვა უფლებების ჭრილში განიხილავს. უმცირესობების მიერ საკუთარი კულტურის შენარჩუნება და განვითარების უფლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ძირითადად, კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) ფარგლებში განიხილავს. კონვენციის მე-8 მუხლის ჭრილში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მსჯელობს უმცირესობების უფლებაზე, მისდინ პირად და ოჯახურ ცხოვრებას თავიანთი ტრადიციებისა და კულტურული იდენტობის შესაბამისად<sup>157</sup>. კულტურული იდენტობის უფლებასთან მიმართებით ევროპული სასამართლო ასევე მსჯელობს კონვენციის მე-9 მუხლთან მიმართებით რელიგიური იდენტობის ჭრილში და მე-11 მუხლთან მიმართებით კულტურული მიზნით გაერთიანების თავისუფლების ფარგლებში<sup>158</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე - *Chapman vs. UK*, რომელიც ბოშათა ცხოვრების წესს და საკუთარ საკუთრებაში სამოგზაურო ქარავნის გაშლასთან დაკავშირებით სპეციფიურ სირთულეებს უკავშირდებოდა<sup>159</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ სამოგზაურო ქარავნის გაშლა ბოშების ეთნიკური იდენტობის შემადგენილი ნაწილია, რომელიც ბოშების მოგზაურ ცხოვრების ხანგრძლივ ტრადიციასა და წესში ვლინდება<sup>160</sup>. სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლით განსაზღვრული ადამიანის პირადი და საოჯახო ცხოვრება, ასევე გულისხმობს ეთნიკური უმცირესობების უფლებას, დაიცვას საკუთარი იდენტობა და ეწეოდეს პირად და საოჯახო ცხოვრებას ტრადიციების შესაბამისად<sup>161</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის არსებობს „მზარდი საერთაშორისო კონსენსუსი“ უმცირესობების სპეციფიურ საჭიროებებთან და წევრსი სახელმწიფოების ვალდებულებებთან დაკავშირებით, რომელიც უმცირესობების უსაფრთხოების, იდენტობის და ცხოვრების წესის დაცვაში ვლინდება. უმცირესობების უფლების დაცვის მიზანი არა მხოლოდ მათი ინტერესების გარანტირებაა, რამედ ასევე მათი კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება და განვითარებაა<sup>162</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბოშათა ცხოვრების სტილის განვითარების ხელშეწყობა, მათი განსხვავებული საჭიროებების და ცხოვრების წესის ასახვა კანონმდებლობასა და პოლიტიკაში<sup>163</sup>.

---

<sup>157</sup> Cultural rights in the case-law of the European Court of Human Rights, European Court of Human Rights, January 2011 (updated 17 January 2017), 4.

<sup>158</sup> იქვე, 14.

<sup>159</sup> ჩაპმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Chapman v. the United Kingdom*), 2001 წლის 18 იანვარს, პარ. 73.

<sup>160</sup> იქვე, პარ. 73.

<sup>161</sup> იქვე, პარ. 73.

<sup>162</sup> ჩაპმანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Chapman v. the United Kingdom*), 2001 წლის 18 იანვარს, პარ. 93.

<sup>163</sup> იქვე, პარ. 96.

---

*Champan*-ის საქმის მსგავსი სტანდარტი განავითარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებზე - *Yordanova and Others v. Bulgaria*<sup>164</sup> და *Winterstein and Others v. France*<sup>165</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *ვინტერშტაინის საქმეზე* საცხოვრისის უფლებასთან ერთად ხაზი გაუსვა კერძო და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის მნიშვნელობას და განმარტა, რომ ქარავანით სარგებლობა ბოშათა სამოგზაურო წესის განუყოფელი ნაწილია და მათი იდენტობის შემადგენელს ქმნის. ქარავნის გაშლა გავლენას ახდენს ბოშათა შესაძლებლობაზე, შეინარჩუნონ მათი იდენტობა და გაუძღვნონ კერძო და საოჯახო ცხოვრებას მათი ტრადიციების შესაბამისად<sup>166</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Munoz Diaz vs. Spain* ბოშათა ქორწინების წესი მათი კულტურული იდენტობის ნაწილად მიიჩნია, რომლის აღიარების და პატივისცემის ვალდებულება სახელმწიფოს ეკისრება<sup>167</sup>. მითითებულ საქმეში ესპანეთის სახელმწიფომ ბოშა ქალს უარი უთხრა პენსიის მიღებაზე მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, რადგან ისინი ტრადიციული ბოშური წესით იყვნენ დაქორწინებულები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ბოშური ზნეჩვეულებებითა და ტრადიციებით ქორწინების წესის კანონიერება საჯარო წესრიგთან წინააღმდეგობის კუთხით არასოდეს დამდგარა ესპანეთის მთავრობის მიერ კითხვის ნიშნის ქვეშ<sup>168</sup>. ევროპული სასამართლოს შეფასებით „თემის კოლექტიური რწმენის ძალა, რომელიც ნათლად გამოყრებულია კულტურული მახასიათებლით, არ შეიძლება სახელმწიფოს მიერ უგულვებელყოფილ იქნას“<sup>169</sup>. *Munoz Diaz*-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა სასამართლომ ხაზი გაუსვა მომჩივნის რწმენის მნიშვნელობას, როდესაც იგი ბოშური თემისადმი მიკუთვნებადობიდან მომდინარეობს, თემიდან, რომელსაც აქვს მისი საკუთარი ფასეულობები, რომელიც ღრმად არის გამჯდარი ესპანურ საზოგადოებაში<sup>170</sup>.

*Munoz Diaz*-ის საქმისგან განსხვავებით, *საქმეზე - Z.H. and R.H. v. Switzerland* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან კულტურული იდენტობის კონკრეტული მახასიათებელი ცალსახად არღვევდა შვეიცარიის კანონმდებლობას, რომელიც დაუშვებლად მიიჩნევდა 16 წელს მიუღწეველ პირთან ქორწინებას<sup>171</sup>. *Z.H. and R.H.* საქმეზე მომჩივნები,

---

<sup>164</sup> ორდანოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (*Yordanova and Others v. Bulgaria*), 2012 წლის 24 აპრილი.

<sup>165</sup> ვინტერშტაინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (*Winterstein and Others v. France*), 2013 წლის 17 ოქტომბერი.

<sup>166</sup> იქვე, პარ. 142

<sup>167</sup> მუნოს დიაზი ესპანეთის წინააღმდეგ (*Munoz Diaz vs. Spain*), 2009 წლის 8 დეკემბერი.

<sup>168</sup> იქვე, პარ. 59.

<sup>169</sup> მუნოს დიაზი ესპანეთის წინააღმდეგ (*Munoz Diaz vs. Spain*), 2009 წლის 8 დეკემბერი, პარ. 59

<sup>170</sup> იქვე, პარ. 56.

<sup>171</sup> *Z.H. and R.H. v. Switzerland*, 8.12.2015.

---

რომლებიც ავღანეთის მოქალაქეები იყვნენ შვეიცარიის თავშესაფრის თანამშრომლებს წარუდგინენ, როგორც დაქორწინებული წყვილი. მომჩივნების განმარტებით, ისინი რელიგიური წესით დაქორწინდნენ ირანში. პირველი მომჩივანი იყო 14 წლის, ხოლო მეორე - 18 წლის. შვეიცარიის თავშესაფრის სამსახურის თანამშრომლებმა არ აღიარეს მათი კანონიერება და უარი უთხრეს მათ თავშესაფრის მიღებაზე. შვეიცარიის კანონმდებლობით იკრძალებოდა სექსუალური კავშირი 16 წლამდე პირთან და იგი სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნეოდა.

როდესაც არჩევანია გასაკეთებელი ეროვნული კანონმდებლობის, საჯარო წესრიგის დაცვასა და ეთნიკური უმცირესობების კულტურის დაცვას შორის, უპირატესობა სწორედ პირველს ენიჭება<sup>172</sup>. ეროვნული კულტურისა და იდენტობის დაცვისა და შენარჩუნების უფლება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობას და საჯარო წესრიგს, რაც შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს ჩაერიოს ამ უფლებაში<sup>173</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *R.B. v. Hungary* განმარტა, რომ ბოშათა თემის მიმართ რასიალიზაციისკენ მიმართული ქმედებები და მათ მიმართ დამკვიდრებული ნეგატიური სტერეოტიპები გავლენას ახდენენ თემის წევრთა იდენტობის გრძნობაზე, თემის თვითშეფასებასა და თვითდაჯერებაზე. აღნიშნული კი საბოლოო ჯამში ხილული ხდება ბოშათა თემის წერთა მიერ პირადი ცხოვრების უფლების რეალიზაციისას<sup>174</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი იცავს საკუთარი კულტურული და ეთნიკური იდენტობის არჩევის უფლებას და სახელმწიფოს ავალდებულებს პატივი სცეს არჩევანს<sup>175</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Ciubotaru v. Moldova* განმარტა, რომ „პირის ეთნიკური იდენტობა მისი კერძო ცხოვრების არსებით ასპექტს შეადგენს.“<sup>176</sup>

საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები ეროვნული იდენტობისა და კულტურის დაცვის უფლებასთან დაკავშირებით მოწმობს, რომ ეს უფლება განყენებულად და იზოლირებულად არ არსებობს და განიხილება სხვადასხვა უფლებისა და თავისუფლებების ჭრილში, თუმცა კონკრეტული ეთნიკური უმცირესობისთვის მიკუთვნებული ეთნიკური და კულტურული მახასიათებლებიდან გამომდინარე<sup>177</sup>.

---

<sup>172</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 28.

<sup>173</sup> Z.H. and R.H. v. Switzerland, 8.12.2015

<sup>174</sup> R.B. v. Hungary, 12.04.2016, par. 78

<sup>175</sup> Cultural rights in the case-law of the European Court of Human Rights, / European Court of Human Rights, January 2011 (updated 17 January 2017), 17.

<sup>176</sup> ჩიუბოტარუ მოლდოვას წინააღმდეგ (Ciubotaru v. Moldova), 2010 წლის 27 აპრილი.

<sup>177</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 29.

---

საქართველო ცდილობს პოლიტიკის დოკუმენტებში და უწყებათა შიდა აქტებში გაითვალისწინოს უმცირესობების კულტურული ინტეგრაციის ხელშეწყობი დებულებები. 2016 წელს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ მიიღო „კულტურის სტრატეგია 2025“. სტრატეგიის 2.2 პუნქტი ითვალისწინებს საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის, სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირების, ახალგაზრდების, უმცირესობების აქტიურად მონაწილეობას კულტურულ ცხოვრებაში და მათთვის ხელმისაწვდომ კულტურის ინფრასტრუქტურას და რესურსებს<sup>178</sup>. სტრატეგიის ამოცანებია: სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირების, ახალგაზრდების, უმცირესობების გააქტიურება მათი კულტურულ ცხოვრებაში ჩართვის მიზნით, შესაბამისი კულტურული და შემოქმედებითი პროექტების, ინიციატივების, ღონისძიებებისა და კამპანიების ორგანიზება და შესაბამისი სივრცეების ხელმისაწვდომობის მხარდაჭერა; სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირებისა და უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, სპეციალური, ადაპტირებული მედია პროგრამების შემუშავების მხარდაჭერა; უმცირესობების ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა, ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა და სხვ. სტრატეგიის 2.4 პუნქტი განსაზღვრავს კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და განვითარების მიზნით, საქართველოში მცხოვრებ უმცირესობათა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და აღდგენას<sup>179</sup>.

სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთ მიზანს ეთნიკური უმცირესობების უფლებების დაცვა, იდენტობის შენარჩუნება და ეთნოკულტურის განვითარებისთვის გათვალისწინებული ის საჭიროებები და ღირებულებებია, რომლებსაც სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები იზიარებენ<sup>180</sup>. სტრატეგიაში ჩამოყალიბებული განმარტებით „ეთნიკური იდენტობა მოიაზრებს ეთნიკური ჯგუფებისთვის დამახასიათებელი მემკვიდრეობის შემადგენელი სიმბოლოების - ენის, კულტურის, ტრადიციების დაცვას, რეინტერპრეტაციასა და ინდივიდის მიერ მათთან იდენტიფიკაციას.“<sup>181</sup>

საქართველოში, კვლავ არსებობს პრობლემები პრაქტიკაში არადომინანტური კულტურისთვის საკმარისი სივრცის გამოწვევის კუთხით, რომელიც საერთო კულტურაში უმცირესობების კულტურის ჩართულობას მოახდენდა და დომინანტურ და

---

<sup>178</sup> საქართველოს სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი „კულტურის სტრატეგია 2025“ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N 303 დადგენილებით.

<sup>179</sup> საქართველოს სახელმწიფო კულტურის პოლიტიკის დოკუმენტი „კულტურის სტრატეგია 2025“ დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N 303 დადგენილებით.

<sup>180</sup> სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2021 – 2030 წლების სახელმწიფო სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე, საქართველოს მთავრობის დადგენილება N356 2021 წლის 13 ივლისი.

<sup>181</sup> იქვე, 5.



---

არადომინანტურ ეთნოსებს ერთმანეთის ტრადიციების, ზნეჩვეულებებისა და კულტურული ფასეულობების უკეთესად გაცნობის შესაძლებლობას მისცემდა<sup>182</sup>. უმცირესობების კულტურული ინტეგრაცია ორმხრივი პროცესია და ასევე, გულისხმობს დომინანტი ეთნოსის მიერ უმცირესობის კულტურის გაცნობას რეალური ინკლუზიის მიღწევის მიზნით<sup>183</sup>. სახელმწიფოს მიერ კულტურის მონოეთნიკური და მონორელიგიური აღქმა აფერხებს უმცირესობის ინტეგრაციის პროცესს, რაც დომინანტ თემთან მის გაუცხოებას უწყობს ხელს.

## 5.2. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება

ინკლუზიური და მრავალფეროვანი საზოგადოების მშენებლობისთვის ერთ-ერთ ძირითად პირობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება წარმოადგენს<sup>184</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში არადომინანტური ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის საკითხს ორი ამოსავალი წერტილი აქვს - უსაფრთხოება და უფლებები<sup>185</sup>. ველერის შეფასებით, ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება განვითარების პირველ ეტაპზე ჯგუფის შიგნით მონაწილეობის შესაძლებლობას მოიაზრებდა და კულტურული ან ტერიტორიული ავტონომიის კუთხით ჯგუფის თვითმმართველობას გულისხმობდა<sup>186</sup>. უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის კონცეფტის მეორე ფაზაზე, მონაწილეობა განიხილებოდა უმცირესობის უფლებად, მათვე განესაზღვრათ საჯარო პოლიტიკის საკითხები, რომელიც ეხებოდა არა მხოლოდ უმცირესობის ჯგუფს, არამედ საზოგადოების ყველა სეგმენტს<sup>187</sup>. ფაქტიურად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება გასცდა ჯგუფის შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესს და საერთო საზოგადოებრივი ხასიათი მიიღო<sup>188</sup>. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის დისკურსის მესამე ფაზაზე, მიჩნეულ იქნა, რომ უმცირესობებს სჭირდებოდა უფრო მეტი, ვიდრე სამართლებრივი სივრცე, სადაც მათ არსებობის და იდენტობის შენარჩუნების შესაძლებლობა ექნებოდათ<sup>189</sup>. ველერი მიიჩნევდა, რომ უმცირესობების რეალური ინტეგრაციისთვის, მნიშვნელოვანი იყო, რომ უმცირესობებს ჰქონდათ სახელმწიფოს „თანასაკუთრების“ განცდა<sup>190</sup>. ამისთვის, უმცირესობებისთვის

---

<sup>182</sup> საგანგებობაზანას ვირუსი ნაწილი II, სამოქალაქო იდეა, 2020, 20.

<sup>183</sup> იქვე, 20.

<sup>184</sup> Handbook, Participatory Mechanisms for National Minorities, ECMI, December, 2015, 4

<sup>185</sup> არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციებში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, 9.

<sup>186</sup> Weller, M., Minority Consultative Mechanisms: Towards Best Practices, *European Yearbook of Minority Issues Online*, Vol 7, 2007/8, 2010, 1.

<sup>187</sup> იქვე, 1.

<sup>188</sup> იქვე, 1.

<sup>189</sup> იქვე, 1.

<sup>190</sup> Weller, M., Minority Consultative Mechanisms: Towards Best Practices, *European Yearbook of Minority Issues Online*, Vol 7, 2007/8, 2010, 1.

---

გარანტირებული უნდა ყოფილიყო სრული და ეფექტიანი მონაწილეობა საჯარო პოლიტიკის ყველა ასპექტში საერთო ეროვნულ დონეზე<sup>191</sup>. უმცირესობების სრული მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ორ ასპექტში განიხილება. კერძოდ, სახელმწიფო ორგანოები დაკომპლექტებული უნდა იქნას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებით და უმცირესობების მონაწილეობა საზოგადოებრივ საქმეებში უნდა იყოს ეფექტიანი<sup>192</sup>.

არადომინანტური ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით, ვერსტიჩელი ორ მნიშვნელოვან სემინარზე საუბრობს: ჯგუფების მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მათი გავლენის არსებობა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე<sup>193</sup> ანუ უმცირესობების ჯგუფების ეფექტიანი (meaningful) მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და საბოლოო გადაწყვეტილებაზე რეალური ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა. ვესტიჩელი, ორივე ინსტრუმენტს არსებითად მნიშვნელოვანად მიიჩნევს უმცირესობების მონაწილეობის და რეპრეზენტაციის საკითხში<sup>194</sup>.

პოლიტიკური მონაწილეობის იდეა მთავარ ადგილს იკავებს დემოკრატიაში, რომელიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მაქსიმალურ ინკლუზიასა და დამოკიდებულებას<sup>195</sup>. სახელმწიფო რეფორმების უპირველესი მიზანი, ძალაუფლების შეზღუდვა, ინკლუზიური და დელიბერაციული მექანიზმების შექმნა და ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტების დაცვა<sup>196</sup>.

მეცნიერ იანგის განმარტებით „სახელმწიფო პოლიტიკა მხოლოდ ჯგუფებისა და მათი იდენტობის აღიარებაზე არ უნდა ჩერდებოდეს, საჭიროა, რომ ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების მიმართ პოლიტიკური მიდგომები ამოდიოდეს სამართლიანობის, თანასწორი შესაძლებლობებისა და პოლიტიკური ინკლუზიის პრინციპებიდან.“<sup>197</sup>

---

<sup>191</sup> იქვე, 1.

<sup>192</sup> Kempin Reuter, T., Dealing with Claims of Ethnic Minorities in International Law, HeinOnline -- 24 Conn. J. Int'l L. 201 2008-2009, 223.

<sup>193</sup> Verstichel, A., *Understanding Participation and Representation of Minorities and the Issue of Citizenship*, Oxford University Press, 2010, 72-94. ასევე: მამედლი, ქ., *არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის თეორიები და მოდელები - მიმოხილვა; უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა, თეორიული ჩარჩო, საერთაშორისო სტანდარტები და პერსპექტივები საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, 10.*

<sup>194</sup> Verstichel, A., *Understanding Participation and Representation of Minorities and the Issue of Citizenship*, Oxford University Press, 2010, 72-94.

<sup>195</sup> Pateman, C., *Participation and Democratic Theory*, Cambridge University Press, Cambridge, 1970, 2. Verba, S., *Democracy in America*, University of Chicago Press, Chicago, 1972, 1.

<sup>196</sup> არადომინანტური ეთნიკური ჯგუფების პოლიტიკური მონაწილეობის საკითხი საქართველოს კონსტიტუციებში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, 10.

<sup>197</sup> ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კვლევა, ფონდი-ლია საზოგადოება საქართველო, 2019, 10. Iris Marion Young, *Inclusion and Democracy*, Oxford University Press, 2000.

---

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ეთნიკური უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობით, მათ ეძლევათ საშუალება, დაიცვან და განავითარონ საკუთარი ინტერესები და ღირებულებები, შექმნან ინტეგრირებული და პლურალისტური საზოგადოება, რომელიც ტოლერანტობასა და დიალოგს დაეფუძნება<sup>198</sup>. უმცირესობები საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობით იცავენ საკუთარ უფლებებს, ახდენენ წუხილების არტიკულირებას და მათ პოლიტიკურ პროცესებში დაყენებას<sup>199</sup>. საჯარო ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში მონაწილეობით, უმცირესობებს ექმნებათ შესაძლებლობა, თავად გამოძერწონ საკუთარი ცხოვრება და ხელი შეუწყონ პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას ქვეყანაში<sup>200</sup>. უმცირესობების საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობა ნებაყოფლობით ხასიათს უნდა ატარებდეს და იძულებითი ასიმილაციის შედეგს არ უნდა წარმოადგენდეს. უმცირესობის მონაწილეობა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ბუნებრივი პროცესი უნდა იყოს, რომელიც უმცირესობების ინკლუზიის ხელშეწყობას ეფუძნება<sup>201</sup>.

„უმცირესობის უფლებები დამატებითი გარანტიაა იმისათვის, რათა ამ ჯგუფებმა თანაბრად ისარგებლონ იმ უფლებებით, რაც აქვს მოსახლეობის უმრავლესობას“<sup>202</sup>.

ბიბერის განმარტებით, საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება დამცავი უფლებაა, რომელიც იცავს უმცირესობებს საზოგადოებისგან გარიყვისა და მარგინალიზებისგან<sup>203</sup>.

უმცირესობების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის აღქმა ეფუძნება უმცირესობების ინკლუზიის აუცილებლობას ეკონომიკურ და სოციალურ პროცესებში<sup>204</sup>. შესაბამისად, გაზიარებულ უნდა იქნას მიდგომა იმასთან დაკავშირებით, რომ „უმცირესობები ვერ გაიზიარებენ სახელმწიფოზე ownership-ს, ანუ „საკუთრების განცდას“ და ვერ იქნებიან პოლიტიკაში ჩართულები, თუკი არ არიან სრულად ინტეგრირებულები სოციალურ და კულტურულ სფეროებში“<sup>205</sup>. პოლიტოლოგი ბიბერის განმარტებით „უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა ის ცნებაა, რომელშიც

---

<sup>198</sup> Commentary to the Declaration on the Rights of Persons Belonging to National or Ethnic, Religious and Linguistic Minorities, E/CN.4/Sub.2/AC.5/2001/2, 02/04/2001. Par.35.

<sup>199</sup> Ibid, par.35.

<sup>200</sup> Ibid, par.35.

<sup>201</sup> Ibid, par.35.

<sup>202</sup> ფირანიშვილი, თ., ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმები - რეალობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება; უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა, თეორიული ჩარჩო, საერთაშორისო სტანდარტები და პერსპექტივები საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, 33.

<sup>203</sup> Bieber, F., Introduction: Minority Participation and Political Parties, Skopje, 2008, 7.

<sup>204</sup> ფირანიშვილი თ., ეთნიკური უმცირესობების საკონსულტაციო მექანიზმები - რეალობა საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება; უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა, თეორიული ჩარჩო, საერთაშორისო სტანდარტები და პერსპექტივები საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, 10.

<sup>205</sup> იქვე, 33-34.

---

უმცირესობის უფლებები და მათ მიმართ არსებული სოციალური განწყობა ერთმანეთს ერწყმის<sup>206</sup>.

დღეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას ავტონომიურ უფლებად განიხილავს, რაც არაერთი საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტით არის გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება ყველა ადამიანის უფლებაა, უმცირესობების მოწყვლადობის და გარიყულობის პრობლემის გათვალისწინებით, ადამიანის უფლებათა დაცვის სამართალი მას სპეციფიურად უდგება უმცირესობების საჭიროებების გათვალისწინებით.

უმცირესობების უფლებების დაცვა ოთხ ძირითად პოსტულატს ეფუძნება: თანასწორობა, აღიარება, დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობა და საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა<sup>207</sup>. უმცირესობების უფლებების დაცვის ოთხივე სეგმენტი უმცირესობების ინტეგრაციისა და ინკლუზიის მიზანს ემსახურება.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება გულისხმობს უმცირესობების მონაწილეობას კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში და საჯარო სფეროში განსაკუთრებით, იმ საკითხებთან მიმართებით, რაც უმცირესობებს ეხებათ.

გეროს საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლი ზოგადად განმარტავს, რომ „თითოეულ მოქალაქეს დისკრიმინაციისა და დაუსაბუთებელი შეზღუდვების გარეშე უნდა ჰქონდეს უფლება და შესაძლებლობა, მონაწილეობდეს სახელმწიფო საქმეთა წარმოებაში, როგორც უშუალოდ, ისე თავისუფლად არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით.“<sup>208</sup> საერთაშორისო პაქტი ზოგადად განსაზღვრავს მოქალაქეების საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას და ცალკე არ გამოყოფს უმცირესობებს. საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი გამოყოფს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების განხორციელების შესაძლებლობას არადისკრიმინაციულ საფუძველზე<sup>209</sup>. პაქტის 25-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი კი განსაზღვრავს მოქალაქის უფლებას, თანასწორ პირობებში შეძლოს სახელმწიფო სამსახურში შესვლა<sup>210</sup>. საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლი ასევე თანასწორობის ზოგადი პრინციპების დაცვით, სახელმწიფოში არსებულ საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უფლებასაც განსაზღვრავს. პაქტის 25-ე მუხლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის კუთხით მითითებას აკეთებს პაქტის მე-2 მუხლზე, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას

---

<sup>206</sup> Bieber, B., Introduction: Minority Participation and Political Parties, Friedrich Ebert Stiftung collection of articles „Political Parties and Minority Participation“, 2008, 5. პოზიტიური მექანიზმები უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის მხარდასაჭერად, საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა, EMC, 2020, 3.

<sup>207</sup> Handbook, Participatory Mechanisms for National Minorities, ECMI, December 2015, 15.

<sup>208</sup> გეროს 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 25-ე მუხლი.

<sup>209</sup> 25-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>210</sup> 25-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

---

ცაკლული ნიშნების მიხედვით. საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლი დისკრიმინაციის სხვა ნიშნებთან ერთად კრძალავს დისკრიმინაციას ეთნიკური და რელიგიური ნიშნით<sup>211</sup>.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის შეფასებით „პოლიტიკური მონაწილეობა საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის ცენტრალური ნაწილია, ვინაიდან ის განსაზღვრავს ეთნიკური უმცირესობებისთვის სხვა საჯარო სიკეთეებზე ხელმისაწვდომობას და საჯარო პროცესებში ჩართულობას, მათი ინტერესების ასახვას ეროვნულ დღის წესრიგში. პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლების ნებისმიერი შეზღუდა უნდა იყოს ობიექტური, გონივრული, არადისკრიმინაციული და კანონით გათვალისწინებული“<sup>212</sup>.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პრაქტიკა უმცირესობების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით ანტიდისკრიმინაციულ და უმცირესობების ინკლუზიაზე დაფუძნებულ პრინციპებს ეყრდნობა. კომიტეტი მიხედულობის ფართო ფარგლებს ანიჭებს სახელმწიფოს, თავად განსაზღვროს ის ინსტრუმენტები, რითაც უზრუნველყოფს უმცირესობების მონაწილეობის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 1991 წელს განიხილა საქმე - *Marshall v. Canada*, რომელიც საჯარო საქმეებში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის უფლების შესაძლო დარღვევას ეხებოდა. მომჩივნების განმარტებით, კანადის ხელისუფლებამ არ მოახდინა კონსულტირება უმცირესობის ჯგუფთან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ჯგუფის უშუალო ინტერესებს შეეხებოდა. კანადის ხელისუფლებამ არ მიიწვია უმცირესობის ჯგუფი კონფერენციაზე, სადაც უმცირესობის ჯგუფის ადგილობრივი საკითხები განიხილებოდა<sup>213</sup>. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა არ დაადგინა საერთაშორისო პაქტის დარღვევა და განმარტა, რომ თავად სახელმწიფოს კონსტიტუციურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს უმცირესობების საჯარო საქმეებში მონაწილეობის მექანიზმები<sup>214</sup>. კომიტეტის შეფასებით, საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლის ფარგლებში, პოლიტიკური მონაწილეობის ინსტრუმენტების დადგენის უფლება ეთნიკურ ჯგუფს არ გააჩნია. მას განსაზღვრავს კონსტიტუცია, რომელიც უნდა გარანტირებდეს უმცირესობების მონაწილეობის უფლებას საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში<sup>215</sup>. სწორედ, ეროვნულ სახელმწიფოებს აქვთ დისკრეცია, თავად განსაზღვრონ, თუ რა ზომებით მიაღწევენ უმცირესობების საჯარო ცხოვრებაში

---

<sup>211</sup> გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, მე-2 მუხლი.

<sup>212</sup> General comment No. 25 on right to participate in public affairs, Human Rights Committee, 1996, par. 4. ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 56.

<sup>213</sup> Marshall v. Canada, Communication No. 205/1986, U.N. Doc. C/PR/C/43/D/205/1986 at 40 (1991).

<sup>214</sup> Ibid, par.5-6.

<sup>215</sup> Marshall v. Canada, Communication No. 205/1986, U.N. Doc. C/PR/C/43/D/205/1986 at 40 (1991), par.5-6

---

მონაწილეობას. იგივე მსჯელობას ავითარებს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტი. კომიტეტის განმარტებით, სწორედ ყოველი კონკრეტული სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას, საჯარო ცხოვრებაში უმცირესობების მონაწილეობა უზრუნველყოს საჯარო თუ კერძო ინსტიტუციების მეშვეობით<sup>216</sup>.

ევროსაბჭოს ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლი პაქტის 25-ე მუხლისგან განსხვავებით, უფრო ფართოდ ინტერპრეტირებადი სპეციალური დებულებაა მრავალი თვალსაზრისით და განსაზღვრავს უმცირესობების სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და საზოგადოებრივი მონაწილეობის მომწესრიგებელ სხვადასხვა ასპექტებს.

საერთაშორისო პაქტის 25-ე მუხლის მიხედვით კონცეპტი - საზოგადოებრივი საქმიანობა ეხება პოლიტიკური უფლებამოსილებების განხორციელებას, ხოლო ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლი ეხება საზოგადოებრივი და საჯარო საქმიანობის ფართო სპექტრს. ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლი ფარავს საჯარო მმართველობის ყველა სეგმენტს მმართველობის ყველა დონეზე (საერთაშორისო, ეროვნული, რეგიონალური და ლოკალურ დონეებზე)<sup>217</sup>.

ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლი ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, შექმნან შესაბამისი პირობები უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობისთვის განსაკუთრებით იმ საზოგადოებრივ საქმეებში, რაც კერძოდ უმცირესობებს ეხებათ<sup>218</sup>. ჩარჩო კონვენციის ფარგლებში შექმნილმა მრჩველთა კომიტეტმა, რომელიც ეროვნულ დონეზე კონვენციის დებულებების იმპლემენტაციას ამოწმებს, შეიმუშავა ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლის შეფასების რამდენიმე ძირითადი სეგმენტი, რომელთა შორისაა: წარმომადგენლობა არჩევით ორგანოებში; საკონსულტაციო მექანიზმები და მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში (დასაქმება საჯარო უწყებაში, ეკონომიკური მდგომარეობა, გარემო პირობები, სადაც უმცირესობები კომპაქტურად ცხოვრობენ, ჯანდაცვასა და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და სხვა)<sup>219</sup>. საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება არ შემოიფარგლება მხოლოდ საზოგადოებრივი საქმეებში ჩართულობით და გადაწყვეტილებების მიღებით. ეს უფლება ასევე მოიცავს ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ინკლუზიის უფლებასაც<sup>220</sup>.

---

<sup>216</sup> CERD General Comment No. 10, on Article 1 and Article 5.

<sup>217</sup> Matijević, V, M., Towards a better understanding of the standards of adequate representation of persons belonging to national minorities in public sector, abstract, Institut za Usporedno Pravo, 2019, 20.

<sup>218</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მე-15 მუხლი.

<sup>219</sup> უმცირესობების მონაწილეობის უფლება და ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის სტანდარტები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თბილისი, 2021, 4.

<sup>220</sup> Thematic Commentary No. 4, The scope of application of the framework convention for the protection of national minorities, ACFC/56DOC(2016)001.

---

საკონსულტაციო კომიტეტის შეფასებით, უმცირესობების არჩევით ორგანოებში წარმომადგენლობა არსებითი პირობაა საჯარო საქმეებში მათი ეფექტიანი მონაწილეობისთვის<sup>221</sup>.

საკონსულტაციო კომიტეტის შეფასებით, სახელმწიფომ უნდა მიიღოს პოზიტიური მექანიზმები არჩევით ორგანოებში უმცირესობების წარმომადგენლობასთან დაკავშირებით. პოზიტიურ მექანიზმებში საკონსულტაციო კომიტეტი თვლის უმცირესობების წარმომადგენელი პარტიებისთვის დაბალ საარჩევნო ბარიერს, დარეზერვებული სკამების მექანიზმს და სხვა<sup>222</sup>. ზიგიერთი ევროპული ქვეყანა საარჩევნო ბარიერს ან დაბლა სწევს ან აუქმებს უმცირესობისთვის. მაგალითად, სერბეთში უმცირესობების პარტიებისთვის გაუქმებულია სავალდებულოდ გადასალახავი საარჩევნო ბარიერი. მაგალითად, მონტენეგრო, სპეცბარიერს ადგენს უმცირესობების პოლიტიკური პარტიებისთვის. ევროპაში საარჩევნო ბარიერი საშუალოდ 3-6%-ის ფარგლებში მერყეობს<sup>223</sup>.

საკონსულტაციო კომიტეტმა გააკრიტიკა სომხეთი და ალბანეთი, ეროვნულ დონეზე უმცირესობების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით პოზიტიური და წამახალისებელი მექანიზმების არასაკმარისობის გამო<sup>224</sup>. სომხეთის შეფასების ანგარიშში მრჩეველთა კომიტეტმა განმარტა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა შესაძლებელს ხდის უმცირესობების მონაწილეობას საკანონმებლო და ადმინისტრაციულ ხელისუფლებაში, არ არსებობს პოზიტიური მექანიზმები, რომლებიც გააუმჯობესებდა მათ წარმომადგენლობას და მონაწილეობას ხელისუფლების სხვადასხვა შტოში. ამიტომ, კომიტეტი მიიჩნევს, რომ საჭიროა სპეციალური ზომების მიღება უმცირესობების საჯარო ცხოვრებაში შედეგიანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად“<sup>225</sup>.

მრჩეველთა კომიტეტმა დადებითად შეაფასა ბოსნია-ჰერცეგოვინის საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილება, რითაც შესაძლებელი გახდა უმცირესობების არჩევა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და საბჭოებში, იმგვარად რომ მათთვის გარანტირებული იყო მინიმალური ადგილების რაოდენობა<sup>226</sup>.

---

<sup>221</sup> Matijević, V. M., Towards a better understanding of the standards of adequate representation of persons belonging to national minorities in public sector, abstract, Institut za Uperedno Pravo, 2019, 20.

<sup>222</sup> Compilation of Opinions of the Advisory Committee relating to Article 15 of the Framework Convention for the Protection of National Minorities, 3rd cycle, Albania, 3-5.

<sup>223</sup> Development of electoral systems in Central and Eastern Europe since 1991, Association of European Election Officials, 2016, 31.

<sup>224</sup> Compilation of Opinions of the Advisory Committee relating to Article 15 of the Framework Convention for the Protection of National Minorities, 3rd cycle, Albania, 3-5. Compilation of Opinions of the Advisory Committee relating to Article 15 of the Framework Convention for the Protection of National Minorities, first cycle, 5-6.

<sup>225</sup> Compilation of Opinions of the Advisory Committee relating to Article 15 of the Framework Convention for the Protection of National Minorities, first cycle, 5-6.

<sup>226</sup> Thematic Reports on Bosnia and Herzegovina, <<https://www.coe.int/en/web/minorities/bosnia-and-herzegovina>> [ბოლოს წანახია: 20.02.2022].

---

ბულგარეთთან მიმართებით საკონსულტაციო კომიტეტმა მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა ეთნიკური, რელიგიური ან ეროვნული ნიშნით პოლიტიკური გართიანების შექმნის აკრძალვასთან დაკავშირებით. ბულგარეთის კანონმდებლობით, იკრძალება პარტიების შექმნა ეთნიკური, რელიგიური ან ეროვნული ნიშნით. კომიტეტის შეფასებით, მითითებული საკანონმდებლო შეზღუდვები საკანონმდებლო დონეზე არ არის მიზანშეწონილი და უთანასწორო წინაღობებს ქმნის უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის კუთხით<sup>227</sup>.

საკონსულტაციო კომიტეტის შემაჯამებელი დასკვნით, საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაცია მიეცა, განიხილოს სხვა ნაკლებად აგრესიული ზომები უმცირესობების უფლებებთან მიმართებით და წახალისოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების მხრიდან, თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებების გაძლიერების მიზნით, პოლიტიკური პარტიების შექმნა<sup>228</sup>.

ხორვატია წარმოადგენს სამოდელო მაგალითს უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის ეფექტიან უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. მან შექმნა ეფექტიანი კონსტიტუციური მექანიზმები ხელისუფლების სხვადასხვა შტოში უმცირესობების მონაწილეობისასთან დაკავშირებით და შემოიღო უცირესობებისთვის „დარუზერვებული სკამების“ მექანიზმი, რომლის მიზანიც არჩევით ორგანოებში უმცირესობების მონაწილეობის გაზრდა იყო<sup>229</sup>.

საკონსულტაციო კომიტეტის მიერ პოზიტიურად შეფასდა გერმანიაში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება, რომლის თანახმადაც უმცირესობებს არ ეხებოდათ 5%-იანი საარჩევნო ბარიერო საპარლამენტო არჩევნებისას. ასევე, ადგილობრივ დონეზე, იმ ორ ლანდში, სადაც უმცირესობები მჭიდროდ იყვნენ დასახლებულნი<sup>230</sup>.

საკონსულტაციო მექანიზმები მნიშვნელოვანი ბერკეტია უმცირესობების საჯარო საქმეებში მონაწილეობის გასაზრდელად. მაგალითად, ალბანეთში, სხვადასხვა სამინისტროს ფარგლებში შექმნილია სპეციალური დეპარტამენტები ან გამოყოფილია პირები, რომლებიც უმცირესობების თემატიკაზე მუშაობენ. საკონსულტაციო კომიტეტმა ალბანეთის პრაქტიკა დადებითად შეაფასა<sup>231</sup>.

მაგალითად, ფინეთში მოქმედებს ბოშების ეთნიკური ჯგუფისთვის შექმნილი მრჩეველთა საბჭო და ეთნიკურ ურთიერთობათა მრჩეველთა კომიტეტი. რელევანტური

---

<sup>227</sup> Compilation of Opinions of the Advisory Committee relating to article 15 of the framework convention , second cycle, Bulgaria, 15-16.

<sup>228</sup> მრჩეველთა კომიტეტის 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002,30.

<sup>229</sup> Thematic Reports on Croatia, <<https://www.coe.int/en/web/minorities/croatia>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>230</sup> Thematic Reports on Germany, <<https://www.coe.int/en/web/minorities/germany>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>231</sup> Thematic Reports on Albania, <<https://www.coe.int/en/web/minorities/albania>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].



---

სამინისტროები საბჭოს და კომიტეტს პოლიტიკისა და კანონმდებლობის შემუშავების პროცესში მიმართავენ სამინისტროები. კონსულტირებად საკითხებს შორისაა: ლინგვისტური, განათლების და ინტეგრაციასთან დაკავშირებული თემები. საკონსულტაციო კომიტეტის შეფასებით, მსგავსი ინსტრუმენტები უნდა ფუნქციონირებდეს სხვა ეთნიკური უმცირესობებისთვის, რომელიც მათი ინკლუზიის მნიშვნელოვანი ხელშეწყობი ფაქტორია<sup>232</sup>.

საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის ჭრილში, საკონსულტაციო კომიტეტი უმცირესობების საჯარო სექტორში მონაწილეობასთან ერთად, აფასებს უმცირესობების ხელმისაწვდომობას საჯარო სერვისებზე და მათ ინკლუზიას სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

საკონსულტაციო კომიტეტმა უარყოფითად შეაფასა ალბანეთში არსებული ბარიერები საჯარო სფეროებში (პოლიცია, ჯარო, სასამართლო სისტემა) უმცირესობების არასაკმარის მონაწილეობასთან დაკავშირებით. კომიტეტის შეფასებით, ალბანეთს არ ჰქონდა უმცირესობების მიმართ სენსიტიური პოლიტიკა, რომელიც უმცირესობების დასაქმებას საჯარო სფეროში ხელს შეუწყობდა და რომელიც შესაძლებელს გახდიდა, მათ გამოეყენებინათ საკუთარი ენა სახელმწიფო უწყებებიდან ურთიერთობის დროს<sup>233</sup>.

ფინეთის კანონმდებლობა უზრუნველყოფს სამის ეთნიკური ჯგუფის კულტურულ ავტონომიას, რომლითაც მშობლიურ ენაზე სოციალური და ჯანდაცვის სერვისები უზრუნველყოფილია. მრჩეველთა კომიტეტმა განმარტა, რომ საჭიროა ორენოვანი პერსონალი და ლინგვისტური ტრენინგები, რათა სოციალური სერვისები მართო იმ ადგილას არ იყოს ხელმისაწვდომი, სადაც სამის ხალხი ცხოვრობს, არამედ იქაც, სადაც სამის ხალხი სხვა ჯგუფებთან ერთად შერეულად ცხოვრობს<sup>234</sup>.

საქართველოსთან მიმართებით, მრჩეველთა კომიტეტმა განმარტა, რომ „რეგიონები განიცდიან უმუშევრობას და სიღარიბეს, რადგან ხალხი ცხოვრობს რადიკალურად არახელსაყრელ პირობებში, ეკონომიკურად და ინფრასტრუქტურულად, რის გამოც კავშირები სუსტია საქართველოს სხვა ტერიტორიასთან. ამ დაშორების მიზეზი არ არის მხოლოდ კლიმატი, გეოგრაფია და ისტორიული კონტექსტი, არამედ რეგიონებში რესურსების უთანასწორო გადანაწილება. მაგალითად, აქ ხელმისაწვდომი არ არის ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, ჯანდაცვა, რაც მოსახლეობას უბიძგებს წავიდეს მეზობელ ქვეყნებში. საინტერესოა, რომ აქვე კომიტეტი საუბრობს საქართველოს სხვა რეგიონებში არსებულ მძიმე მდგომარეობაზეც, მაგრამ კომიტეტი სახელმწიფოს მოუწოდებს გააძლიეროს ძალისხმევა ამ სოციალური ჩავარდნის აღმოსაფხვრელად ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში, იმგვარად, რომ აქ მცხოვრებლებმა თანაბრად

---

<sup>232</sup> Thematic Reports on Finland, < <https://www.coe.int/en/web/minorities/finland> > [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>233</sup> Thematic Reports on Albania, < <https://www.coe.int/en/web/minorities/albania> > [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>234</sup> უმცირესობების მონაწილეობის უწყება და ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის სტანდარტები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2021, 19.

---

ისარგებლონ სოციალური და ეკონომიკური უფლებებით და განავითარონ თავიანთი შემოსავლის წყაროები რეგიონში<sup>235</sup>.

მრჩეველთა კომიტეტი ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლის გამოყენებას ინკლუზიურად განიხილავს და მიჩნევს, რომ საზოგადოებრივ საქმეებში ეფექტიანი მონაწილეობა წარმოადგენს საშუალებას ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისთვის.

საკონსულტაციო კომიტეტის განმარტებით, უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობა ფარავს საზოგადოების ფართო საკითხთა სპექტრს და არა მხოლოდ იმ თემებს, რაც უმცირესობებს აწუხებთ. უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობა გულისხმობს იმ საკითხებში მონაწილეობასაც, რაც უმრავლესობას აწუხებს<sup>236</sup>.

ეროვნული უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობის ცენტრალური მნიშვნელობიდან გამომდინარე, გათვალისწინებულ უნდა იქნას ეთნიკური ჯგუფის ფარგლებში არსებული განსხვავებული მოსაზრებები და საჭიროებები, რომლებიც ადეკვატურად უნდა იქნას წარდგენილი გადაწყვეტილების მიმღებებამდე<sup>237</sup>.

მონაწილეობის ეფექტიანობის შეფასებლად საკონსულტაციო კომიტეტმა არა მარტო ის საშუალებები გაანალიზა, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული უმცირესობების სრულ და ეფექტურ თანასწორობას, არამედ გაითვალისწინა მათი ზემოქმედება განსახილველი პირების საერთო მდგომარეობაზე და მთლიანად საზოგადოებაზე<sup>238</sup>. მონაწილეობის ეფექტიანობის კომიტეტისეული შეფასებით, არ არის საკმარისი სახელმწიფოებმა მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში გაითვალისწინონ ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის საკითხი. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ აგრეთვე, რომ აღნიშნული პირების მონაწილეობამ არსებითი გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებებზე და რამდენადაც ეს შესაძლებელია, ისინი ერთობლივად იყოს მიღებული<sup>239</sup>.

ჩარჩო კონვენციის მე-15 მუხლის ერთ-ერთ დანიშნულებას კულტურათაშორის დიალოგის ხელშეწყობა წარმოადგენს. საკონსულტაციო კომიტეტის შეფასებით „ეროვნული უმცირესობები შესამჩნევი უნდა გახდნენ, მათი ხმა გაგონილი და გათვალისწინებული უნდა იქნას და ისინი ქმედით მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მათ შორის, ისეთ საკითხებთან მიმართებით,

---

<sup>235</sup> იქვე, 19.

<sup>236</sup> Thematic reports on Estonia, third cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/estonia>>. Thematic reports on Macedonia, third cycle, < <https://www.coe.int/en/web/minorities/north-macedonia>>. [ბოლოს წაწახვა: 20.02.2022].

<sup>237</sup> Thematic Commentary No. 4, The scope of application of the framework convention for the protection of national minorities, ACFC/56DOC(2016)001, par.29.

<sup>238</sup> საკონსულტაციო კომიტეტის მეორე თემატური კომენტარი ეროვნული უმცირესობებისთვის ეფექტიანი მონაწილეობის შესახებ კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმეებში, 2008, 14-18.

<sup>239</sup> იქვე, 16.

---

რომელიც მთელს საზოგადოებას ეხება. დიალოგი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებითა და სახელისუფლებო სტრუქტურებით. ის უნდა გავრცელდეს საზოგადოების ყველა სეგმენტზე.<sup>240</sup> უმცირესობების ეფექტიანი მონაწილეობის მიზანს წარმოადგენს, საშუალება მისცეს როგორც უმრავლესობას, ისე უმცირესობას, უკეთ გაეცნონ ერთმანეთის კულტურას, ენას, ისტორიას, კულტურათმორისი დიალოგისა და ინტეგრაციის სულისკვეთებით<sup>241</sup>.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით ეუთოს მიერ მიღებულ იქნა ლუნდის რეკომენდაციები<sup>242</sup>. ეუთო მოუწოდებს წევრს სახელმწიფოებს, შექმნან საგანგებო მექანიზმები, უმცირესობების საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდის მიზნით, რათა გაიზარდოს მათი წარმომადგენლობა საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებში<sup>243</sup>. ასევე, ლუნდის რეკომენდაციები სახელმწიფოებს მოუწოდებენ, ადმინისტრაციულმა ხელისუფლებამ გაითვალისწინოს უმცირესობების საჭიროებები და მოსაზრებები პოლიტიკის შემუშავების პროცესში. ეუთოს რეკომენდაციები მოიცავს საარჩევნო სისტემასაც, რომელიც უნდა გარანტირებდეს უმცირესობათა წარმომადგენლობას და გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ლუნდის რეკომენდაციების თანახმად, ეუთოს წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ საჯარო საკითხების გადაწყვეტაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობა, მათ შორის, ხმის უფლებით სარგებლობის გზით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ლუნდის რეკომენდაციები განსაზღვრავს როგორც აქტიური, ისე პასიური საარჩევნო უფლების ეფექტიანი რეალიზაციის შესაძლებლობას<sup>244</sup>.

ეუთოს უმაღლესი კომისარიატი ლუნდის რეკომენდაციებში აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა შესაბამისი ინსტიტუციური სისტემის ფარგლებში უნდა შექმნან სათათბირო ან საკონსულტაციო ორგანოები, რომელიც დიალოგის გამართვას მოემსახურება ხელისუფლების ორგანოებსა და ეროვნულ უმცირესობების თემს შორის. ამგვარ ორგანოებში მოიაზრება საგანგებო დანიშნულების კომიტეტებიც ისეთ სფეროებში როგორცაა, საბინაო და მიწის საკითხები, განათლება, ენა და კულტურა<sup>245</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ცალკე არ ითვალისწინებს უცირესობების საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლებას, თუმცა მას ევროპული

---

<sup>240</sup> იქვე, 17.

<sup>241</sup> საკონსულტაციო კომიტეტის მეორე თემატური კომენტარი ეროვნული უმცირესობებისთვის ეფექტიანი მონაწილეობის შესახებ კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმეებში, 2008, 17.

<sup>242</sup> The Lund Recommendations on the Effective Participation of National Minorities in Public Life, OSCE, 2019.

<sup>243</sup> The Lund Recommendations on the Effective Participation of National Minorities in Public Life, OSCE, 2019.

<sup>244</sup> The Lund Recommendations on the Effective Participation of National Minorities in Public Life, OSCE, 2019.

<sup>245</sup> Ibid, par. 12.

---

სასამართლო კონვენციით გათვალისწინებული სხვადასხვა უფლებების ჭრილში განიხილავს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ძირითადად უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის საკითხებით შემოიფარგლება. უმცირესობების პოლიტიკურ მონაწილეობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი საქმე განიხილა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2015 წელს. საქმე - *Danis and Association of Ethnic Turks vs Romania* ეხებოდა რუმინეთის მოქალაქეს, ეთნიკურად თურქ საბით დენისს, რომელმაც 2004 წელს დაარეგისტრირა ეთნიკური თურქების ორგანიზაცია. მას რუმინეთის სახელმწიფოს საარჩევნო კანონმდებლობით, არ მიეცა უფლება კანდიდატის სახით მონაწილეობა მიეღო რუმინეთის 2008 წლის საპარლამენტო არჩევნებში. საარჩევნო კოდექსი ავალდებულებდა ეთნიკური უმცირესობების გაერთიანებებს, რომელთაც არ ჰყავდათ პარლამენტში წარმომადგენელი, მიეღოთ არაკომერციული სტატუსი. შესაბამისად, საარჩევნო კომისიამ არ გაატარა ისინი რეგისტრაციაში, რადგან რეგისტრაციის წინაპირობებს არ აკმაყოფილებდნენ<sup>246</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, არჩევნებამდე 7 თვით ადრე არჩევნებში მონაწილეობის საფუძვლების შეცვლა დემოკრატიულ წესრიგს ეწინააღმდეგებოდა და საზოგადოებაში კანონის პატივისცემის პრინციპს ლახავდა. სასამართლო ასევე იმსჯელა საარჩევნო რეგულაციების შეცვლაზე არჩევნებამდე 7 თვით ადრე, რითაც მომჩივნებს წაერთვა უფლება დაეკმაყოფილებინათ საარჩევნო საფუძვლები არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად<sup>247</sup>. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ არჩევნებამდე 7 თვისთა ადრე განხორციელებული ცვლილებების გამო, რეალურად დაუძვეველი იქნებოდა არაკომერციული სტატუსის მიღება და საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლების დაკმაყოფილება. მითითებულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა დაადგინა და განმარტა, რომ მომჩივნებს წაერთვათ არჩევნებში თავისუფლად მონაწილეობის უფლება ეთნიკური დისკრიმინაციის საფუძველზე.

2014 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - *Zornić v. Bosnia and Herzegovina*<sup>248</sup>. მომჩივანს წაერთვა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, რადგან იგი არცერთ საარჩევნო საფუძველს არ აკმაყოფილებდა. მომჩივანს არ ჰქონდა ბმა ბოსნიელ, ხორვატ და სერბ ეთნიკურ ჯგუფთან. იგი თავს ბოსნია-ჰერცეგოვინის მოქალაქედ თვლიდა. მითითებულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ არჩევნებში მონაწილეობის უფლების ხელყოფა დაადგინა ეთნიკური დისკრიმინაციის ნიშნით.

---

<sup>246</sup> დენისი და ეთნიკური თურქების ასოციაცია რუმინეთის წინააღმდეგ (*Danis and Association of Ethnic Turks vs Romania*), 2015 წლის 21 აპრილი.

<sup>247</sup> დენისი და ეთნიკური თურქების ასოციაცია რუმინეთის წინააღმდეგ (*Danis and Association of Ethnic Turks vs Romania*), 2015 წლის 21 აპრილი.

<sup>248</sup> ზორნიკი ბოსნია-ჰერცეგოვინას წინააღმდეგ (*Zornić v. Bosnia and Herzegovina*), 2014 წლის 15 ივლისი.

---

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina* საქმეში, მომჩივანებს ეროვნული კონსტიტუციის დებულება არ აძლევდა უფლებას, მონაწილეობა მიეღოთ საპრეზიდენტო არჩევნებში. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის დარღვევა ეთნიკურად ბოშა და ებრაელი მოსახლეობის მიმართ<sup>249</sup>.

საქმეზე - *Partei Die Friesen vs. Germany* სასამართლომ განსხვავებული მსჯელობა განავითარა. მომჩივანი ევროპულ სასამართლოში დაიბდა, რომ საპარლამენტო არჩევნების 5%-იანი ბარიერი ეთნიკური უმცირესობის პოლიტიკური გაერთიანების მიმართ არღვევდა უფლებას, მონაწილეობა მიეღო საპარლამენტო არჩევნებში. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ 5%-იანი ზღვარი შეუსაბამოდ მაღალი იყო, რის დაკმაყოფილებასაც უმცირესობების პოლიტიკური პარტიები ვერ შეძლებდნენ. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა და განმარტა, რომ სახელმწიფო არ არის ვალდებული, განსხვავებული საარჩევნო ბარიერ დაადგინოს ეთნიკური უმცირესობებისთვის<sup>250</sup>.

2016 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე - *Pilav v. Bosnia and Herzegovina*<sup>251</sup>. მოსარჩელე ცხოვრობდა სპრსკას რესპუბლიკაში. სპრსკას რესპუბლიკა ავტონომიური ერთეულის სტატუსით შედიოდა ბოსნია და ჰერცეგოვინას შემადგენლობაში. მომჩივანი იყო ბოსნიელი. საკონსტიტუციო დანაწესები, მას არ ძლევდა უფლებას, მონაწილეობა მიეღო საპრეზიდენტო არჩევნებში. კონსტიტუციის დებულებების მიხედვით, საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრის უფლება ჰქონდათ ბოსნია-ჰერცეგოვინაში მობინადრე ბოსნიელებს და ხორვატებს და სპრსკას რესპუბლიკაში მცხოვრებ სერბებს. ამ ეთნოსის ადამიანებს კონსტიტუცია დომინანტურ ჯგუფად მიიჩნევდა და გამორიცხავდა ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობას კენჭისყრაში. აქედან გამომდინარე, მომჩივანს ეზღუდებოდა კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება და ერთადერთ გამოსავალს საცხოვრებლად ბოსნია-ჰერცეგოვინაში გადასვლა წარმოადგენდა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ გონივრულია მოთხოვნა არჩევნებში მონაწილე პირსა და იმ ადგილს შორის ბმასთან დაკავშირებით, სადაც იგი კენჭს იყრის, განსახილველ შემთხვევაში, საკონსტიტუციო მოთხოვნა სცდებოდა გონივრულობის ფარგლებს. სასამართლომ განმარტა, რომ მომჩივანი კენჭს იყრიდა ბოსნია-ჰერცეგოვინის საყოვეთაო არჩევნებში, ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე, რომლის

---

<sup>249</sup> სეიჯიჩი და ფინცი ბოსნია-ჰერცეგოვინის წინააღმდეგ (*Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina*), 2009 წლის 22 დეკემბერი.

<sup>250</sup> *Partei Die Friesen v. Germany: Federalism trumps uniform protection of national minority rights*: <<https://strasbourgobservers.com/2016/02/16/partei-die-friesen-v-germany-federalism-trumps-uniform-protection-of-national-minority-rights/>> [ბოლოს ნანახია: 23.01.22].

<sup>251</sup> პილავ ბოსნია-ჰერცეგოვინის წინააღმდეგ (*Pilav v. Bosnia and Herzegovina*), 2016 წლის 9 ივნისი.

---

შემადგენლობაშიც სპრსკისც შედიოდა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო დაადგინა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია.

### 5.3. განათლების უფლება

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Campbell and Cosans v. the United Kingdom* განათლებისა და სწავლების არსი განმარტა. სასამართლოს შეფასებით „განათლება არის ერთიანი პროცესი, სადაც ზრდასრულები ცდილობენ გადასცენ ახალგაზრდებს თავიანთი რწმენა, კულტურა და სხვა ფასეულობები, ხოლო სწავლება არის კონკრეტული ცოდნისა და ინტელექტუალური განვითარების გადაცემის პროცესი“<sup>252</sup>. მიუხედავად იმისა, რომ განათლების უფლება მხოლოდ ეთნიკური უმცირესობების უფლებას არ წარმოადგენს, იგი ეთნიკური უმცირესობებისთვის სპეციალურ დატვირთვას იძენს. ეთნიკური უმცირესობებისთვის განათლების უფლება არის სხვა უფლებების რეალიზაციის საშუალება. იგი წარმოადგენს გამოხატვის, შეკრების თავისუფლებითა და სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებით სარგებლობის წინაპირობას. ამასთანავე, განათლების უფლება ისტორიული მენსიერებისა და საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტია<sup>253</sup>. გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ უმცირესობებისთვის „განათლების უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია იმით, რომ განათლების უფლების ეფექტიანი განხორციელება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ეროვნული ღირებულებების, ცოდნისა და მიდგომების შესანარჩუნებლად“<sup>254</sup>.

ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტები იცავენ, როგორც დაწყებით და საბაზო, ისე უმაღლეს და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას. განათლება ასევე მოიცავს სკოლამდელ დაწესებულებებს, პროფესიულ ჯგუფებს (იურისტებს, პოლიციელებს, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს და საჯარო მოხელეებს), ასევე საკვირაო სკოლებს და საზაფხულო ბანაკებს<sup>255</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Leyla Şahin v. Turkey* ხაზი გაუსვა უმაღლესი განათლების მნიშვნელობას და განმარტა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მეორე მუხლი დაწყებით და საშუალო განათლებაზე ხელმისაწვდომობას გარანტირებს, პირველი დამატებითი

---

<sup>252</sup> კემბელი და კოზანსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Campbell and Cosans v. the United Kingdom*), 1982 წლის 25 თებერვალი; პარ.33.

<sup>253</sup> Commentary on Education under the Framework Convention for the Protection of National Minorities; Advisory Committee; ACFC/25DOC(2006)002, 6.

<sup>254</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 44.

<sup>255</sup> Commentary on Education under the Framework Convention for the Protection of National Minorities; Advisory Committee; ACFC/25DOC(2006)002, 13.

---

ოქმის მე-2 მუხლი არ გამოირიცხავს უმაღლეს განათლებას დაცვის სფეროდან<sup>256</sup>. უფრო მეტიც, ევროსაბჭოს სამართლებრივი ინსტრუმენტები არაერთხელ უსმევენ ხაზს უმაღლესი განათლების მნიშვნელობას ადამიანის უფლებების უზრუნველყოფისა და დემოკრატიის მშენებლობის კუთხით<sup>257</sup>. „მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს არ აქვს პირდაპირი ვალდებულება, დაარსოს ამგვარი ინსტიტუტები, მათი არსებობის შემთხვევაში, აქვს ვალდებულება, თანაბრად ხელმისაწვდომი გახადოს ისინი“<sup>258</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტი ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური განათლების ხელმისაწვდომობაა. სასამართლომ საქმეზე - *Hasan and Eylem Zengin v. Turkey*, სახელმწიფოს დააკისრა ვალდებულება უზრუნველყოს ადამიანები ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური განათლების მიღების შესაძლებლობით<sup>259</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განათლების ხელმისაწვდომობის „ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური განათლების“ შეფასების ტესტი მულტიკულტურალიზმისა და ინტერკულტურალიზმის იდეებს ეფუძნება. განათლების სისტემისადმი მულტიკულტურალური და ინტერკულტურალური მიდგომა საგანმანათლებლო პროცესში უმცირესობების ინკლუზიას და კულტურათაშორისი დიალოგის პრინციპებს გარანტირებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი გარანტირებს მშობლების უფლებას, უზრუნველყონ თვიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება<sup>260</sup>. ეს სტანდარტი განავითარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Mansur Yalçın and Others v. Turkey*<sup>261</sup>.

გასული საუკუნის 70-იან წლებში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - *Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*<sup>262</sup>. მომჩივნების განმარტებით, მათი, როგორც მშობლების რელიგიური გრძნობები ილახებოდა სექსუალური განათლების შესახებ საგნის დანიის სახელმწიფო სკოლებში სწავლებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ კონკრეტული საგნების სწავლების მიზანშეწონილობის შეფასება არ არის ევროპული სასამართლოს უფლებამოსილება. სასწავლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა სახელმწიფოს კომპეტენციას და მიხედულობის ფარგლებს წარმოადგენს, რომელიც განსაზღვრავდა

---

<sup>256</sup> ლეილა შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ (*Leyla Şahin v. Turkey*), 2005 წლის 10 ნოემბერი, პარ. 136-137.

<sup>257</sup> Recommendation No. R (98) 3 of the Committee of Ministers to member states on access to higher education; Recommendation 1353 (1998) on the access of minorities to higher education.

<sup>258</sup> ლეილა შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ (*Leyla Şahin v. Turkey*), 2005 წლის 10 ნოემბერი, პარ. 136-137.

<sup>259</sup> ჰასანი და იელემ ზენგინი თურქეთის წინააღმდეგ (*Hasan and Eylem Zengin v. Turkey*), 2007 წლის 9 ოქტომბერი. პარ. 68-69.

<sup>260</sup> 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი.

<sup>261</sup> მანსურ იელჩინი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Mansur Yalçın and Others v. Turkey*), 2014 წლის 16 სექტემბერი.

<sup>262</sup> ზელიდსენ, ბასკ მადსენ და პედერსენ დანიის წინააღმდეგ (*Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark*), 1976 წლის 7 დეკემბერი.

---

სხვადასხვა სახელმწიფოებისა და დროითი პერიოდების მიხედვით. დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოს სწავლებითა და განათლების მეშვეობით გადასცეს მოსწავლეებს რელიგიური თუ არარელიგიური ცოდნა და ინფორმაცია. მშობლებს არ აქვთ უფლება შეეწინააღმდეგონ ამგვარი სწავლების და განათლების ინტეგრაციას სასწავლო პროგრამებში<sup>263</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განათლების უფლებასთან დაკავშირებით უთითებს განათლების ხელმისაწვდომობის შეფასების „ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური განათლების მიღების“ ტექსტზე. სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოსწავლეები ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური განათლების მიღების შესაძლებლობით<sup>264</sup>. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ამ სტანდარტის განათლებას არ უზრუნველყოფს, იგი ვალდებულია ბავშვებს მისცეს შესაძლებლობა, არ დაესწრონ გაკვეთილებს, მათი მშობლების რელიგიური და ფილოსოფიური რწმენიდან გამომდინარე<sup>265</sup>.

განათლების უფლებასთან მიმართებით უნივერსალური და რიგი რეგონალური საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტები განათლების უფლების ხელმისაწვდომობის ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს ადგენენ<sup>266</sup>. საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები გარანტირებენ თავისუფალ და სავალდებულო დაწყებით განათლებას; თანასწორ წვდომას განათლებაზე და თანაბარ შესაძლებლობებს განათლების სისტემაში; მშობლების უფლება, აღზარდონ საკუთარი შვილები თავიანთი რელიგიური, მორალური და ფილოსოფიური რწმენიდან გამომდინარე<sup>267</sup>.

სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტისგან განსხვავებით, ევროპის საბჭოს ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია ერთდერთი დოკუმენტია, სადაც ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლებაზე სპეციალური ჩანაწერია განსაზღვრული.

ჩარჩო კონვენციის მე-12 მუხლის პირველი სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს განსაზღვრავს და ადგენს, რომ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან სჭიროების შემთხვევაში, მიიღონ ზომები განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენის და

---

<sup>263</sup> ხლეილდსენ, ბასკ მადსენ და პედერსენ დანიის წინააღმდეგ (Kjeldsen, Busk Madsen and Pedersen v. Denmark), 1976 წლის 7 დეკემბერი, პარ. 53.

<sup>264</sup> ფოლგერო და სხვები ნორვეგიის წინააღმდეგ (Folgerø and Others v. Norway), 2007 წლის 29 ივნისი.

<sup>265</sup> იქვე, პარ. 102.

<sup>266</sup> 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; გაეროს 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ; გაეროს 1979 წლის კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; გაეროს 1989 წლის ბავშვის უფლებათა კონვენცია; ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

<sup>267</sup> Commentary on Education under the Framework Convention for the Protection of National Minorities; Advisory Committee; ACFC/25DOC(2006)002.



---

რელიგიის ცოდნის გასაღმავებლად<sup>268</sup>. ჩარჩო კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და სახელმძღვანელოებისადმი ხელმისაწვდომობის ადეკვატურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობენ კონტაქტებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის<sup>269</sup>. ჩარჩო კონვენციის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი კი სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირობებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს<sup>270</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მსგავსად, ჩარჩო კონვენციაც განათლების უფლებასთან მიმართებით მულტიკულტურალიზმისა და ინტერკულტურალიზმის იდეებს ავითარებს.

ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის შეფასებით, მულტიკულტურული განათლება ეფუძნება ისეთი საგანმანათლებლო პოლიტიკისა და პრაქტიკის დაგეგმვას, რომელიც ასახავს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ცალკეულ საგანმანათლებლო საჭიროებებს, ხოლო ინტერკულტურული განათლება ეფუძნება ისეთ პოლიტიკას და პრაქტიკას, რომლის დროსაც სხვადასხვა კულტურის მქონე ადამიანები კონსტრუქციულ ურთიერთობას სწავლობენ ერთმანეთთან<sup>271</sup>. მულტიკულტურული და ინტერკულტურული განათლების მთავარ მიზანს არა მხოლოდ უმცირესობის თემში განათლების უფლებით სარგებლობა წარმოადგენს, არამედ, მათი ენის, კულტურისა და ტრადიციების შესახებ უმრავლესობის ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობასაც გულისხმობს<sup>272</sup>. კომიტეტის შეფასებით, განათლების სისტემაში ინტერკულტურული ელემენტის არსებობა სწორედ კულტურათაშორის დიალოგს და უმცირესობის კულტურათა გავრცელების შესაძლებლობას ეფუძნება<sup>273</sup>.

ჩარჩო კონვენციის მე-12 მუხლი განათლების მულტიკულტურულ და ინტერკულტურულ პერსპექტივებს ეფუძნება და მასწავლებლების ტრენინგსა და სახელმძღვანელოებზე, მულტიკულტურულ კონტაქტებსა და განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას გარანტირებს<sup>274</sup>.

ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტის პრინციპული პოზიციია, რომ „განათლების ყველა ასპექტი და ელემენტი უნდა უზრუნველყოფდეს ტოლერანტულ კლიმატს და

---

<sup>268</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ევროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მუხლი 12.

<sup>269</sup> იქვე, მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>270</sup> იქვე, მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>271</sup> Commentary on Education under the Framework Convention for the Protection of National Minorities; Advisory Committee; ACFC/25DOC(2006)002, 15. ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 47.

<sup>272</sup> Commentary on Education under the Framework Convention for the Protection of National Minorities; Advisory Committee; ACFC/25DOC(2006)002, 15.

<sup>273</sup> იქვე, 15.

<sup>274</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ევროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მუხლი 12.

---

დიალოგს.<sup>275</sup> კომიტეტის განმარტებით, ამგვარი დიალოგი თითქმის შეუძლებელია, თუ სხვადასხვა ჯგუფს მიკუთვნებული პირები მაშინაც კი არ ხვდებიან ერთმანეთს, როდესაც ერთ ქალაქში, სოფელში და რეგიონში ცხოვრობენ. ასევე მიუღწეველია ტოლერანტობაც, თუ უმრავლესობამ და უმცირესობამ არ იცის ერთმანეთის ყოველდღიური გამოცდილებისა და ერთმანეთის იდენტობის შესახებ<sup>276</sup>.

მრჩეველთა კომიტეტმა 2019 წელს მიღებულ მესამე შემაჯამებელ დასკვნაში, ჩარჩო კონვენციის მე-12 მუხლის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდა, მოახდინოს სასწავლო მასალების შინაარსის ადაპტირება, ისე რომ მათ ხელი შეუწყონ ტოლერანტობისა და ურთიერთგაგების კლიმატის შექმნას ქართულ საზოგადოებაში<sup>277</sup>. იგი, ასევე, მოუწოდებს ხელისუფლებას შეიმუშაოს გრძელვადიანი გაცვლითი პროგრამები ქართულენოვან სკოლებსა იმ სკოლებს შორის, სადაც ასწავლიან უმცირესობათა ენებზე მთელი ქვეყანის მასშტაბით<sup>278</sup>. ამსთანავე, მრჩეველთა კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, შეინარჩუნოს ძალისხმევა და უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის<sup>279</sup>.

ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენციის მე-13 მუხლის თანახმად, განათლების სისტემის ფარგლებში, სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ნებისმიერ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას, აქვთ უფლება შექმნან და წარმართონ მათი საკუთარი კერძო საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დაწესებულებები<sup>280</sup>. საკონსულტაციო კომიტეტის შეფასებით, სახელმწიფოები ვალდებული არიან ჩარჩო კონვენციის იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში მოახდინონ. თუმცა, კონვენციის დებულებები არ გამოირჩევა სახელმწიფოს უფლებამოსილებებს, კანონმდებლობით დაადგინოს საჯარო თუ კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებების დასაფუძნებლად სამართლებრივი მოთხოვნები<sup>281</sup>.

ჩარჩო კონვენციის მე-14 მუხლი გარანტირებს უმცირესობების უფლებას ისაწვდონ მისი უმცირესობის ენაზე<sup>282</sup>. ჩარჩო კონვენციის მე-14 მუხლი ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს და განსაზღვრავს, რომ იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი

---

<sup>275</sup> Commentary on Education under the Framework Convention for the Protection of National Minorities; Advisory Committee; ACFC/25DOC(2006)002, 15-16.

<sup>276</sup> იქვე, 16.

<sup>277</sup> მრჩეველთა კომიტეტის 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002, 47.

<sup>278</sup> იქვე, 47.

<sup>279</sup> იქვე, 47.

<sup>280</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მუხლი 13.

<sup>281</sup> Commentary on Education under the Framework Convention for the Protection of National Minorities; Advisory Committee; ACFC/25DOC(2006)002, 15-16.

<sup>282</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მუხლი 14.

---

მიკუთვნებული პირები და თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, სახელმწიფოები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ჰქონდეთ უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატური შესაძლებლობანი. საკონსულტაციო კომიტეტის შეფასებით, უმცირესობების შესაძლებლობა ისწავლონ მათ ენაზე, მათი იდენტობის შენარჩუნების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს<sup>283</sup>. ჩარჩო კონვენციას უმცირესობის ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით უმცირესობების მხრიდან „სათანადო მოთხოვნის“ კრიტერიუმი შემოაქვს, რომელიც უმცირესობიდან უმცირესობის ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით მოთხოვნის არსებობაზე მიუთითებს.

საკონსულტაციო კომიტეტის განმარტებით, უმცირესობის ენად შეიძლება მიჩნეულ იქნას: ენა, რომელიც უმცირესობის ჯგუფის ტრადიციულ და ისტორიულ ენას წარმოადგენს; ენა, რომელსაც უმცირესობების პრაქტიკაში იყენებენ (მაგალითად, რუსული ენა, რომელსაც ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ბოშები იყენებენ); ენა, რომელზეც უმცირესობის ჯგუფში უმრავლესობა ლაპარაკობს; ენა, რომელიც უმრავლესობის ენისგან განსხვავდება<sup>284</sup>.

ჩარჩო კონვენციის მე-14 მუხლის ფარგლებში, სახელმწიფოები ვალდებული არიან აღიარონ უმცირესობის ენაზე სწავლის უფლება კანონმდებლობასა და ეროვნულ საგანმანათლებლო სისტემაში<sup>285</sup>. რუმინეთთან დაკავშირებით მრჩველთა კომიტეტმა კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვა ბოშურ ენაზე სწავლის უფლების კანონმდებლობაში არარსებობის შესახებ, მაშინ, როდესაც სხვა უმცირესობებს ეს უფლება ჰქონდათ<sup>286</sup>.

მრჩველთა კომიტეტმა 2019 წლის მესამე შემაჯამებელ დასკვნაში საქართველოს მოუწოდა ხელისუფლებას, დაადგინოს ქართული კონტექსტისთვის ადაპტირებული მრავალენოვანი განათლების მოდელი და დანერგოს იგი სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო განათლების საფეხურების დონეზე<sup>287</sup>. მრჩველთა კომიტეტი, ასევე, მოუწოდებს ხელისუფლებას მონიტორინგი გაუწიოს დანერგვის პროცესს, რათა დარწმუნდეს, რომ მოდელი მართლაც შეიქმნა და დამტკიცდა პედაგოგების, სკოლის გამგეობის, მშობლებისა და თემების მიერ, დაინერგა ყველა სკოლაში, სადაც ასწავლიან უმცირესობათა ენებზე და მოხდა მისი შეფასება, რაც გამოავლენს შესრულების შედეგად, მიღებულია თუ არა მოსალოდნელი ეფექტები<sup>288</sup>. მრავალენოვანი განათლება

---

<sup>283</sup> Commentary on Education under the Framework Convention for the Protection of National Minorities; Advisory Committee; ACFC/25DOC(2006)002, 23.

<sup>284</sup> Commentary on Education under the Framework Convention for the Protection of National Minorities; Advisory Committee; ACFC/25DOC(2006)002, 23.

<sup>285</sup> იქვე, 23.

<sup>286</sup> Advisory Committee Opinions on Romania ACFC/INF/OP/I(2002)001.

<sup>287</sup> მრჩველთა კომიტეტის 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002, 52.

<sup>288</sup> იქვე, 52.

---

გულისხმობს სასწავლო პროცესში ორი ან მეტი ენის გამოყენებას, რაც ერთის მხრივ მშობლიური ენის შენარჩუნებასა და მეორეს მხრივ, სახელმწიფო ენის შესწავლის პერსპექტივას იძლევა<sup>289</sup>.

მრჩეველთა კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, გააძლიეროს მისი ძალისხმევა უმცირესობებისა და უმრავლესობის ენების სასწავლო მასალების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, ასევე, უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის, დაწყებითი და საშუალო სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების მაღალი დონე, რომლებიც ასწავლიან უმცირესობათა ენებზე<sup>290</sup>.

მრჩეველთა კომიტეტმა მოუწოდა ხელისუფლებას, გააგრძელოს მცირერიცხოვანი უმცირესობის ენების სწავლებისა და შესწავლის მხარდაჭერა, გაზარდონ საკლასო საათების რაოდენობა და უზრუნველყოს ადეკვატური სასწავლო მასალები<sup>291</sup>.

ეთნიკური უმცირესობების განათლების უფლებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ეუთოს ჰააგის რეკომენდაცია ეროვნული უმცირესობების განათლების უფლებასთან დაკავშირებით<sup>292</sup>. ჰააგის რეკომენდაცია იზიარებს ჩარჩო კონვენციის სულისკვეთებას განათლების მიზნებთან დაკავშირებით, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპს ეფუძნება. ეუთოს რეკომენდაცია საუბრობს უმცირესობების იდენტობის განვითარების, ენის შენარჩუნების, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის და სხვადასხვა ჯგუფებსა და ინდივიდებს შორის დიალოგის ხელშეწყობის აუცილებლობაზე. ჰააგის რეკომენდაცია სახელმწიფოებს სთავაზობს ღონისძიებების გატარებას უმცირესობის ენის სასწავლო პროგრამაში ასახვასთან და უმცირესობის ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით<sup>293</sup>.

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენცია დამატებით ხაზს უსვამს „ორმხრივ“ ასპექტს უმცირესობების ინტეგრაციასთან დაკავშირებით და სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანების ერთმანეთთან თანაცხოვრებისა და თანამშრომლობის აუცილებლობაზე საუბრობს. ჩარჩო კონვენციის მე-6 და მე-12 მუხლებით განმტკიცებული მულტიკულტურალიზმისა და ინტერკულტურალიზმის პრინციპები, როგორც უმცირესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის, ისე უმრავლესობის იდენტობის დაცვისა და განვითარების პრინციპებს ეფუძნება<sup>294</sup>.

---

<sup>289</sup> ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, 14.

<sup>290</sup> მრჩეველთა კომიტეტის 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACF/OP/III(2019)002, 52.

<sup>291</sup> მრჩეველთა კომიტეტის 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACF/OP/III(2019)002, 52.

<sup>292</sup> Hague Recommendations Regarding the Education Rights of National Minorities, OSCE, 1996.

<sup>293</sup> იქვე, 13-15.

<sup>294</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ევროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მე-6 და მე-12 მუხლები.

---

უმცირესობები განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით ხშირად აწყდებიან სერიოზულ საფრთხეებს, დისკრიმინაციას და რასიზმს, რაც მათ ართმევთ განათლების უფლების პრაქტიკაში უმრავლესობის თანასწორად რეალიზაციის შესაძლებლობას. განათლების უფლებასთან მიმართებით რასობრივი დისკრიმინაციის არაერთი საქმე განხილულა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმებში.

უმცირესობების ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციასთან დაკავშირებით გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტმა მნიშვნელოვანი განმარტებები გააკეთა საქმეზე - *Murat er vs Denmark*<sup>295</sup>. საქმე ეხებოდა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის საფუძველზე განათლების უფლების დარღვევას დანიის სახელმწიფოს მიერ. მომჩივანი იყო პაკისტანური ეთნიკური უცირესობის წარმომადგენელი, რომელიც ცხოვრობდა დანიაში. მომჩივანი სწავლობდა დურგლობის ხელობას დანიის ტექნიკურ კოლეჯში. კომიტეტში განმცხადებელი დავობდა, რომ კოლეჯმა არ უზრუნველყო მისთვის შესაბამისი პრაქტიკა კერძო ბიზნეს კომპანიებში, რადგან ეთნიკურად პაკისტანელი იყო. აპლიკანტმა ვერ შეძლო დარღვეული უფლების აღდენა დანიაში და მიმართა გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტს (CERD-ის კომიტეტს). კომიტეტის განმარტებით, სკოლამ გაითვალისწინა კომპანიის სურვილი არ მიეღო პაკისტანური წარმომობის სტუდენტები და ამ კომპანიის გვერდით გააკეთა აღნიშვნა „not P“. ეს აღნიშვნა მიუთითებდა, რომ სკოლა ამ კომპანიაში არ გაგზავნიდა არადანიური წარმომავლობის სტუდენტებს. სკოლამ კომიტეტის წინაშე ვერ დაასაბუთა ის ფაქტი, რომ კომპანიაში პრაქტიკაზე უარი განპირობებული იყო მომჩივნის დაბალი აკადემიური მოსწრებით და რომ მიზეზი არ იყო აპლიკანტის პაკისტანური წარმომავლობა. დანიაში სამართლებრივი მექანიზმების ამოწურვის შემდეგ, სადაც განმცხადებელმა ვერ შეძლო თავისი უფლებების დაცვა, მიმართა CERD-ის კომიტეტს, რომელმაც დაადგინა ეთნიკური ნიშნით განათლების უფლების დარღვევა. კერძოდ, ის ფაქტი, რომ კომპანიას არ სურდა პაკისტანური წარმომობის სტუდენტების მიღება სტაჟირებაზე, სკოლამ გაითვალისწინა და ამ კომპანიის სახელის გვერდით გააკეთა ჩანაწერი რაც ნიშნავდა იმას, რომ ამ კომპანიაში სტაჟირებაზე არ გაგზავნიდა არადანიური წარმომობის სტუდენტებს. სკოლამ ვერ დაადასტურა, რომ განმცხადებელს უარი ამ კომპანიაში სტაჟირებაზე უთხრეს მხოლოდ მისი აკადემიური მოსწრების გამო და არა იმის გამო, რომ პაკისტანელი იყო. კომიტეტმა სკოლის ქმედება მიიჩნია რასობრივ დისკრიმინაციად, რადგან ეთნიკური დისკრიმინაციის გამო დაირღვა პირის განათლების უფლება<sup>296</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - *D.H. and other vs Czech Republic*, რომელიც ბომა ბავშვების ოსტრავას სკოლებში გამწესებას ეხებოდა,

---

<sup>295</sup> Murat Er v. Denmark, Communication No. 40/2007, U.N. Doc. CERD/C/71/D/40/2007 (2007).

<sup>296</sup> Murat Er v. Denmark, Communication No. 40/2007, U.N. Doc. CERD/C/71/D/40/2007 (2007).

---

სადაც ძირითადად სწავლობდნენ შუზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები<sup>297</sup>. მომჩივნების განმარტებით, ბომა ბავშვებს უტარდებოდათ სპეციალური გამოცდები, რომელიც შეუსაბამო იყო მათ გონებრივ შესაძლებლობებთან. აპლიკანტები ამტკიცებდნენ, რომ ბავშვები სპეციალურ სკოლებში გადაჰყავდათ მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ბოშები იყვნენ და ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციულ პრაქტიკას. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ბომა ბავშვების იმ სკოლებში გადაყვანა, სადაც შშმ პირები სწავლობდნენ, ბავშვების სტიგმატიზებას და საზოგადოებისგან გარიყვას უწყობდა ხელს. ფაქტურად, ჩეხეთის ხელისუფლება ბომა ბავშვებს დაბალი ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონეებად მიიჩნევდა, რაც საზოგადოებისგან მათ მარგინალიზებას ახალისებდა. ამასთანავე, სასამართლოს განმარტებით, ჩეხეთის სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული სეგრეგირებული განათლება ართმევდა ბომა და არაბომა ბავშვებს ინტეგრირების და ერთად თანაცხოვრებისა და ერთმანეთის უკეთ გაცნობის შესაძლებლობას. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევა დაადგინა პირველი დამატებითი ოქმის მეორე მუხლთან მიმართებით (განათლების უფლება)<sup>298</sup>. 2008 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - *Sampanis and Others v. Greece*, რომელიც თერთმეტი ბომა ბავშვის ჩვეულებრივ სკოლებში ჩარიცხვაზე უარს შეეხებოდა. თერთმეტივე ბავშვი გამწესებულ იქნა „სპეციალური საჭიროებების“ სეგრეგირებულ კლასებში, რომლის შენობაც ჩვეულებრივ სკოლის გვერდით მდებარე დაწესებულებას წარმოადგენდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განათლების უფლებისას ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია დაადგინა<sup>299</sup>.

ეროვნულ სახელმწიფოებს განათლების სფეროში რასიზმის აღკვეთისკენ მოუწოდებს ECRI-იც მის ზოგად რეკომენდაციაში. ECRI-ის მე-10 ზოგად რეკომენდაციაში ყურადღება მახვილდება სახელმწიფოს მიერ უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვების ცალკე სასკოლო კლასებში განთავსების აღკვეთის აუცილებლობასთან დაკავშირებით<sup>300</sup>. ECRI რასიზმს განმარტავს, როგორც რწმენას, რომელიც ეფუძნება რასას, ფერს, ენას, რელიგიას, ეროვნულ ან ეთნიკურ ნიშანს და გამოიხატება სხვადასხვა იდენტობების ზიზღში და სხვადასხვა ჯგუფზე უპირატესობის დამტკიცებაში<sup>301</sup>. ECRI ტერმინ

---

<sup>297</sup> D.H. and Others v. Czech Republic, 7 February 2006.

<sup>298</sup> D.H. and Others v. Czech Republic, 7 February 2006.

<sup>299</sup> სამპანის და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Sampanis and Others v. Greece*), 2008 წლის 5 ივნისი.

<sup>300</sup> ECRI General Policy Recommendation No. 10 on Combating Racism and Racial Discrimination in and Through School Education, 15 December, 2006, par. 3(d).

<sup>301</sup> ECRI General Policy Recommendation No 7 on National Legislation to combat Racism and Racial Discrimination, 2017.

---

„რასიზმს“ ფართოდ განმარტავს და მასში ქსენოფობიას, ანტიემიტიზმს და შეუწყნარებლობას მოიაზრებს<sup>302</sup>.

ECRI მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, უზრუნველყონ სავალდებულო, უფასო და ხარისხიანი განათლება ყველა ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი და რასობრივი უმცირესობებისთვის; ებრძოლონ რასიზმს და რასობრივ დისკრიმინაციას სკოლებში; დაატრენინგონ პედაგოგთა პერსონალი მულტიკულტურულ გარემოში მუშაობასთან დაკავშირებით; სკოლებში უზრუნველყოფილი იყოს კულტურული და ეთნიკური პლურალიზმი; გაზარდონ მასწავლებლების ცოდნა ანტიდისკრიმინაციულ სტანდარტებში; ხელი შეუწყონ უმცირესობების წარმომადგენელ ბავშვთა მონაწილეობას სასკოლო დონისძიებებსა და აქტივობებში<sup>303</sup>.

#### 5.4. ლინგვისტური უფლებები

ენა ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტობის არსებითი კომპონენტია<sup>304</sup>. შესაბამისად, უმცირესობის მიერ საკუთარი მშობლიური ენის გამოყენების შესაძლებლობა უმცირესობის იდენტობის არსებით ნაწილს წარმოადგენს<sup>305</sup>. ენის დაკარგვასთან ერთად, უმცირესობა კარგავს საკუთარ იდენტობას და საბოლოოდ ხდება მისი გაქრობა<sup>306</sup>. ენობრივი უფლებები არ უზრუნველყოფს მხოლოდ კულტურული იდენტობის შენარჩუნებისა და გამოსატყვის შესაძლებლობას, არამედ მათი სრულყოფილი გამოვლენა არსებითი ინსტრუმენტია სხვა სოციალური და პოლიტიკური/სამოქალაქო უფლებების ხარისხიანი განხორციელებისთვის<sup>307</sup>. ენა არის უმცირესობის ინტეგრაციის ერთ-ერთი ინსტრუმენტი<sup>308</sup>.

გაეროს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-15 მუხლით გარანტირებულია ადამიანის უფლება, გამოსატყოს თავი მისთვის სასურველ ენაზე<sup>309</sup>. საკუთარი ენით თვითგამოსატყვა იდენტობის გამოსატყვის ფორმას წარმოადგენს.

---

<sup>302</sup> იქვე, 12.

<sup>303</sup> ECRI General Policy Recommendation No. 10 on Combating Racism and Racial Discrimination in and Through School Education, 15 December, 2006, par. 3(d).

<sup>304</sup> Thematic Commentary No. 3, The Language rights of persons belonging to national minorities under the Framework Convention, Advisory Committee, ACFC/44DOC(2012)001 rev, 6.

<sup>305</sup> ECRI General Policy Recommendation No. 10 on Combating Racism and Racial Discrimination in and Through School Education, 15 December, 2006, par. 3(d).

<sup>306</sup> Compilation of Venice Commission Opinions and Reports Concerning the Protection of National Minorities CDL(2011)018, 27.

<sup>307</sup> Marcini, S., de Witte, B., Language rights as cultural rights - a European Perspective, 2008, 247- 284.

<sup>308</sup> საგანგებობზანას ვირუსი ნაწილი II, სამოქალაქო იდეა, 2020, 25

<sup>309</sup> UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (CESCR), General comment no. 21, Right of everyone to take part in cultural life (art. 15, para. 1a of the Covenant on Economic, Social and Cultural Rights), 21 December 2009, E/C.12/GC/21).

---

ლინგვისტური უფლებების არსს წარმოადგენს, ის, რომ „ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ლინგვისტურ უმცირესობას მიეკუთვნება, უნდა ჰქონდეს უფლება გამოიყენოს საკუთარი ენა თავისუფლად, როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეში.“<sup>310</sup>

მრჩვეულთა კომიტეტის შეფასებით, ლინგვისტური უფლებების გამოყენება ეფექტიანია, თუ მისი საჯაროდ გამოყენების შესაძლებლობა არსებობს<sup>311</sup>. ჩარჩო კონვენციის მე-10 მუხლი ითვალისწინებს ძირითად პრინციპებს, რომელიც უმცირესობის ენის ზეპირ და წერილობით, კერძო თუ საჯარო გამოყენებას შეეხება<sup>312</sup>. საკონსულტაციო კომიტეტის განმარტებით, ნებისმიერი გადაწყვეტილება ენის პოლიტიკასთან დაკავშირებით მიღებულ უნდა იქნას უმცირესობების წარმომადგენლებთან კონსულტაციების საფუძველზე იმაში დასარწმუნებლად, რომ ის წუხილები, რომლებიც უმცირესობებს აქვთ, სახელმწიფოს მიერ მხედველობაშია მიღებული<sup>313</sup>.

სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს, სახელმწიფო ენა ასწავლოს უმცირესობების თემს და საამისოდ ხელმისაწვდომი გარემო შექმნას. უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის სწავლება სახელმწიფოს ვალდებულებაა და არა უმცირესობის თემის. დემოკრატიულ სახელმწიფოში, რომელიც საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნავს, უმცირესობებმა რომც არ იცოდნენ სახელმწიფო ენა, მათ ინფორმაცია მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მიეწოდოთ. უმცირესობის ენაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებაა<sup>314</sup>.

ვენეციის კომისიის შეფასებით, უმცირესობის მიერ რეგიონის ან მთლიანი მოსახლეობის არსებითი რაოდენობის მიღწევის შემთხვევაში, მის წევრებს უფლება აქვთ ისაუბრონ და წერონ მათთვის გასაგებ ენაზე პოლიტიკური, ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოებთან ურთიერთობაში<sup>315</sup>. საკუთარი ენით სარგებლობასთან დაკავშირებით ჩარჩო კონვენციის მე-10 მუხლი ორ კრიტერიუმს გამოყოფს: „იმ ადგილებში, სადაც უმცირესობები ტრადიციულად ცხოვრობენ“ და „დიდი რაოდენობით ცხოვრობენ უმცირესობებს მიკუთვნებული პირები.“<sup>316</sup> ჩარჩო კონვენციის მე-10 მუხლის დაცვის სფეროში ექვევა ასევე უმცირესობები, რომელნიც შედარებით მცირერიცხოვანი არიან, მაგრამ ტრადიციულად ცხოვრობენ ადგილებში და ითხოვენ საკუთარი ენით

---

<sup>310</sup> Compilation of Venice Commission Opinions and Reports Concerning the Protection of National Minorities CDL-PI(2018)002, 28.

<sup>311</sup> Thematic Commentary No. 3, The language rights of persons belonging to national minorities under the Framework Convention, Advisory Committee, ACFC/44DOC(2012)001 rev 17.

<sup>312</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ, მუხლი 10.

<sup>313</sup> Thematic Commentary No. 3, The language rights of persons belonging to national minorities under the Framework Convention, Advisory Committee, ACFC/44DOC(2012)001 rev 17.

<sup>314</sup> საგანგებობიანას ვირუსი ნაწილი II, სამოქალაქო იდეა, 2020, 25

<sup>315</sup> Compilation of Venice Commission Opinions and Reports Concerning the Protection of National Minorities CDL(2011)018, 4.

<sup>316</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ მუხლი 10.



---

სარგებლობას ადმინისტრაციულ და სხვა ორგანოებთან და ამგვარი თხოვნა რეალური საჭიროებით არის განპირობებული<sup>317</sup>. „საჭიროება“ ამ კონტექსტში არ გულისხმობს ადამიანების მიერ ოფიციალური ენის არცოდნას, არამედ იგი მოიაზრებს უმცირესობების ენის, როგორც საკომუნიკაციო ინსტრუმენტის ქმედითობის საფრთხეს, რაც სრულიად საკმარისია კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული „საჭიროების“ შეფასებისას<sup>318</sup>.

სახელმწიფომ უნდა შეისწავლოს უმცირესობების თხოვნა, უმცირესობებით დასახლებულ გეოგრაფიულ რაიონებში არსებული საჭიროებები და უმცირესობების საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილებები<sup>319</sup>.

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქმეზე - *John Ballantyne and Elithabez Davidson and Gorton McIntyre vs Canada*, განმარტა, რომ ლინგვისტური უფლებები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ეთნიკური უმცირესობებისთვის. ლინგვისტური უფლებები უმცირესობებს შესაძლებლობას აძლევს, დაიცვან საკუთარი კულტურა და იდენტობის ნაწილი - ენა. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ბალატინის საქმეზე ასევე განაცხადა, რომ საკუთარი ენით სარგებლობის უფლება გამოხატვის თავისუფლების შემადგენელ ნაწილს შეადგენს<sup>320</sup>.

რეგიონალური და უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტია იცავს უმცირესობების ენებს, როგორც ევროპის კულტურულ მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს. ქარტია იცავს ინტერკულტურალიზმისა და მულტიკულტურალიზმის ღირებულებებს, როგორც მნიშვნელოვან კონტრიბუციას საერთოევროპული ოჯახის მშენებლობის საქმეში, რომელიც დემოკრატიასა და კულტურულ მრავალფეროვნებას ეფუძნება<sup>321</sup>. შესაბამისად, ქარტია გამოყოფს უმცირესობის ენის გამოყენების შესაძლებლობას საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვადასხვა სფეროში, როგორცაა: განათლების სფერო, სასამართლოები, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა, მედია, ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ სფეროები და სხვა.<sup>322</sup>

უმცირესობების ენების ქარტიის მიერ დამკვიდრებული სტანდარტით, პირებს, რომლებიც უმცირესობებს განეკუთვნებიან, უფლება აქვთ მათი ენა თავისუფლად

---

<sup>317</sup> First Opinion on the Netherlands, Advisory Committee, 2009, <<https://www.coe.int/en/web/minorities/netherlands>> [ბოლოს ნანახია: 19.01.2022].

<sup>318</sup> First Opinion on the Netherlands, Advisory Committee, 2009, <<https://www.coe.int/en/web/minorities/netherlands>> [ბოლოს ნანახია: 19.01.2022].

<sup>319</sup> First Opinion on Bulgaria, Advisory Committee, <<https://www.coe.int/en/web/minorities/bulgaria>> [ბოლოს ნანახია: 19.01.2022].

<sup>320</sup> *John Ballantyne and Elithabez Davidson and Gorton McIntyre vs Canada*, CCPR/C/47/D/359/1989, par.11.4.

<sup>321</sup> Compilation of Venice Commission Opinions and Reports Concerning the Protection of National Minorities CDL(2011)018, 16.

<sup>322</sup> Compilation of Venice Commission Opinions and Reports Concerning the Protection of National Minorities CDL(2011)018, 16.

---

გამოიყენონ როგორც საჯარო, ისე კერძო ურთიერთობებში. როგორც კი უმცირესობა მიადწევს კონკრეტული რეგიონის მოსახლეობის არსებით ნაწილს, უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი ენა პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებთან ინტერაქციისას. უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სახელმწიფო ვალდებულია მშობლიურ ენაზე სწავლება უზრუნველყოს სკოლებში<sup>323</sup>.

ეროვნული უმცირესობების შესახებ ჩარჩო კონვენცია ლინგვისტურ უფლებებს განიხილავს, როგორც საშუალებას სხვა უფლებების რეალიზაციის გზაზე. ლინგვისტურ უფლებები წარმოადგენს განათლების უფლების, საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებისა და მედიაზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს<sup>324</sup>.

ჩარჩო კონვენცია გარანტირებს სისხლის სამართლის პროცესში უმცირესობის ენის გამოყენების უფლებას. ჩარჩო კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, მხარეები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ უფლება ყოველი პირისათვის, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, იყოს დაუყოვნებლივ ინფორმირებული მისთვის გასაგებ ენაზე მისი დაპატიმრების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ არსებულ ყველა ბრალდების ხასიათისა და მიზეზის შესახებ და დაიცვას თავი ამ ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმნის უფასო დახმარებით<sup>325</sup>. ჩარჩო კონვენციის მე-10 მუხლი არ გულისხმობს სასამართლო პროცესის უმცირესობის ენაზე წარმართვის უფლებას, არამედ მოიცავს თარჯიმნით უზრუნველყოფის უფლებას, თუკი პირი არ ფლობს სახელმწიფო ენას. მრჩველთა კომიტეტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, უმცირესობების ენობრივი უფლებები მაქსიმალურად იყოს დაცული, როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის ეტაპზე<sup>326</sup>. მრჩველთა კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, ეთნიკური უმცირესობების უფლებები დაცული იყოს ასევე, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას<sup>327</sup>.

ჩარჩო კონვენცია იცავს ადმინისტრაციულ ორგანოებთან უმცირესობის ენაზე ურთიერთობის უფლებას. ჩარჩო კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირები, თუკი ეს პირები მოითხოვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, მხარეები ეცდებიან შეძლებისდაგვარად უზრუნველყონ ისეთი

---

<sup>323</sup> Ibid, 34.

<sup>324</sup> Thematic Commentary No. 3, The language rights of persons belonging to national minorities under the Framework Convention, Advisory Committee, ACFC/44DOC(2012)001 rev, 3.

<sup>325</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მუხლი 10.

<sup>326</sup> First Opinion on the Czech Republic, Advisory Committee, 2001, <<https://www.coe.int/en/web/minorities/czech-republic>> [ბოლოს ნანახია: 19.01.2022].

<sup>327</sup> First Opinion on Georgia, Advisory Committee, 2009, <<https://www.coe.int/en/web/minorities/georgia>>. [ბოლოს ნანახია: 19.01.2022]. Second Opinion on Romania, Advisory Committee, 2001, <<https://www.coe.int/en/web/minorities/romania>> [ბოლოს ნანახია: 19.01.2022].

---

პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის უმცირესობის ენის გამოყენებას ამ პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში<sup>328</sup>.

ჩარჩო კონვენციის მე-11 მუხლი იცავს უმცირესობის უფლებას, მისი გვარისა (პატრონიმი) და პირველი სახელების უმცირესობის ენაზე გამოყენების და მათი ოფიციალური აღიარების უფლება, მათი სამართლებრივი სისტემით დადგენილი პირობების შესაბამისად. სახელმწიფოები ვალდებული არიან, ოფიციალურად განამტკიცონ უმცირესობის წარმომადგენლის გვარი და სახელი მშობლიურ ენაზე და ამისთვის შეიტანონ ცვლილებები სამართლებრივ აქტებში<sup>329</sup>.

მრჩველთა კომიტეტს არაერთ დასკვნაში განუმარტავს, რომ საკუთარი სახელის უმცირესობის ენაზე გამოყენების უფლება და მისი ოფიციალური აღიარება არსებითი ლინგვისტური უფლებაა, რომელიც ძალიან მჭიდროდ უკავშირდება პიროვნულ იდენტობას და ღირსებას<sup>330</sup>.

ჩარჩო კონვენციის მე-11 მუხლი იცავს საკუთარ ენაზე ინსტრუქციების, ნიშნებისა და სხვა კრძოლ სასიათის ინფორმაციის გავრცელების უფლება საჯარო ადგილას. ჩარჩო კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად „იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მხარეები მათი სამართლებრივი სისტემებისა და საჭიროების შესაბამისად, ასევე სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებების ფარგლებში და მათი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, ეცდებიან გამოფინონ ტრადიციული ადგილობრივი სახელები, ქუჩის სახელები და საზოგადოებისათვის განკუთვნილი სხვა ტოპოგრაფიული მითითებანი უმცირესობის ენაზეც, როდესაც სახეუა ამგვარი მითითებების არსებობის საკმარისი მოთხოვნა“<sup>331</sup>.

საკონსულტაციო კომიტეტის შეფასებით, ჩარჩო კონვენციით გარანტირებულ ამ უფლებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირადი იდენტობისა და ღირსების დაცვის კუთხით<sup>332</sup>.

საკონსულტაციო კომიტეტი მიიჩნევს, რომ ლინგვისტური უფლებები განეკუთვნება ყველა ეთნიკურ უმცირესობას და ნებისმიერი ჩარევა უფლებაში მკაცრად უნდა განიხილებოდეს ინდივიდის ღირსებისა და პირადი ცხოვრების უფლების დაცვის ქრილში<sup>333</sup>. ჩარჩო კონვენცია არ გამორიცხავს სახელმწიფოს უფლებამოსილებას,

---

<sup>328</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მუხლი 10.

<sup>329</sup> იქვე, მუხლი 11.

<sup>330</sup> Second Opinion on Lithuania, Advisory Committee, 2008, <<https://www.coe.int/en/web/minorities/lithuania>> [ბოლოს ნაწახი: 19.01.2022]. Third Opinion on Finland, Advisory Committee, 2012, <<https://www.coe.int/en/web/minorities/finland>>, [ბოლოს ნაწახი: 19.01.2022].

<sup>331</sup> ევროპის საბჭოს 1995 წლის ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, მუხლი 11.

<sup>332</sup> The Framework Convention: a key tool to managing diversity through minority rights, thematic commentary No. 4 The scope of application of the Framework Convention for the Protection of National Minorities, 2016, 24.

<sup>333</sup> Leonid Raihman v. Latvia, Communication No. 1621/2007, U.N. Doc. CCPR/C/100/D/1621/2007 (2010).

---

მიიღოს კანონები სახელმწიფო ენის გაძლიერებისა და დაცვის მიმართულებით. თუმცა, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული უფლებამოსილებები წინააღმდეგობაში არ უნდა მოვიდეს ჩარჩო კონვენციით განმტკიცებულ ტოლერანტობის, საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთგაგების ღირებულებებთან<sup>334</sup>. კომიტეტის შეფასებით, სახელმწიფოს მიერ გაღებული ზომებმა სახელმწიფო ენის განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებით არ უნდა შელახონ ადამიანების პირადი სფერო და იმპლემენტირებულ უნდა იქნან იმგვარად, რომ პატივი სცენ იდენტობებს და საზოგადოებაში არსებულ ლინგვისტურ საჭიროებებს<sup>335</sup>.

მეორეს მხრივ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის ცოდნა სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც ხელს უწყობს მათ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას<sup>336</sup>.

ჩარჩო კონვენციის მე-5 მუხლი სახელმწიფოებს ანიჭებს პოზიტიურ ვალდებულებას, გაატაროს აუცილებელი ზომები, ეთნიკური უმცირესობების მიერ საკუთარი იდენტობის, კულტურის, მათ შორის ენის შენარჩუნებისა და განვითარების კუთხით<sup>337</sup>.

მრჩევლთა კომიტეტის შეფასებით, განსაკუთრებით მცირერიცხოვან უმცირესობებთან მიმართებით, სახელმწიფომ უნდა გაატაროს აქტიური ღონისძიებები და შექმნას ხელსაყრელი გარემო უმცირესობის ენის გამოყენებისთვის და მისი გაქრობის პრევენციის მიზნით<sup>338</sup>. „საკუთარი ენის სხვებთან ერთად კავშირში გამოყენებაში“ ჩარჩო კონვენციის მე-3 მუხლი გულისხმობს, როგორც სხვა უმცირესობებს, ისე უმრავლესობას. საკუთარი ენის სხვებთან ურთიერთობაში გამოყენებას ინტერკულტურული განზომილება გააჩნია, რომელიც ხელს უწყობს თანასწორობის კლიმატისა და ტოლერანტობის დამკვიდრებას საზოგადოებაში<sup>339</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ცალკე არ აწესრიგებს ლინგვისტურ უფლებებს და მას სხვადასხვა უფლებების ჭრილში განიხილავს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიხედვით ფართო ფარგლებს უწესებს სახელმწიფოებს თავად დაადგინონ საჯარო უწყებებთან ურთიერთობის ოფიციალური ენა ან ენები ენობრივი ერთიანობის მიზნებიდან გამომდინარე<sup>340</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული

---

<sup>334</sup> The Framework Convention: a key tool to managing diversity through minority rights, thematic commentary No. 4 The scope of application of the Framework Convention for the Protection of National Minorities, 2016, 24

<sup>335</sup> Ibid, 24.

<sup>336</sup> ეთნიკური უმცირესობების მიმართ განათლების პოლიტიკის სისტემური გამოწვევები, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, 14.

<sup>337</sup> Thematic Commentary No. 3, The language rights of persons belonging to national minorities under the Framework Convention, Advisory Committee, ACFC/44DOC(2012)001 rev, 6.

<sup>338</sup> Thematic Commentary No. 3, The language rights of persons belonging to national minorities under the Framework Convention, Advisory Committee, ACFC/44DOC(2012)001 rev, 6.

<sup>339</sup> Ibid, 10.

<sup>340</sup> Cultural rights in the case-law of the European Court of Human Rights, / European Court of Human Rights, January 2011 (updated 17 January 2017), 23.

---

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, საკუთარი სახელისა და გვარის მართლწერა უმცირესობის ენაზე ექცევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება).

მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტურ უფლებებთან მიმართებით ევროპული სასამართლო სახელმწიფოებს ფართო მიხედულობის ფარგლებს ანიჭებს, საქმეზე - *Güzel Erdagöz v. Turkey* საქმეში სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა<sup>341</sup>. თურქულმა სასამართლოებმა მომჩივანს უარი უთხრეს პირადობის მოწმობაში მისი სახელის ჩანაწერის გასწორებაზე. ქართული წარმოთქმით მომჩივანი დაობდა, რომ მისი სახელი იყო „Gözel“ და არა „Güzel“. სასამართლომ ამ საქმეში კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა არსებითად იმ გარემოების გამო, რომ თურქული კანონმდებლობა არ განმარტავდა გასაგებად ხელისუფლების დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს<sup>342</sup>.

საქმეზე - *Kemal Taşkın and Others v. Turkey*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან შეუძლებელი იყო თურქული სახელის ქართულით შეცვლა, რადგან ის სახელები, რომლებიც აპლიკანტების მიერ იყო არჩეული, შეიცავდა ისეთ ასოებს, რომელიც არ იყო თურქული ენის ანბანში<sup>343</sup>.

კონვენციის მე-8 მუხლი ასევე ეხება უმცირესობის წარმომადგენელი პატიმრების კორექციონალური წარმოების თავისუფლებას საკუთარ ენაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო განიხილა საქმე - *Mehmet Nuri Özen and Others v. Turkey*, რომელიც პატიმრის მიერ ქართულ ენაზე დაწერილი წერილის გაგზავნას ეხებოდა. სასამართლოს შეფასებით, თურქეთის ხელისუფლებას არ ჰქონდა სამართლებრივი საფუძველი, უარი ეთქვა მსჯავრდებულისთვის წერილის გაგზავნაზე<sup>344</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - *Nusret Kaya and Others v. Turkey*, რომელიც პატიმრის მიერ ციხიდან ნათესავისთვის დარეკვასას ქართულ ენაზე საუბარის აკრძალვას ეხებოდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა<sup>345</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ უმცირესობების ლინგვისტური უფლების დარღვევას კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) ქრილშიც განიხილავს.

---

<sup>341</sup> გუზელ ერდეგოზი თურქეთის წინააღმდეგ (*Güzel Erdagöz v. Turkey*), 2009 წლის 6 აპრილი.

<sup>342</sup> იქვე, პარაგრაფები 43-57.

<sup>343</sup> ქემალ ტასკინი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Kemal Taşkın and Others v. Turkey*), 2010 წლის 4 ოქტომბერი.

<sup>344</sup> მეჰმეთ ნური ოზენი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Mehmet Nuri Özen and Others v. Turkey*), 2011 წლის 11 აპრილი.

<sup>345</sup> ნუსრათ კაია და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Nusret Kaya and Others v. Turkey*), 2014 წლის 8 სექტემბერი, პარ.54.

---

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Mesut Yurtsever and Others v. Turkey* კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა, რადგან პენიტენციურ დაწესებულებაში აიკრძალა ქურთულ ენაზე ბეჭდური გამოცემების მიწოდება<sup>346</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ლინგვისტურ უფლების გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით იმსჯელა საქმეზე - *Association Ekin Vs. France*. მითითებულ საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევა, რადგან საფრანგეთის ხელისუფლებამ კრძალავდა უმცირესობის ენაზე ბეჭდურ გამოცემას<sup>347</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე - *Ulusoy and Others v. Turkey*, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის შენობებში ქურთულ ენაზე სპექტაკლების გამართვის აკრძალვას ეხებოდა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევა დაადგინა<sup>348</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - *Eğitim ve Bilim Emekçileri Sendikası v. Turkey*, რომელიც პროფესიული კავშირის წესდებაში მათი უმცირესობის ენის ადვოკატირებას ეხებოდა<sup>349</sup>. აპლიკანტების იძულებულნი იყვნენ წაეშალათ წესდებაში ენასთან დაკავშირებული ჩანაწერი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-10 მუხლი მოიცავს ინფორმაციის მიღებისა და გაცვლის თავისუფლებას, რითაც დომინანტი და არადომინანტი ჯგუფები კულტურულ ინტერაქციას ამყარებენ ერთმანეთთან<sup>350</sup>.

ლინგვისტურ უფლებას განათლების უფლებასთან მიმართებით, ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს ვალდებულებაა უზრუნველყოს იმ ენაზე განათლების მიღების უფლება, რა ენასაც ირჩევს ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება თავისი იურისდიქციის ქვეშ უზრუნველყოს განათლების უფლება ყველასთვის, ეს არ გულისხმობს, რომ ნებისმიერ სასურველ ენაზე უზრუნველყოს განათლების უფლების ხელმისაწვდომობა<sup>351</sup>.

2012 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - *Catan v Moldova and Russia*, რომელიც მოლდოვურ სკოლებში, ტრანსდნისტრიის ტერიტორიაზე ლათინური ენის გამოყენებას შეეხებოდა. ტრანსდნისტრიის ტერიტორიაზე არ ვრცელდება მოლდოვის ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქცია. არაღიარებული ტრანსდნისტრიის მიერ მითითებულ სკოლებში სკოლებში რუსული დამწერლობის

---

<sup>346</sup> მესუთ იურტსევერ და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Mesut Yurtsever and Others v. Turkey*), 2015 წლის 20 აპრილი.

<sup>347</sup> აცოციაცია „ეკინი“ საფრანგეთის წინააღმდეგ (*Association Ekin Vs. France*), 2001 წლის 17 ივლისი.

<sup>348</sup> ულუსოი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Ulusoy and Others v. Turkey*), 2019 წლის 4 ნოემბერი.

<sup>349</sup> ეგიტიმ ვე ბილიმ ემეკსილერი სანდიკაზი თურქეთის წინააღმდეგ (*Eğitim ve Bilim Emekçileri Sendikası v. Turkey*), 2012 წლის 25 დეკემბერი.

<sup>350</sup> ეგიტიმ ვე ბილიმ ემეკსილერი სანდიკაზი თურქეთის წინააღმდეგ (*Eğitim ve Bilim Emekçileri Sendikası v. Turkey*), 2012 წლის 25 დეკემბერი, ოპარაგფარები 66-70.

<sup>351</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 41.

---

იძულებით შეტანა, ლათინურის მაგივრად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია აპლიკანტის უფლების დარღვევად მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე<sup>352</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2009 წელს განიხილა საქმე - *Irfan Temel and Others v. Turkey*, რომელიც 18 სტუდენტის მიმართ განათლების უფლების ხელყოფას შეეხებოდა. 18 სტუდენტმა მოითხოვა არჩევითი ქურთულენოვანი საგნების სწავლება, რის გამოც მათი მოთხოვნა დისციპლინურ გადაცდომად დაკვალიფიცირდა, რასაც სტუდენტის სტატუსის შეჩერება მოჰყვა<sup>353</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განათლების უფლების დარღვევა დაადგინა.

2001 წელს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა სახელმწიფოთაშორის საჩივარზე - *Cyprus vs. Turkey*. სასამართლოს შეფასებით, თურქეთის ხელისუფლებამ დაარღვია ჩრდილოეთ კვიპროსში მცხოვრები ბერძენი ეთნიკური უმცირესობის განათლების უფლება, რადგან გარანტირებდა განათლების მიღების შესაძლებლობას მხოლოდ დაწყებით და არა საშუალო დონეზე<sup>354</sup>.

ლიგვისტური უფლებების განხილვის ქრილში განათლების ხელმისაწვდომობის კუთხით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფო ვალდებულია განათლების ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის ენობრივი ნიშნით<sup>355</sup>. სწორედ ეს შინაარსი აქვს კონვენციის მე-14 მუხლს (დისკრიმინაციის აკრძალვა) პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით (განათლების უფლება). კონვენციის სტანდარტი არ არის დაავალდებულოს სახელმწიფო, უზრუნველყოს განათლების ხელმისაწვდომობა ნებისმიერ ენაზე, რადგან ამ შემთხვევაში, ნებისმიერ ადამიანს ექნება შესაძლებლობა, განათლების მიღება ნებისმიერ ენაზე მოითხოვოს, რაც აბსურდულ შედეგებამდე მიდის<sup>356</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ლინგვისტურ უფლებებს პოლიტიკური მონაწილეობის ქრილშიც განიხილავს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო განიხილა საქმე - *Podkolzina v. Latvia*, რომელიც ეხებოდა ლატვიაში რუსული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლის მოხსნას საპარლამენტო არჩევნების საარჩევნო კანდიდატთა სიიდან, სახელმწიფო ენის (ლატვიური ენის) არასაკმარისი ცოდნის გამო<sup>357</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მესამე მუხლის (თავისუფალი არჩევნების უფლება) დარღვევა, რადგან კანდიდატის საარჩევნო სიიდან ამორიცხვის პროცედურა არ

---

<sup>352</sup> კატანი მოლდოვას და რუსეთის წინააღმდეგ (*Catan v. Moldova and Russia*), 2012 წლის 19 ოქტომბერი.

<sup>353</sup> ირფან ტემელი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Irfan Temel and Others v. Turkey*), 2009 წლის 3 ივნისი.

<sup>354</sup> კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (*Cyprus vs. Turkey*), 2001 წლის 10 მაისი, პარ. 278.

<sup>355</sup> Cultural rights in the case-law of the European Court of Human Rights, / European Court of Human Rights, January 2011 (updated 17 January 2017), 25.

<sup>356</sup> იქვე, 25.

<sup>357</sup> პოდკოლიზინა ლატვიის წინააღმდეგ (*Podkolzina v. Latvia*), 2002 წლის 9 ივლისი.

---

შესაბამებოდა სამართლიანობისა და განჭვრეტადობის კონვენციურ პრინციპებს<sup>358</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ საარჩევნო კანდიდატის კანონისმიერი დავადებულება სახელმწიფო ენის ადეკვატურ ცოდნასთან დაკავშირებით ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი მოთხოვნაა, რადგან ამ კუთხით სახელმწიფოს მიხედულობის ფართო ფარგლები ენიჭება თავად განსაზღვროს სახელმწიფო ენის ცოდნის მოთხოვნა<sup>359</sup>.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, თითოეულ სახელმწიფოს აქვს ლეგიტიმური ინტერესი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვეყნის ინსტიტუციურმა სისტემამ სათანადოდ იფუნქციონიროს. სასამართლომ განმარტა, რომ იგი არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს ეროვნული პარლამენტის მუშაობის ენაზე. აღნიშნული უფლებამოსილება სასამართლომ ეროვნული სახელმწიფოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებად მიიჩნია, რომელიც ქვეყნის ისტორიული და პოლიტიკური კონტექსტით არის ნაკარნახევი<sup>360</sup>.

### 5.5. გაერთიანების თავისუფლება

გაერთიანების თავისუფლება არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტით არის გათვალისწინებული, თუმცა ეთნიკური უმცირესობებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მისი სპეციფიურობისა და თავისებურების გამო. ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის განმარტებითი ბარათის თანახმად, სხვა უფლებებთან ერთად გაერთიანების თავისუფლება ყველა ადამიანს მიემართება, თუმცა, მიიჩნევა, რომ იგი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ეთნიკური უმცირესობების დაცვის კონტექსტში<sup>361</sup>. გაერთიანების თავისუფლებით სარგებლობა უმცირესობის კულტურის შენარჩუნებისა და განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობა და საზოგადოებაში ინტეგრაციის საფუძველია. შესაბამისად, ჩარჩო კონვენციის მე-7 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვას გაერთიანების თავისუფლება და შექმნას სპეციალური გარანტიები ეთნიკური უმცირესობების დაცვასთან დაკავშირებით<sup>362</sup>.

ჩარჩო კონვენციასთან დაკავშირებით მრჩეველთა კომიტეტის დასკვნების თანახმად, სახელმწიფოებს ევალებათ, დაადგინონ სწრაფი, მოქნილი და მარტივი რეგულაციები იმ ორგანიზაციების რეგისტრაციისთვის, რომლებიც იცავენ ეთნიკურ უმცირესობებს<sup>363</sup>. სწორედ გაერთიანების თავისუფლება არის წინაპირობა ეთნიკური უმცირესობების

---

<sup>358</sup> იქვე, პარაგრაფები 33-38.

<sup>359</sup> იქვე, 33-34.

<sup>360</sup> პოდკოლზინა ლატვიის წინააღმდეგ (Podkolzina v. Latvia), 2002 წლის 9 ივლისი, პარ. 34.

<sup>361</sup> Explanatory Report – ETS 157 to the Framework Convention for the Protection of National Minorities, Strasbourg, 1.II.1995, 7.

<sup>362</sup> იქვე, 7.

<sup>363</sup> Thematic Reports on Azerbaijan, first cycle, < <https://www.coe.int/en/web/minorities/azerbaijan> >. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].



---

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისა და მისთვის გაუმართლებელი საკანონმდებლო და პრაქტიკული წინააღმდეგობების შექმნა აფერხებს ამ უფლებით ეფექტიან სარგებლობას.

გაერთიანების თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით, მრჩეველთა კომიტეტი თანასწორობის პრინციპზე მიუთითებს და განმარტავს, რომ საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაერთიანებების რეგისტრაციისათვის გათვალისწინებული პირობები არ უნდა შეიცავდეს ეთნიკური ნიშნით განსხვავებას<sup>364</sup>.

ხორვატიისათან დაკავშირებით, კომიტეტმა განმარტა, რომ სახელმწიფომ უნდა გაატაროს ზომები, რათა საგადასახადო კანონმდებლობა არ ქმნიდეს წინააღმდეგობას ეთნიკური უმცირესობის მიერ გაერთიანების თავისუფლების პრაქტიკაში განხორციელებასთან დაკავშირებით. ესტონეთთან დაკავშირებით კომიტეტის დასკვნით, ადამიანები, რომლებიც ადვოკატირებას უწევენ ეთნიკური უმცირესობების ინტერესებს, არ უნდა დაისაჯონ ამ საქმიანობისთვის<sup>365</sup>.

ჩარჩო კონვენციით, სახელმწიფოს ვვალეა მიიღოს საკანონმდებლო ზომები, რაც ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეზე გაზრდის ეთნიკური უმცირესობების მიერ გაერთიანების თავისუფლების პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას<sup>366</sup>. ვინაიდან გაერთიანებების შექმნის თავისუფლება პოლიტიკური საქმიანობის ერთ-ერთი შესაძლებლობაა, კომიტეტი მოუწოდებს წევრს სახელმწიფოებს, რომ გაატარონ ზომები, რათა პოლიტიკური გაერთიანებების შექმნის უფლება არ იყოს შეზღუდული დისკრიმინაციული და არაპროპორციული მოთხოვნებით<sup>367</sup>.

საკონსულტაციო კომიტეტი ეთნიკური უმცირესობების უფლებას, დაუბრკოლებლად შექმნან პოლიტიკური პარტია უმცირესობების თვითგამონახტვის და ინტეგრაციის მნიშვნელოვან მექანიზმად მიიჩნევს<sup>368</sup>. პარტიული საქმიანობით, უმცირესობებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესში და გავლენა მოახდინონ საჯარო გადაწყვეტილებებზე. ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკურ პარტიებს აქვთ შესაძლებლობა გააკონტროლონ მთავრობა და დაიკავონ ადგილი საჯარო სექტორში, რათა მათთვის არსებითი საკითხები ხელისუფლების პოლიტიკურ დღის წესრიგში მოხვდეს<sup>369</sup>.

---

<sup>364</sup> Thematic Reports on Bulgaria, third cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/bulgaria>>, [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>365</sup> Thematic Reports on Croatia, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/croatia>>, [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>366</sup> Thematic Reports on Bulgaria, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/bulgaria>>, [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>367</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 32.

<sup>368</sup> Thematic Reports on Bulgaria, third cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/bulgaria>>, [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>369</sup> Weber, M., The Theory of Social and Economic Organization, New York: Free Press, 1947.

---

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-11 მუხლის ფარგლებში იხილავს ეთნიკური უმცირესობების გაერთიანების თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ეთნიკური უმცირესობების მიერ გაერთიანების თავისუფლებით შეუფერხებლად სარგებლობა მათი კულტურის შენარჩუნებისა და უფლებების დაცვისა და ხელშეწყობისთვის არსებითად მნიშვნელოვანია<sup>370</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლომ კონვენციის მე-11 მუხლთან მიმართებით დაადგინა, რომ „ურიდიული პირის დაფუძნების შესაძლებლობა, იმ მიზნით, რომ მისმა წევრებმა საერთო ინტერესების სფეროში კოლექტიურად იმოქმედონ, გაერთიანების თავისუფლების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს, რომლის გარეშეც ამ უფლებას ყოველგვარი აზრი გამოეცლებოდა.“<sup>371</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Gorzelik and other vs. Poland*, გაერთიანების თავისუფლება უმცირესობების ტრადიციებისა და კულტურის დაცვის კონტექსტში განიხილა<sup>372</sup>. *Gorzelik* -ის საქმეზე სასამართლომ განმარტა, რომ „პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყანაში პლურალიზმისა და დემოკრატიის დაცვაში. გაერთიანებები, რომლებიც ყალიბდება სხვადასხვა მიზნისთვის, მათ შორის: კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, სხვადასხვა სოციო-ეკონომიკური, რელიგიის, ადმსარებლობის ან სწავლების, ეთნიკური იდენტობის ან უმცირესობათა ცნობიერების ძიების მიზნებით ასევე მნიშვნელოვანია დემოკრატიული პროცესებისთვის. პლურალიზმი დაშენებულია აღიარებასა და პატივისცემაზე კულტურული, ეთნიკური, რელიგიური და სხვა მრავალფეროვნებისა და დინამიკის მიმართ. სხვადასხვა იდენტობის ადამიანთა და ჯგუფთა ჰარმონიული თანაცხოვრება მნიშვნელოვანია სოციალური ერთობის მისაღწევად. ბუნებრივია, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ჯანსაღია მოქალაქეთა მონაწილეობა დემოკრატიულ პროცესებში მიიღწევა მათი გაერთიანებების გზით“<sup>373</sup>. მიუხედავად სასამართლოს ამგვარი შეფასებისა, ევროპულმა სასამართლომ არ დაადგინა კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა, რადგან პოლიტიკურ პარტიას, რომელსა პოლონეთის უწყებების მიერ უარი ეთქვა დარეგისტრირებაზე არჩეული ჰქონდა ისეთი დასახელება, რომელიც ამომრჩევლის შეცდომაში შეყვანის საფრთხეს შეიცავდა. პოლონეთის სახელმწიფო სტრუქტურებმა უარი უთხრეს აპლიკანტებს ასოციაციის დარეგისტრირებაზე, რომელიც თავს თვლიდა სილესიელ ეთნიკურ უმცირესობად. პოლონეთის შესაბამისმა უწყებებმა

---

<sup>370</sup> Guide on Article 11 of the European Convention on Human Rights, Freedom of assembly and association, Updated on 31 December 2021.

<sup>371</sup> აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2019 წელი, 71-72.

<sup>372</sup> გორზელიკი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ (*Gorzelik and others v. Poland*), 2004 წლის 17 თებერვალი, პარ.93

<sup>373</sup> გორზელიკი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ (*Gorzelik and others v. Poland*), 2004 წლის 17 თებერვალი, პარ.93. ასევე: ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 36.

---

აპლიკანტებს განუმარტეს, რომ სახელმწიფო სილესიელებს არ მიიჩნევდა ეროვნულ უმცირესობად და შესაბამისად დარეგისტრირების შემთხვევაში, მიიღებდა ელექტორალურ უპირატესობას სხვა ეთნიკური უმცირესობებთან შედარებით<sup>374</sup>. ამის მსგავსად, *Eğitim ve Bilim Emekçileri Sendikası v. Turkey* საქმე შეეხებოდა გაერთიანებას, რომელშიც შედიოდნენ განათლებისა და მეცნიერების სფეროს წარმომადგენლები. თურქეთის ხელისუფლებამ ორგანიზაციას დაუწესა შეზღუდვა, რომ მისი ორგანიზაციის წესდებიდან ამოეღო „მშობლიურ ენაზე სწავლების“ მუხლი. ამ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, თურქეთის ხელისუფლება გაერთიანებას გაუქმებით ემუქრებოდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ასოციაციის თავსუფლება, მოიცავს თავისუფლებას, მიიღო და გაავრცელო ინფორმაცია და მოსაზრებები სასურველ ენაზე, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ადამიანს, მონაწილეობა მიიღოს საჯარო ცხოვრებაში ნებისმიერი პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ხასიათის ინფორმაციისა და იდეების გაცვლის გზით<sup>375</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Eğitim ve Bilim Emekçileri Sendikası v. Turke* განმარტა, რომ უმცირესობებისა და სხვადასხვა კულტურების არსებობა სახელმწიფოში ისტორიული ფაქტია, რომლის მიმართაც საზოგადოებამ შემწყნარებლური დამოკიდებულება უნდა გამოიყენოს და დაიცვას უმცირესობათა უფლებები<sup>376</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Sidiropoulos and Others v. Greece* განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი იცავს გაერთიანების თავისუფლებას, რომელიც უმცირესობების კულტურისა და ცნობიერების დაცვისა და ხელშეწყობისთვის არის მნიშვნელოვანი<sup>377</sup>. *Sidiropoulos*-ის საქმეზე ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა გაერთიანებების თავისუფლების ფარგლებზე, რომელთა მიზანსაც უმცირესობის კულტურის დაცვა და ხელშეწყობა წარმოადგენს. მითითებულ საქმეში მომჩივანი განმარტავდა, რომ „მაკედონიელი“ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი იყო და ჰქონდა „მაკედონური ეროვნული ცნობიერება.“ მაკედონურმა ეთნიკურმა ჯგუფმა გადაწყვიტა დაეფუძნებინა არაკომერციული ორგანიზაცია, რომლის სახელწოდებაც „მაკედონიის ცივილიზაციის სახლი“ იყო<sup>378</sup>. საბერძნეთის ეროვნულმა სასამართლოებმა უარი უთხრეს მომჩივნის ორგანიზაციას რეგისტრაციაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მითითებულ საქმეზე ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა დაადგინა. სასამართლომ

---

<sup>374</sup> გორზელიკი და სხვები პოლონეთის წინააღმდეგ (*Gorzelik and others v. Poland*), 2004 წლის 17 თებერვალი, პარ.103-106.

<sup>375</sup> *ეგითიმ ვე ბილიმ ემეკჩილერი სანდიკასი თურქეთის წინააღმდეგ (Eğitim ve Bilim Emekçileri Sendikası v. Turkey)*, 2012 წლის 25 დეკემბერი, პარაგრაფი 7.

<sup>376</sup> იქვე 59.

<sup>377</sup> *სიდროპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Sidiropoulos and Others v. Greece)*, 1998 წლის 10 ივლისი, პარ.44.

<sup>378</sup> *სიდროპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Sidiropoulos and Others v. Greece)*, 1998 წლის 10 ივლისი.

განმარტა, რომ ორგანიზაციის მიზანს ექსკლუზიურად ადგილობრივი კულტურისა და ტრადიციების დაცვა და ხელშეწყობა წარმოადგენდა. ევროპული სასამართლოს შეფასებით, ორგანიზაციის ამგვარი მიზანი იყო ნათელი და ლეგიტიმური. შესაბამისად, ამ ლეგიტიმური ინტერესის შეზღუდვა იყო არაპროპორციული და კონვენციის მე-11 მუხლს ლახავდა. სასამართლოს განმარტებით, ამა თუ იმ რეგიონში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობებს უფლება აქვთ შექმნან ასოციაციები იმისათვის, რათა დაიცვან და განავითარონ საკუთარი კულტურა, მათი რეგიონის თავისებურებანი ისტორიული და ეკონომიკური საფუძვლებიდან გამომდინარე<sup>379</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა „კოპენჰაგენის დოკუმენტზე“<sup>380</sup> და „პარიზის ქარტიაზე“<sup>381</sup>, რომლებიც საბერძნეთს რატიფიცირებული ჰქონდა. აღნიშნული დოკუმენტებიდან გამომდინარე, ეთნიკურ უმცირესობებს უფლება ჰქონდათ დაეფუძნებინათ გაერთიანებები მათი კულტურისა და სულიერი მემკვიდრეობის დაცვის მიზნით<sup>382</sup>.

2008 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმეზე *Tourkiki Enosi Xanthis and Others v. Greece*, რომელშიც განმარტა, რომ ასოციაციების შექმნით საკუთარი მოსაზრებების გამოხატვას და პერსონალური ავტონომიურობის კონცეფტს საფუძვლად უდევს ადამიანის უფლება გამოხატოს საკუთარი რწმენა თავისი ეთნიკური იდენტობის შესახებ<sup>383</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით „მომჩივნის რეალური მიზეზი, დაეცვა თავისი კულტურული უმცირესობა საბერძნეთში (მუსლიმური უმცირესობა), არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული საფრთხედ ქვეყნის ტერიტორიული ერთიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგისთვის“<sup>384</sup>. სასამართლოს შეფასებით, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობას, ეროვნული უსაფრთხოებას და საჯარო წესრიგს საფრთხეს არ უქმნის უმცირესობათა ორგანიზაციები, რომელთა მიზანსაც რეგიონის კულტურის ხელშეწყობა წარმოადგენს, მათ შორის უმცირესობების კულტურის განვითარების გზით<sup>385</sup>. სწორედ მითითებულ საქმეში ვლინდება საბერძნეთის ხელისუფლების „დომინანტური მზერა“ და ის, რომ უმცირესობები აღქმული იქნენ საფრთხედ და არასანდო მოქალაქეებად<sup>386</sup>. მთავარ პრობლემად *Tourkiki Enosi Xanthis*-ის საქმეში იყო, ის რომ უმცირესობებს საბერძნეთის ხელისუფლება

<sup>379</sup> იქვე, პარ. 44.

<sup>380</sup> Document of the Copenhagen Meeting of the Conference on the Human Dimension of the OSCE (Section IV)” of 29 June 1990.

<sup>381</sup> “Charter of Paris for a New Europe” of 21 November 1990.

<sup>382</sup> *სიდროპულოსი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (Sidiropoulos and Others v. Greece)*, 1998 წლის 10 ივლისი. პარ. 44.

<sup>383</sup> თურქიქი ენოსი ხანტისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Tourkiki Enosi Xanthis and Others v. Greece*), 2008 წლის 27 მარტი, პარაგრ. 56.

<sup>384</sup> იქვე, პარაგრაფები 51-56. ასევე: ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 35.

<sup>385</sup> თურქიქი ენოსი ხანტისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Tourkiki Enosi Xanthis and Others v. Greece*), 2008 წლის 27 მარტი, პარაგრ. 51.

<sup>386</sup> საგანგებობანას ვირუსი ნაწილი II, სამოქალაქო იდეა, 2020, 27.

---

უსაფრთხოების პრიზმიდან უყურებდა, რაც არსებითად ზრდიდა თემის მოწყვლადობას და მის გარიყულობას იწვევდა<sup>387</sup>.

საქმეზე - *The United Macedonian Organisation Ilinden and Others v. Bulgaria* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მხოლოდ სეპარატისტული მოსაზრებები და ავტონომიის მოთხოვნა თავისთავად არასაკმარისია ტერიტორიული მთლიანობასა და ეროვნული უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საფრთხის შესაფასებლად<sup>388</sup>. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია, სახეზე იყოს აშკარა და მყისიერი საფრთხე, რომელიც ზიანს აყენებს ქვეყნის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას.

იგივე მსჯელობა განავითარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეებზე - *Bekir-Ousta and Others v. Greece* და *National Turkish Union Kungyun v. Bulgaria* ეროვნულმა სასამართლოებმა აპლიკანტებს (მუსმილ უმცირესობებს) უარი უთხრეს რეგისტრაციაზე. მითითებულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა დაადგინა<sup>389</sup>. სასამართლოს შეფასებით, მათი საწესდებო დოკუმენტაციიდან და პრაქტიკიდან არ იკვეთებოდა ის, რომ ეს ორგანიზაციები ძალადობის და ანტიდემოკრატიული პროცესების აღვოკატირებას ეწეოდნენ.

სასამართლომ ასევე, განმარტა, რომ „უმცირესობებისა და განსხვავებული კულტურის არსებობა ქვეყანაში არის ისტორიული ფაქტი, რომლის მიმართაც დემოკრატიული საზოგადოება უნდა იყოს შემწყნარებელი და, მეტიც, უნდა დაიცავს და მხარი დაუჭიროს მას საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად“<sup>390</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2005 წელს განხილულ საქმეზე - *Ouranio Toxo and Others v. Greece* განმარტა, რომ უმცირესობის კულტურის შენარჩუნება და განვითარება, ასევე უმცირესობასთან მიკუთვნებადობის ცნობიერება არ წარმოადგენს საფრთხეს „დემოკრატიული საზოგადოებისთვის“, მიუხედავად იმისა, რომ მან გარკვეული დაძაბულობა შეიძლება გამოიწვიოს<sup>391</sup>. ევროპულმა სასამართლომ 2019 წელს განხილულ საქმეზე - *Zhdanov and Others v. Russia*, იგივე მსჯელობა განავითარა და განმარტა, რომ გარკვეული დაძაბულობის წამომობა პლურალიზმის ბუნებრივ შედეგს წარმოადგენს, რომელიც მრავალფეროვნების პატივისცემასა და უმცირესობების

---

<sup>387</sup> იქვე, 27.

<sup>388</sup> გაერთიანებული მაკედონიური ორგანიზაცია ილინდენი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ ( *The United Macedonian Organisation Ilinden and Others v. Bulgaria*), 2006 წლის 19 აპრილი, პარაგ. 76.

<sup>389</sup> ბეკირ-ოუსტა და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Bekir-Ousta and Others v. Greece*), 2007 წლის 11 ოქტომბერი. თურქიმ ოუნიონ კუნგუნ ბულგარეთის წინააღმდეგ (*Turkish Union Kungyun v. Bulgaria*), 2017 წლის 8 სექტემბერი.

<sup>390</sup> თურქიქი ენოსი ხანთისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Tourkiki Enosi Xanthis and Others v. Greece*), 2008 წლის 27 მარტი, პარაგ. 51-56. ასევე: ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 35.

<sup>391</sup> ორანიო ტოქსო და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ (*Ouranio Toxo and Others v. Greece*), 2006 წლის 20 იანვარი, პარ. 40.

---

კულტურული იდენტობის განვითარებას ეფუძნება<sup>392</sup>. სასამართლოს შეფასებით, ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ ამ დაძაბულობის შემცირება პლურალიზმის განადგურების ხარჯზე არ უნდა განახორციელოს, არამედ, უნდა უზრუნველყოს, რომ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებმა ერთმანეთის მიმართ ტოლერანტობა გამოიჩინონ<sup>393</sup>.

2006 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - *Artyomov v. Russia*, რომელიც პოლიტიკური გაერთიანების შექმნის საკითხს ეხებოდა. მითითებულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ საკმაოდ კონტრავერსიული მსჯელობა განავითარა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *Artyomov*-ის საქმეზე გამართლა რუსეთის სახელმწიფო ორგანოების უარი პოლიტიკური პარტიის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, რადგან ეს გაერთიანება, დაუფარავად აცხადებდა კონკრეტული ეთნიკური ჯგუფთან აფილაციას. სასამართლოს განმარტებით, რუსეთის სახელმწიფო ორგანოები ხელს არ უშლიდნენ მომჩივანს შეექმნათ გაერთიანება და გამოეხატათ საკუთარი იდენტობა. მაგრამ, პოლიტიკური პარტიის შექმნის შემთხვევაში, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა მიედო არჩევნებში მონაწილეობა, ლეგიტიმური იყო საკითხი საარჩევნო საკითხებში ეროვნული სპეციფიურობის გათვალისწინებასთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლოს შეფასებით, თანამედროვე რუსეთში საფრთხის შემცველი იყო ისეთი პოლიტიკური პარტიების წახალისება, რომლებიც ეთნიკურ და რელიგიურ აფილაციებს ეფუძნება<sup>394</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტით, თავისთავად მხოლოდ სახელწიდება როგორი პროვოკაციულიც და მტრული სენტიმენტების აღმძვრელიც არ უნდა იყოს მოსახლეობის უმრავლესობაში, არ წარმოადგენს პარტიის დაშლის საფუძველს, თუ არ არსებობს საჯარო წესრიგისადმი რეალური საფრთხის შემცველი კონკრეტული მტკიცებულება<sup>395</sup>.

##### 5.6. გამოხატვის თავისუფლება და მედიის ხელმისაწვდომობა

ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად, მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყოველი იმ პირის გამოხატვის თავისუფლების უფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ასევე მოიცავს თავისუფლებას, გააჩნდეს მოსაზრებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იღებენ უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე<sup>396</sup>.

---

<sup>392</sup> ჟდანოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Zhdanov and Others v. Russia*), 2019 წლის 16 ოქტომბერი, პარ. 139.

<sup>393</sup> იქვე, პარ.163.

<sup>394</sup> არტიომოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Artyomov v. Russia*), 2010 წლის 4 ოქტომბერი, პარაგრაფები 105-117.

<sup>395</sup> მოქალაქეთა ასოციაცია „რედკო“ და პანკოვსკი ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის მაკედონიის წინააღმდეგ (*Association of Citizens "Radko" and Paunkovski v. the former Yugoslav Republic of Macedonia*), 2009 წლის 15 აპრილი, პარ. 75.

<sup>396</sup> ევროპის საბჭოს „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“ ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლი.

---

მედიის ხელმისაწვდომობის ქრილში, ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლი გარანტირებს შემდეგ უფლებებს: ბეჭდვითი მედიის შექმნისა და გამოყენების უფლება; ხმოვანი რადიო და სატელევიზიო მაუწყებლების ან კინოწარმოების შექმნის უფლება; მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უფლება<sup>397</sup>.

ჩარჩო კონვენცია მედიაზე ხელმისაწვდომობის უფლებას გამონატვის თავისუფლების ნაწილში განიხილავს. ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი ეხება ინფორმაციისა და მოსაზრებების მიღებისა და გავრცელების უფლებას უმცირესობის ენაზე<sup>398</sup>. ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ასევე, აწესრიგებს ინფორმაციისა და მოსაზრებების მიღებასა და გავრცელებას უმრავლესობის ან სხვა ენებზე<sup>399</sup>. ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის პირველი ნაწილი კრძალავს დისკრიმინაციას მედიის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით<sup>400</sup>. ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი ეხება ხმოვანი რადიოსა და ტელემაუწყებლობის ან კინოწარმოების ლიცენზირებას არადისკრიმინაციულ საფუძველზე ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით<sup>401</sup>.

ბეჭდურ მედიასთან დაკავშირებით, ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი მხოლოდ სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას აკისრებს, ხელი არ შეუშლოს იმ პირების მიერ ბეჭდვითი მედიის შექმნასა და გამოყენებაში, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს<sup>402</sup>.

ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი კი ხაზს უსვამს სპეციალურ ზომების საჭიროებას ორმაგი მიზნისთვის - უზრუნველყონ მასმედიისადმი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ხელი შეუწყონ ტოლერანტობასა და ნება დართონ კულტურულ პლურალიზმს<sup>403</sup>.

მედიას აქვს დიდი როლი გამონატვის თავისუფლების რეალიზაციის კუთხით და ეთნიკური უმცირესობების დაცვის კონტექსტში იგი სპეციფიური მნიშვნელობის მატარებელია<sup>404</sup>. მედიას აქვს განსაკუთრებული ფუნქცია ტოლერანტობისა და კულტურული პლურალიზმის ხელშეწყობის კუთხით. ამასთანავე, მედია თამაშობს მნიშვნელოვან როლს ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტურ უფლებებთან მიმართებით. ინფორმაციისა და იდეების უმცირესობის ენაზე გავრცელების უფლება (ჩარჩო კონვენციის მე-9 მუხლი) დამოკიდებულია მედიაზე ხელმისაწვდომობის

---

<sup>397</sup> იქვე, მუხლი 9.

<sup>398</sup> იქვე, მუხლი 9, პუნქტი 1.

<sup>399</sup> Explanatory Report – ETS 157 to the Framework Convention for the Protection of National Minorities, Strasbourg, 1.II.1995, 8.

<sup>400</sup> იქვე, 8.

<sup>401</sup> იქვე, 8.

<sup>402</sup> იქვე, 8.

<sup>403</sup> იქვე, 8.

<sup>404</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 37.

---

ეფექტიან შესაძლებლობებზე<sup>405</sup>. მრჩეველთა კომიტეტის განმარტებით, ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შესაძლებლობა იმ ენაზე, რაც ადამიანებმა იციან და კომუნიცირებენ, საჯარო, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მათი თანასწორი და ეფექტიანი მონაწილეობის წინაპირობას წარმოადგენს<sup>406</sup>. უფრო მეტიც, იმისთვის, რომ ენა სხვადასხვა სფეროში განვითარდეს და საზოგადოებას მოემსახუროს, როგორც კომუნიკაციის საშუალება, იგი საზოგადოებრივი მედიის დღის წესრიგში უნდა დადგეს. უმცირესობების ენის საზოგადოებრივ მედიაში არსებობა აძლიერებს სოციალურ თანაარსებობას და მის ინკლუზიური პოლიტიკის ნაწილად ქცევას<sup>407</sup>.

საზოგადოებრივმა მაუწყებლის მიერ საზოგადოებაში კულტურული და ლინგვისტური მრავალფეროვნების ასახვის მიზნით, მან უნდა უზრუნველყოს უმცირესობებისა და მათი ენების ხილვადობა საზოგადოებრივ მედიაში, განსაკუთრებული აქცენტით მცირერიცხოვანი ეთნიკური უმცირესობების მიმართ<sup>408</sup>. ეუთოს 2003 წლის რეკომენდაციების თანახმად „სახელმწიფო პოლიტიკა მხარს უნდა უჭერდეს საზოგადოებრივ მაუწყებლობას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის საინფორმაციო, საგანმანათლებლო, კულტურული და გასართობი პროგრამების ფართო წრეს, მათ შორის ეროვნულ უმცირესობას განკუთვნილი პირების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. სახელმწიფოებმა მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინონ, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში შექმნან ფინანსური, ტექნიკური და სხვა საჭირო პირობა საზოგადოებრივი მაუწყებლობის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელებისათვის“<sup>409</sup>. ამავე რეკომენდაციების მეორე თავის მე-8 მუხლი კი განსაზღვრავს, რომ „სახელმწიფო პოლიტიკა ხელს უნდა უწყობდეს ეროვნულ უმცირესობას განკუთვნილ პირებს ტელერადიომაუწყებლობის საკუთარ ენაზე შექმნასა და ფუნქციონირებაში“<sup>410</sup>.

მეცნიერები უმცირესობათა ენების ტელერადიო სივრცეში წარმოდგენასთან დაკავშირებით სამ სხვადასხვა კატეგორიას გამოყოფენ. პირველი კატეგორიის ქვეყნებს განეკუთვნებიან სახელმწიფოები, სადაც ეთნიკური და ლინგვისტური მრავალფეროვნება ისტორიული ფაქტია (მაგ, ბელგია)<sup>411</sup>. მეორე სახის ქვეყნებში უმცირესობათა ენებთან დაკავშირებით მოსაზრებები გასული ათწლეულების განმავლობაში შემუშავდა (მაგ, დიდი ბრიტანეთი)<sup>412</sup>. მესამე კატეგორიის ქვეყანას საქართველო განეკუთვნება, სადაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ,

---

<sup>405</sup> Thematic Commentary No. 3, The language rights of persons belonging to national minorities under the Framework Convention, Advisory Committee, ACFC/44DOC(2012)001 rev, 14.

<sup>406</sup> იქვე, 14.

<sup>407</sup> იქვე, 14

<sup>408</sup> იქვე, 14

<sup>409</sup> ეუთოს 2003 წლის ოქტომბრის რეკომენდაციები უმცირესობათა ენების ტელერადიომაუწყებლობაში გამოყენების თაობაზე, 10. <<https://www.osce.org/files/f/documents/5/f/32319.pdf>> [ბოლოდ ნანახია: 22.03.2022].

<sup>410</sup> იქვე, მუხლი 11.

<sup>411</sup> ეთნიკური უმცირესობების საჭიროებები, საზოგადოებრივი მაუწყებელი და პანდემია, EMC, 2020, 15-16.

<sup>412</sup> იქვე, 15-16.



---

სახელმწიფო ენის ლინგვისტური იერარქიის განმტკიცება ხდება, რომლის ხარჯზეც იჩაგრებიან უმცირესობის ენები, ტელე-რადიო მაუწყებლები მათ ხილვადობას შედარებით ნაკლებ დროს უთმობენ<sup>413</sup>.

საკონსულტაციო კომიტეტმა ხორვატიასთან დაკავშირებით მესამე შემაჯამებელ დასკვნაში განმარტა, რომ უმცირესობების ინტერესები და წუხილები გაყდრებულ უნდა იქნას არა მხოლოდ ცალკეულ გადაცემებში, არამედ რეგულარულ საინფორმაციო გამომშვებებშიც, რომელსაც ფართო დაფარვა აქვს<sup>414</sup>. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ძალისხმევა უნდა გასწიონ, რათა მოიზიდონ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ჟურნალისტები და მაუწყებელთა საბჭოებში მათი წარმომადგენლობა უნდა უზრუნველყონ<sup>415</sup>. უმცირესობის ენაზე მაუწყებლობა საჭიროებს დამატებით ძალისხმევას თარგმანისა და ედუკატური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების კუთხით, საბიუჯეტო ასიგნებებს ამგვარი პროგრამებისთვის<sup>416</sup>.

რაც შეეხება კერძო მედიას, საკონსულტაციო კომიტეტის შეფასებით, კერძო და სათემო მედიასაშუალებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეთნიკური უმცირესობების ლინგვისტური უფლებების რეალიზაციის კუთხით<sup>417</sup>. კომიტეტი ხაზს უსვამს კერძო მედიის კონტრიბუციას უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით და მის ძალისხმევას საზოგადოებაში კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობასთან დაკავშირებით<sup>418</sup>.

საკონსულტაციო კომიტეტის განმარტებით, ბეჭდური მედია წარმოადგენს ინფორმაციის მიღების ტრადიციულ საშუალებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ასაკოვანი ადამიანებისთვის. უმცირესობის ენაზე გამოცემულ ბეჭდურ გამოცემებს დიდი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს მთლიანად უმცირესობის თემისთვის და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის კუთხით<sup>419</sup>. საკონსულტაციო კომიტეტს არაერთხელ განუმარტავს, რომ უმცირესობები მათ უმცირესობის ენაზე ბეჭდურ მედიას მათი კულტურისა და იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიიჩნევენ<sup>420</sup>.

---

<sup>413</sup> იქვე, 15-16.

<sup>414</sup> Thematic Reports on Croatia, third cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/croatia>>, [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>415</sup> Thematic Reports on Romania, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/romania>>, [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>416</sup> Thematic Reports on Hungary, third cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/hungary>> [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>417</sup> Thematic Commentary No. 3, The language rights of persons belonging to national minorities under the Framework Convention, Advisory Committee, ACFC/44DOC(2012)001 rev, 15.

<sup>418</sup> Thematic Reports on Austria, <<https://www.coe.int/en/web/minorities/austria>> [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>419</sup> Thematic Commentary No. 3, The language rights of persons belonging to national minorities under the Framework Convention, Advisory Committee, ACFC/44DOC(2012)001 rev, 15-16.

<sup>420</sup> იქვე, 15-16.

---

საკონსულტაციო კომიტეტი შეფასების სხვადასხვა ციკლის ფარგლებში მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, გაეტარებინა ზომები, ეთნიკური უმცირესობების, განსაკუთრებით მცირერიცხოვანი უმცირესობების კუთხით მიმზიდველი და მულტუკულტურული მედია გარემოს შექმნისკენ, უზრუნველყო უმცირესობის ენებზე ხარისხიანი მედიის ხელმისაწვდომობა და უმცირესობის საკითხების მეინსტრიმ მედიაში გაშუქება<sup>421</sup>.

საკონსულტაციო კომიტეტის მესამე ციკლის ფარგლებში, კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს, მიმართოს ძალისხმევა ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისთვის პროგრამებისა და ინფორმაციის უმცირესობათა ენებზე მიწოდების უზრუნველყოფისაკენ, ასევე, უწყვეტად აკონტროლოს და რეგულარულად შეაფასოს ეს პროექტი<sup>422</sup>. ასევე, მრჩველთა კომიტეტმა მოუწოდა ხელისუფლებას, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ განხორციელებული ციფრული სტრატეგიის გათვალისწინებით, უზრუნველყოს ეროვნულ უმცირესობების წარმომადგენლების წვდომა ინტერნეტზე, განსაკუთრებით კი შორეულ რეგიონებში და საჯაროდ წარადგინოს მოხსენება საქართველოში არსებული ინტერნეტ-დაფარვის შესახებ<sup>423</sup>. მრჩველთა კომიტეტი მოუწოდებს ხელისუფლებას, გაზარდოს მხარდაჭერა რიცხოვრივად მცირე უმცირესობების ეროვნულ ენაზე გამოცემული გაზეთებისა და სხვა მედიასაშუალებებისადმი<sup>424</sup>.

აზერბაიჯანთან დაკავშირებით მიღებულ შემაჯამებელ დასკვნაში, მრჩველთა კომიტეტმა განმარტა, რომ სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ თანასწორო საპროცედურო ნორმები საგაზეთო პუბლიკაციების რეგისტრირებისთვის, რაც ეთნიკური უმცირესობების ლეგიტიმური მიზნის განხორციელებას უწყობს ხელს<sup>425</sup>.

### 5.7. რელიგიის თავისუფლება

ჩარჩო კონვენციის მრჩველთა კომიტეტმა შეიმუშავა რეკომენდაციები წევრ სახელმწიფოებში რელიგიის თავისუფლებით თანასწორად სარგებლობასთან დაკავშირებით. რელიგიის თავისუფლებასთან მიმართებით მრჩველთა კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს, არ განმარტოს კანონმდებლობა რომელიმე კონფესიითვის გაუმართლებელი პრივილეგიის მინიჭებისა და მათთვის შეღავათების გაკეთების გზით,

---

<sup>421</sup> Thematic reports on Georgia, <<https://www.coe.int/en/web/minorities/georgia>>, [ბოლოს ნანახია: 27.02.2022].

<sup>422</sup> მრჩველთა კომიტეტის 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002, 38-39.

<sup>423</sup> იქვე, 38-39.

<sup>424</sup> იქვე, 38-39.

<sup>425</sup> Thematic Reports on Azerbaijan, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/azerbaijan>>, [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

---

რაც სხვა კონფესიებს არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს<sup>426</sup>. ჩარჩო კონვენცია არ ავალდებულებს სახელმწიფოებს რელიგიური კონფესიები დააფინანსოს<sup>427</sup>, უფრო მეტიც, თანასწორობის უზრუნველყოფის კუთხით, კომიტეტისთვის კითხვის ნიშნებს ბადებს შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო რომელიმე რელიგიურ კონფესიას უპირატესობას ანიჭებს და პრივილეგირებულად აფინანსებს ან საგადასახადო შეღავათებს ანიჭებს მას<sup>428</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეროვნულ სახელმწიფოებს რელიგიური ორგანიზაციებს დაფინანსების ნაწილში მიხედულობის ფართო ფარგლებს ანიჭებს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Aluja Fernández and Caballero Garcia v. Spain* განმარტა, რომ „ევროპულ დონეზე არ არსებობს ეკლესიების ან რელიგიური თემების დაფინანსებისა და მათთვის გადასახადების დაწესების ერთიანი სტანდარტი, რამდენადაც, ეს საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული თითოეული ქვეყნის ისტორიასა და ტრადიციებთან. შესაბამისად, ამ სფეროში სახელმწიფოები შეფასების განსაკუთრებით ფართო თავისუფლებით სარგებლობენ“<sup>429</sup>. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტით, კონვენციის მე-9 მუხლი არ შეიძლება ინტერპრეტირდეს, როგორც ღვთისმსახურების სასარგებლოდ საგადასახადო შეღავათების გარანტია<sup>430</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, გაატარონ შესაბამისი ზომები რელიგიური კონფესიების რეალური თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო განმარტავს, რომ თუ სახელმწიფო ბენეფიტებს გაცემს რელიგიურ ორგანიზაციებზე სპეციალური სტატუსის გამო, ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც ყველა რელიგიურ ჯგუფს მისცემს თანაბარ შესაძლებლობას, მოიპოვონ ეს სტატუსი. სახელმწიფომ კი შესაბამისი საფუძვლები უნდა დაადგინოს გამჭვირვალობისა და არადისკრიმინაციული პრინციპების დაცვით<sup>431</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ რამდენიმე გადაწყვეტილებაში კონფესიათა თანასწორობის პრინციპზე და დომინანტური რელიგიური

---

<sup>426</sup> Thematic reports on Russia, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/russian-federation>> [ბოლოს ნანახია: 20.02.2022]. Thematic reports on Georgia, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/georgia>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>427</sup> Thematic reports on Norway, first cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/norway>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022]; thematic reports on Denmark, first cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/denmark>>, [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>428</sup> Thematic reports on Finland, <<https://www.coe.int/en/web/minorities/finland>>, [ბოლოს ნანახია: 24.02.2022]

<sup>429</sup> აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2019 წელი, 81.

<sup>430</sup> Iglesia Bautista “El Salvador” and Ortega Moratilla v. Spain, European Commission for Human Rights, No. 17522/90, 11 January 1992.

<sup>431</sup> Religionsgemeinschaft Zeugen Jehovas v. Austria, application no. 40825/98, 31 October, 2008; par. 96-98.

---

ორგანიზაციისთვის (საპატრიარქოსთვის) გაუმართლებელი შედეგების მინიჭების საკითხზე იმსჯელა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2018 წელს ორი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო დომინანტური რელიგიური ორგანიზაციისთვის (საპატრიარქოსთვის) ქონების უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით<sup>432</sup> და საქართველოს საგადასახადო კოდექსის იმ ნორმის შესახებ, რომელიც დღგ-ს გადასახადისგან ათავისუფლებდა მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს დაკვეთით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობას, რესტავრაციასა და მოხატვას<sup>433</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო ქონების შესახებ კანონის ნორმები, რომელიც მხოლოდ საპატრიარქოსთვის უშვებდა სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესაძლებლობას, დისკრიმინაციული იყო, რადგან მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიისათვის აწესებდა შეღავათს და გამორიცხავდა იგივე შესაძლებლობას სხვა რელიგიური ორგანიზაციებისთვის<sup>434</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე, უთანასწოროდ მიიჩნია დომინანტური რელიგიური კონფესიის მიერ საგადასახადო შეღავათებით სარგებლობის უფლება, რომელიც საგადასახადო კოდექსის დისკრიმინაციულ ნორმას წარმოადგენდა<sup>435</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „საქართველოს ისტორიაში ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარების მიზანს არ წარმოადგენს მართლმადიდებლობის როგორც რელიგიური რწმენის უპირატესობის წარმოჩენა სხვა რელიგიებთან შედარებით. ეკლესიისთვის გარკვეული უფლების მინიჭება არ გულისხმობს იმავე უფლებით სხვა რელიგიური ორგანიზაციების მიერ სარგებლობის ხელშეშლას“<sup>436</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება დაკავშირებულია მის ისტორიულ ღვაწლთან და არ ემსახურება მართლმადიდებელი ქრისტიანული რელიგიისთვის პრივილეგირებული სამართლებრივი მდგომარეობის შექმნას აწმყოში. გაწეული ისტორიული ღვაწლი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც პრივილეგიის ლეგიტიმურობის წყარო. დიფერენცირება და ეკლესიისთვის სამართლებრივად

---

<sup>432</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/1/811 გადაწყვეტილება საქმეზე - სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ლუთერული ეკლესია“, სსიპ „სრულიად საქართველოს მუსლიმთა უმაღლესი სასულიერო სამმართველო“, სსიპ „დახსნილ ქრისტიანთა საღვთო ეკლესია საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს სახარების რწმენის ეკლესია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>433</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/2/671 გადაწყვეტილება საქმეზე - სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, „საქართველოს სივოცხლის სიტყვის ეკლესია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>434</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება, N1/1/811, პარ. 29.

<sup>435</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/671, 3 ივლისი 2018. პარ.40.

<sup>436</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/2/671, 3 ივლისი 2018, პარ. 34

---

უპირატესი მდგომარეობის შექმნა არ არის და არ შეიძლება იყოს კონსტიტუციის მიზანი. ამასთან, სასამართლო არ გამოიყენებს დიფერენცირების მართლზომიერებას ზოგიერთ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ხელშეწყობის ესა თუ ის ღონისძიება ობიექტურად და რაციონალურად იქნება დაკავშირებული ეკლესიის დეაქლთან და კონკრეტულ ისტორიულ გარემოებებთან.<sup>437</sup>

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის სტანდარტს წარმოადგენს ის, რომ *სკოლები დაცული იყოს რელიგიური ინდოქტრინაციისგან* და სახელმწიფოებს მოუწოდებს გადადგას ნაბიჯები, ობიექტური და ნეიტრალური სასწავლო გარემოს შექმნის მიმართულებით<sup>438</sup>. სახელმწიფოს ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მან ხელი შეუწყოს სხვადასხვა რელიგიასთან დაკავშირებით ზოგადი და კულტურული ცოდნის გავრცელებას და მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდებას სხვადასხვა რელიგიების ისტორიისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. რელიგიის სწავლებას სკოლებში უნდა ჰქონდეს კულტურული და არა რელიგიური დატვირთვა<sup>439</sup>. მოსწავლეებისთვის რელიგიური განათლების მიწოდება უნდა მოხდეს მულტიკულტურალიზმისა და ინტერკულტურალიზმის პრინციპების საფუძველზე და ეთნიკური უმცირესობების მოსაზრებების მხედველობაში მიღებით<sup>440</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი სასკოლო განათლების ფარგლებში იცავს ინდივიდებს სახელმწიფოს მხრიდან ინდოქტრინაციისგან<sup>441</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *A.R. et L.R. v. Switzerland* განმარტა, რომ კონვენციის მე-9 მუხლი ამა თუ იმ კონფესიის ან ფილოსოფიის მიმდევრებს არ აქვთ უფლება ბავშვებს აუკრძალონ სახელმწიფო სკოლებში განათლების მიღება, რომელიც შესაძლოა, მათ მოსაზრებებითან და იღებთან წინააღმდეგობაში მოდიოდეს. კონვენციის მე-9 მუხლი სახელმწიფოს უკრძალავს ბავშვების მიმართ რელიგიურ ინდოქტრინაციას<sup>442</sup>.

მოსწავლეების ინდოქტრინაციის საკითხზე მრჩეველთა კომიტეტმა საქართველოსთან მიმართებაშიც იმსჯელა. მრჩეველთა კომიტეტმა მეორე რეკომენდაციის ფარგლებში, საქართველოს ხელისუფლებას მუწოდა, საჯარო სკოლებში მოსაწვლეების

---

<sup>437</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის N1/2/671 გადაწყვეტილება საქმეზე - სსიპ „საქართველოს ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია“, „საქართველოს სიცოცხლის სიტყვის ეკლესია და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ. 35.

<sup>438</sup> Thematic reports on Norway, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/norway>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>439</sup> Thematic reports on Serbia, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/serbia>>, [ბოლოს ნანახია: 22.02.2022].

<sup>440</sup> Thematic reports on Russia, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/russian-federation>> [ბოლოს ნანახია: 20.02.2022]. Thematic reports on Georgia, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/georgia>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>441</sup> *Angeleni v. Sweden*, European Commission for Human Rights; decision No. 10491/83; 03/12/1986.

<sup>442</sup> აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2019 წელი, 53.

---

ინდოქტრინაციის პრევენცია მოხდინა და პატივი ეცა რელიგიური მრავალფეროვნებისათვის<sup>443</sup>. მრჩეველთა კომიტეტი სისტემატიურად მოუწოდებდა საქართველოს ხელისუფლებას, საჯარო განათლების სისტემის ფარგლებში, გაეწია მაქსიმალური ძალისხმევა სტუდენტების ინდოქტრინაციასთან ბრძოლის წინააღმდეგ, აგრეთვე, რელიგიური დაძაბულობისა და რელიგიური კუთვნილების საფუძველზე შეუწყნარებლობის ყველა ფორმის წინააღმდეგ, რაც განსაკუთრებით აისახება ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებზე.<sup>444</sup>

ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენცია მშობლებს ანიჭებს უფლებას, აირჩიონ კონკრეტულ რელიგიაზე არსებული კლასები საკუთარი შვილებისთვის<sup>445</sup>. მშობელთა ეს უფლება გამომდინარეობს საერთოკონვენციური სტანდარტიდან, რაც მშობლებს აძლევს უფლებას, უზრუნველყონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება<sup>446</sup>.

მრჩეველთა კომიტეტმა სხვადასხვა ქვეყნების მიმართ შეიმუშავა რეკომენდაციები რელიგიური ორგანიზაციებისა და საკულტო ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით<sup>447</sup>. ჩარჩო კონვენციის სტანდარტს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფომ რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებამდე, მოლაპარაკებები გამართოს ეთნიკური უმცირესობების თემის წევრებთან. ეთნიკურ უმცირესობებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ სალოცავი ადგილებით და დაირეგისტრირონ საკულტო ქონება<sup>448</sup>.

რელიგიური ორგანიზაციის მიერ სამართლებრივ-ორგანიზაციული სტატუსის მიღება წარმოიშობა მისი უფლებიდან თავისუფლად განახორციელოს რელიგიური აღმსარებლობა<sup>449</sup>. რელიგიური ჯგუფების ორგანიზაციულ-სამართლებრივი სტატუსი, მათ მიერ რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რაც სახელმწიფოს მიერ ცალკეული საქმიანობის განხორციელებისთვის უფლებამოსილების მიცემაში ვლინდება<sup>450</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, რელიგიური თემისთვის იურიდიული პირის

---

<sup>443</sup> Thematic reports on Georgia, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/georgia>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>444</sup> ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტს მიღებული შესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002.

<sup>445</sup> Thematic reports on Serbia, second cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/serbia>>. [ბოლოს ნანახია: 22.02.2022].

<sup>446</sup> 1950 წლის წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი (განათლების უფლება).

<sup>447</sup> Thematic reports on Georgia, fourth cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/georgia>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>448</sup> Thematic reports on Macedonia, fourth cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/north-macedonia>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>449</sup> Opinion on the draft law on amendments and supplementation of law no. 02/L-31 on freedom of religion of Kosovo, CDL-AD (2014)012, Venice Commission, par. 46.

<sup>450</sup> Cole Durham, C. W., Jr., Peterson, N. J., Elizabeth A. Sewell, E. A., Laws on Religion and the State in Post-communist Europe; edited by Durham, C. W., Ferrari, S., XVI.

---

სამართლებრივი სტატუსის აღიარებაზე ან მინიჭებაზე უარის თქმა, ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებული უფლებების, როგორც საკუთრივ თემის, ასევე, მისი წევრების მიერ, გარეგანი და კოლექტიური განზომილებით სარგებლობაში, კონვენციის მე-9 მუხლში ჩარევას წარმოადგენს<sup>451</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Kimlya and others v. Russia* განმარტა, რომ „სახელმწიფოს უარი, რელიგიური ან სხვა სახის გაერთიანებისთვის იურიდიული პირის სამართლებრივი სტატუსის მინიჭებაზე, გაერთიანების თავისუფლების უფლებით სარგებლობაში ჩარევას უტოლდება. ამ მხრივ, სახელმწიფოს უარი ჯგუფის რეგისტრაციაზე პირდაპირ გავლენას ახდენს, როგორც საკუთრივ ამ ჯგუფზე, ასევე, მის ხელმძღვანელებზე, დამფუძნებლებსა და ცალკეულ წევრებზე.“<sup>452</sup> კონვენციის მე-9 მუხლის ფარგლებში, იგივე მსჯელობა განავითარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Genov v. Bulgaria*<sup>453</sup>.

ვენეციის კომისია განმარტავს, რომ რელიგიური ჯგუფის მიერ სამართლებრივი სტატუსის მოპოვების სურვილის შემთხვევაში, სახელმწიფომ არ უნდა შეუქმნას რელიგიურ ჯგუფს წინაღობები სამართლებრივი სტატუსის დროულ მიღებასთან დაკავშირებით<sup>454</sup>. რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციის სამართლებრივი პროცედურა უნდა იყოს მოქნილი, ტრანსფარანტული, სამართლიანი და არადისკრიმინაციული და იგი არ უნდა იყოს იმაზე რთული, ვიდრე სხვა ორგანიზაციებისთვის<sup>455</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რეგისტრაციის მოსაცდელ პერიოდთან დაკავშირებით გამოიჩინა ახალი რელიგიური ორგანიზაციის დარეგისტრირება და იმ რელიგიური ჯგუფის რეგისტრაცია, რომელსაც სხვა ქვეყანაში ფუნქციონირების ხანგრძლივი გამოცდილება აქვს. სასამართლოს შეფასებით, გამოცდილი რელიგიური ჯგუფები რეგისტრაციისას არ საჭიროებენ ხანგრძლივ მოსაცდელ ვადას<sup>456</sup>. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Kimlya and others v. Russia*, ისიც განმარტა, რომ ეროვნული კანონმდებლობა არ უნდა ადგენდეს რელიგიური ორგანიზაციის რეგისტრაციისთვის ქვეყანაში ხანგრძლივად ფუნქციონირების მოთხოვნას<sup>457</sup>. სასამართლოს შეფასებით,

---

<sup>451</sup> აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2019 წელი, 71.

<sup>452</sup> იქვე, 71.

<sup>453</sup> გენოვ ბულგარეთის წინააღმდეგ (*Genov v. Bulgaria*), 2017 წლის 23 ივნისი.

<sup>454</sup> CDL-AD(2011)028, Joint opinion on the draft law on freedoms of conscience and religion and on the laws making amendments and supplements to the criminal code, the administrative offences code and the law on the relations between the Republic of Armenia and the Holy Armenian Apostolic Church of the Republic of Armenia by the Venice Commission and the OSCE/ODIHR, par.64.

<sup>455</sup> Joint Guidelines on the legal personality of religious or belief communities by the Venice Commission and the OSCE/ODIHR, Opinion No. 673/2012; CDL-AD(2014)023, par.17-24.

<sup>456</sup> Compilation of Venice Commission Opinions and Reports Concerning freedom of religion and belief. (Revised July, 2014), CDL-PI(2014)005; 36.

<sup>457</sup> კიმილა და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Kimlya and others v. Russia*), 2009 წლის 1 ოქტომბერი, პარ.100-101.

---

ასეთი მოთხოვნა უსამართლოდ ზღუდავს ახალ რელიგიურ ორგანიზაციებს და დომინანტ ჯგუფებს უპირატეს მდგომარეობაში აყენებს<sup>458</sup>.

რელიგიის თავისუფლების გარეგნული გამოვლენა (აღმსარებლობა) არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, თუმცა, მისი შეზღუდვა უნდა განხორციელდეს გამჭვირვალე, არადისკრიმინაციული კანონისმიერი საფუძვლით. შესაბამისად, სახელმწიფომ შეიძლება უარი უთხრას რელიგიურ ჯგუფს რეგისტრაციაზე საჯარო უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე. მაგალითად, რელიგიური ორგანიზაციის საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს იმ შემთხვევაში, თუ იგი საფრთხეს უქმნის მოსახლეობას და საჯარო უსაფრთხოების ინტერესს. თუმცა, ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სახელმწიფოს უფლება არ აქვს შევიდეს იმ შინაარსობრივ დისკუსიაში, კონკრეტული რელიგიური ორგანიზაცია გულწრფელი რელიგიური გრძნობების მატარებელია თუ არა<sup>459</sup>. სახელმწიფოს მიერ რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციისთვის მოთხოვნები არ უნდა გადაიქცეს რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის გაუმართლებელ წინაპირობად<sup>460</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Bessarabia vs Moldova* განმარტა, რომ რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციისას, სახელმწიფოს მიერ დაუშვებელია ისეთი მოთხოვნების დაწესება, რომელიც კონკრეტული რელიგიური ორგანიზაციის რწმენის თავისუფლების შინაარსში შესვლისა და რწმენის შეფასების შესაძლებლობას ქმნის<sup>461</sup>.

მრჩევლთა კომიტეტი მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას „გადადგას შემდეგი ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს, რომ ეროვნული უმცირესობების და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს ჰქონდეთ სათანადო წვდომა სალოცავ ადგილებზე. ახალი სალოცავი ადგილების მშენებლობის ან გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული გზით, დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლებთან მჭიდრო კონსულტაციით“<sup>462</sup>.

რელიგიის თავისუფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, მრჩევლთა კომიტეტმა არაერთი რეკომენდაცია შეიმუშავა საქართველოს მიმართ. კომიტეტმა პირველ ციკლის რეკომენდაციაში საქართველოს მოუწოდა, რომ ხელი შეეწყოს რელიგიის აღსრულების უფლების რეალიზაციისთვის, რათა უმცირესობებს შესძლებოდათ აღმსრებლობის თავისუფლებით სარგებლობა სალოცავ ადგილებში<sup>463</sup>.

---

<sup>458</sup> იქვე, პარ.100-101.

<sup>459</sup> Opinion no. 535/ 2009 on the legal status of Religious Communities in Turkey and the right of the Orthodox Patriarchate of Istanbul to use the adjective “Ecumenical”, CDL-AD(2010)005, par.63-64.

<sup>460</sup> იქვე, პარ. 63-64.

<sup>461</sup> ზესარაბია მოლდოვას წინააღმდეგ (*Bessarabia vs Moldova*), 2001 წლის 13 დეკემბერი, პარ. 110-129.

<sup>462</sup> ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩევლთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტს მიღებული შესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002, 35.

<sup>463</sup> Thematic reports on Georgia, first cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/georgia>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].



---

კომიტეტი ძირითად პრობლემად საქართველოში რელიგიური და მსოფლმხედველობრივი აღმსარებლობის თავისუფლებით სარგებლობისდმი ხელშეშლას მიიჩნევდა. კომიტეტმა საქართველოში პრობლემურად მიიჩნია საქართველოში მოქმედი კონფესიებისადმი სახელმწიფოს უთანასწორო მოპყრობა და მოუწოდა საქართველოს, პატივი ეცა საქართველოში მოქმედი სხვადასხვა რელიგიებისა და რელიგიური დენომინაციებისთვის<sup>464</sup>. საქართველოს შეფასების მესამე ციკლის ფარგლებში, მრჩველთა კომიტეტმა საქართველო გააკრიტიკა გარკვეული რელიგიური თემებისათვის უპირატესობის მინიჭებასთან დაკავშირებით<sup>465</sup>. მრჩველთა კომიტეტმა საქართველოს მოუწოდა, არა მხოლოდ შეასრულოს ნეიტრალიტეტისა და მიუკერძოებლობის მოვალეობა, არამედ, ასევე, უზრუნველყოს, რომ სხვა რელიგიურ ჯგუფებსაც ჰქონდეთ სამართლიანი შესაძლებლობა, გამოიყენონ ეს სტატუსი და დადგინილი კრიტერიუმები მოქმედებდეს არადისკრიმინაციული გზით<sup>466</sup>. იგივე მსჯელობა განავითარა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სხვადასხვა საქმეებზე, სადაც სხვადასხვა რელიგიური კონფესიების მიმართ არადისკრიმინაციულ მოპყრობაზე მიუთითა<sup>467</sup>.

მრჩველთა კომიტეტმა საქართველოს მიმართ რეკომენდაცია შეიმუშავა რელიგიური საკუთრების რესტიტუციის მიმართულებით და მოუწოდა საქართველოს, რელიგიური საკუთრების რესტიტუციის კუთხით გაწონასწორებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისკენ. მრჩველთა კომიტეტმა საქართველოს მოუწოდა საქართველოს, სკოლებში ხელი შეეწყოს ტოლერანტობისა და რელიგიური მრავალფეროვნების განვითარებისთვის<sup>468</sup>. მრჩველთა კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას „უზრუნველყოს რელიგიური თემებისთვის ქონების რესტიტუციის არადისკრიმინაციულ რეჟიმში განხორციელება და დარწმუნდეს, რომ ეროვნული უმცირესობების და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები არ არიან არათანაბარ პირობებში.“<sup>469</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა არაერთხელ შეაფასა საქართველოში რესტიტუციის კანონმდებლობის ხარვეზები და განმარტა, რომ საკულტო ნაგებობების და მასთან დაკავშირებული ქონების შესახებ

---

<sup>464</sup> Thematic reports on Georgia, first cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/georgia>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>465</sup> ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩველთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002.

<sup>466</sup> ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩველთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002.

<sup>467</sup> მოლა სალი საბერძნეთის წინააღმდეგ (Molla Sali v. Greece), 2018 წლის 19 დეკემბერი, პარ.155; იცეტის დოგანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Izzettin Dogan And Others v Turkey), 2016 წლის 26 აპრილი, პარ.164; უკანასკნელი დღეების წმინდანთა იესო ქრისტეს ეკლესია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (The Church of Jesus Christ of Latter-Day Saints v. the United Kingdom), 2014 წლის 4 მარტი, პარ 34.

<sup>468</sup> Thematic reports on Georgia, first cycle, <<https://www.coe.int/en/web/minorities/georgia>>. [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>469</sup> ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩველთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002, 35.

---

პრობლემების გადაჭრა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების ნაწილია<sup>470</sup>. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განმარტა, რომ სახელმწიფომ საკულტო ნაგებობების შესახებ პრობლემები გამჭვირვალე და არადისკრიმინაციული კანონმდებლობით უნდა გადაწყვიტოს<sup>471</sup>. საქართველოსთან დაკავშირებით გამოცემულ 2014 წლის ანგარიშში, ადამიანს უფლებათა კომიტეტმა მოუწოდა საქართველოს, ფინანსური კომპენსაციის საკითხი მაშინ განიხილოს, თუ საკულტო ნაგებობების დაბრუნება ფიზიკურად შეუძლებელია<sup>472</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2016 წელს განიხილა საქმე - *Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania*<sup>473</sup>, საიდანაც გამოიკვეთა რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რესტიტუციის საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შეზღუდული გარანტიების გამო ვერ უზრუნველყოფს რესტიტუციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის სამართლიანობას, რადგან იგი რესტიტუციაზე მოთხოვნას საკუთრების უფლების ნაწილად არ მიიჩნევს<sup>474</sup>.

#### 5.8. უმცირესობების სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები

სოციალ-ეკონომიკური უფლებები „ძვირ უფლებებად“ არის მიჩნეული, რომელთა შესრულებაც სახელმწიფო ბიუჯეტს ებმის და სახელმწიფოს მიერ თანხების რაციონალურ განკარგვაზე არის დამოკიდებული. მხოლოდ პოლიტიკური ნება არ არის საკმარისი სოციალ-ეკონომიკური უფლებების ეფექტიანი რეალიზაციისთვის. ამ შემთხვევაში, გასათვალისწინებელია სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და ბიუჯეტის შესაძლებლობები<sup>475</sup>. სოციალ-ეკონომიკური უფლებების კუთხით სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება „უზრუნველყოს ღირსეული ცხოვრების პირობები, იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ეს სჭირდებათ“<sup>476</sup>. ადამიანის უფლებათა სამართალში მიიჩნევა, რომ სოციალ-ეკონომიკური უფლებები რთულად აღსრულებადი უფლებებია, რომლის ფარგლების დადგენაც საკმაოდ რთულია. სოციალ-ეკონომიკური უფლებები დიდწილად დეკლარაციული ხასიათისაა და სახელმწიფოს ევალება მხოლოდ მისი შესრულებისას პროგრესის ჩვენება.

---

<sup>470</sup> UN Human Rights Committee, Concluding observations on the fourth periodic report of Georgia, CCPR /C/GEO/ CO/4, 19 August 2014, par. 18-19.

<sup>471</sup> Ibid 18-19.

<sup>472</sup> Ibid, 18-19.

<sup>473</sup> ლუპენის ბერძნული კათოლიკე მრევლი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (*Lupeni Greek Catholic Parish and Others v. Romania*), 2016 წლის 29 ნოემბერი.

<sup>474</sup> რესტიტუციის დისკრიმინაციული პოლიტიკა და ახალი პერსპექტივების ძიება, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სოციალური სამართლიანობის ცენტრის კვლევა, 2020, 99-100.

<sup>475</sup> *Dennis M. J. and Stewart D. P.*, Justiciability of Economic, Social, and Cultural Rights: Should There Be an International Complaints Mechanism to Adjudicate the Rights to Food, Water, Housing, and Health?, "The American Journal of International Law", 98(3), 2004, 464.

<sup>476</sup> კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, თბ., 2019, 43-44.

---

საერთაშორისო პაქტი სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ ერთადერთ გამონაკლისს უშვებს დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, როდესაც სახელმწიფოს ეკისრება არა მხოლოდ პროგრესის ჩვენება, არამედ დისკრიმინაციის აკრძალვის მყისიერი ვალდებულება<sup>477</sup>. დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო მოთხოვნა სოციალურ უფლებებთან დაკავშირებითაც ისე მოქმედებს, როგორც სხვა დანარჩენ უფლებებთან მიმართებით.

სოციალური უფლებების დარღვევისას, მისი დაცვის ეფექტიანი მექანიზმის არარსებობაზე მიუთითებს ისიც, რომ გაეროს „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის“ დამატებითი ოქმი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა სახელმწიფოს წინააღმდეგ ინდივიდუალური განაცხადების წარდგენას შესაბამის კომიტეტში, რატიფიცირებულ იქნა მხოლოდ 24 წევრი სახელმწიფოს მიერ<sup>478</sup>. სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო პაქტის დამატებითი ოქმის რატიფიცირების შემთხვევაში, საერთაშორისო დონეზე იარსებებდა დარღვეული უფლებების აღდგენის ეფექტიანი მექანიზმი, რაც დაზარალებულების სოციალ-ეკონომიკური უფლებების დაცვას რეალურს და ხელშესახებს გახდიდა.

საერთაშორისო პაქტის<sup>479</sup> აღსრულების მექანიზმის სირთულის მიუხედავად, იგი მნიშვნელოვან ანტიდისკრიმინაციულ გარანტიებს აწესებს და სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს აღგენს. პაქტი ავალდებულებს სახელმწიფოებს, გაატარონ ზომები სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით, მათ შორის, ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევაშიც. გაეროს „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის“ მე-15 მუხლი გარანტირებს ეთნიკური უმცირესობების უფლებას, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მათი კულტურის შენარჩუნების, ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით<sup>480</sup>. გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვას უმცირესობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეფექტიანი მნაწილეობის წინაპირობად მიიჩნევს. კომიტეტის განმარტებით, ეთნიკურ უმცირესობებს აქვთ კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროში განვითარების უფლება, რომელიც ინკლუზიას, მონაწილეობას და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს ეფუძნება<sup>481</sup>. საერთაშორისო პაქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს, აღიარონ, პატივი სცენ და დაიცვან უმცირესობების კულტურა, როგორც უმცირესობების იდენტობის მთავარი მახასიათებელი<sup>482</sup>.

---

<sup>477</sup> CESCR General Comment No. 3: The Nature of States Parties' Obligations, par. 5.

<sup>478</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 62.

<sup>479</sup> გაეროს 1966 წლის საერთაშორისო პაქტი „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“.

<sup>480</sup> Committee on Economic, Social and Cultural Rights, forty-third session, 2–20 November 2009, General comment No. 21, 8.

<sup>481</sup> იქვე, 8.

<sup>482</sup> იქვე, 8.

---

სოციალურ უფლებებს ასევე აწესრიგებს გაეროს კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ფართო დეფინიციას ახდენს და სოციალური უფლებებით სარგებლობისას თანასწორობის პრინციპს გარანტირებს. სოციალური უფლებების დაცვის ნაწილში რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია სახელმწიფოებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას, დაიცვან უმცირესობების ჯგუფები და განავითარონ მათი იდენტობა სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში კონკრეტული ზომების გატარებით<sup>483</sup>.

რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა სოციალური უფლებებით სარგებლობის ქრილში რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით განიხილა პრეცედენტული საქმე - *A. Yilmaz Dogan vs The Netherlands*<sup>484</sup>. მომჩივნის განმარტებით, თურქეთის ხელისუფლებამ არ გაუგრძელა ხელშეკრულება იმ საფუძვლით, რომ სხვა მიგრანტ ქალებთან ერთად იგი ეყრდნობოდა კანონმდებლობას და ავადმყოფობის/ორსულობიდან გამომდინარე არ დადიოდა სამსახურში. კომიტეტმა გაიზიარა მომჩივნის პოზიცია და დადგინა რასობრივი დისკრიმინაცია. კომიტეტმა განმარტა, რომ სახეზე იყო ჰოლანდიის ხელისუფლების მიერ ეთნიკური თურქის მიმართ ეთნიკური საფუძვლით შრომის უფლების ხელყოფა, რადგან მომჩივნის უფლება, ემუშავა არ იქნა დაცული<sup>485</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სოციალურ უფლებებს სხვადასხვა უფლებების ქრილში განმარტავს. ევროპული სასამართლო სოციალურ უფლებებს ძირითადად, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლება), კონვენციის მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების უფლება) და კონვენციის მე-14 მუხლის (თანასწორობის უფლება) ფარგლებში იხილავს<sup>486</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე - *Yordanova and other vs Bulgaria* საცხოვრისის უფლება პირადი ცხოვრების უფლების ქრილში განიხილა<sup>487</sup>. ამ გადაწყვეტილების პრეცედენტულობა იმაში მდგომარეობს, რომ ევროპულმა სასამართლომ კარგად წამოაჩინა ადეკვატური საცხოვრისის სოციალური უფლების გავლენა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების სოციალურ ასპექტზე<sup>488</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *Yordanova*-ს საქმეზე დაადგინა, რომ ბომა მოსახლეობის იძულებითი გასახლება არღვევს კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებას. მითითებულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა

---

<sup>483</sup> გაეროს 1965 წლის კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენცია“.

<sup>484</sup> CERD, *A. Yilmaz Dogan vs The Netherlands*, Communication No 1/1984.

<sup>485</sup> CERD, *A. Yilmaz Dogan vs The Netherlands*, Communication No 1/1984, par. 9.3.

<sup>486</sup> **Social security as a human right - The protection afforded by the European Convention on Human Rights (Human Rights Files No. 23), 2007.**

<sup>487</sup> იორდანოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (*Yordanova and others v. Bulgaria*), 2012 წლის 24 აპრილი.

<sup>488</sup> *Remiche, A., Yordanova and other vs Bulgaria: The Influence of the Social Right to Adequate Housing on the Interpretation of the Civil Right to Respect for One's Home, Human Rights Law Review, 2012, vol. 12 (4), 787-800.*

---

სასამართლომ არ დადგინა დისკრიმინაციას მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო<sup>489</sup>.

2003 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - *Koua Poirrez v France*, რომელშიც საფრანგეთის ხელისუფლების მიერ შშმ პირ მომჩივანს უარი ეთქვა სოციალური შემწეობის მიღებაზე იმ საფუძვლით, რომ განმცხადებელი არ იყო ფრანგი ეროვნების. მომჩივანი დიდი ხანი ცხოვრობდა საფრანგეთში და შვილად აყვანილი ჰყავდა საფრანგეთის მოქალაქე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ *Koua*-ს საქმეზე ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაცია (კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა) დაადგინა<sup>490</sup>. სასამართლოს შეფასებით, მომჩივნისათვის სოციალური შემწეობის მიცემაზე უარი განპირობებული იყო მხოლოდ იმით, რომ იგი არ იყო ფრანგი ეროვნების<sup>491</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - *Gaygusuz v. Austria*<sup>492</sup>, რომელიც მომჩივნისთვის ავსტრიის ხელისუფლების მიერ უმუშევრობის პენსიის მიღებაზე უარის თქმას ეხებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ წარმომოხობით განმცხადებელი არაავსტრიელი იყო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მითითებულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დაადგინა. სასამართლომ განმარტა, რომ მომჩივანს სახელმწიფომ უარი უთხრა უმუშევრობის შემწეობის მიღებაზე ეთნიკური ნიშნით, იმიტომ, რომ პირი არაავსტრიელი იყო<sup>493</sup>. მოგვიანებით, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე, ავსტრიის ხელისუფლებამ გააუქმა ეთნიკური ნიშანი უმუშევრობის შემწეობის მიღებასთან დაკავშირებით მოქმედ კანონმდებლობაში<sup>494</sup>.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განიხილა პრეცედენტული საქმე - *Naidenova et al. v Bulgaria*. *Naidenova*-ს საქმეზე ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა სტანდარტი, რომ პირის სახლიდან გამოძევება ალტერნატიული ფართით უზრუნველყოფის გარეშე წინააღმდეგობაში მოდიოდა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მოთხოვნებთან. კერძოდ, სახელმწიფოს ევალება უზრუნველყოს, რომ გამოსახლება განხორციელდეს საერთაშორისო პაქტის მოთხოვნების შესაბამისად, მოსახლეობასთან კომუნიკაციისა და მისი ჩართულობის გზით<sup>495</sup>.

---

<sup>489</sup> იორდანოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (*Yordanova and others v. Bulgaria*), 2012 წლის 24 აპრილი.

<sup>490</sup> კოია პოირეს საფრანგეთის წინააღმდეგ (*Koua Poirrez v France*), 2003 წლის 30 დეკემბერი.

<sup>491</sup> კოია პოირეს საფრანგეთის წინააღმდეგ (*Koua Poirrez v France*), 2003 წლის 30 დეკემბერი, პარ.46-50.

<sup>492</sup> გეიგოსუზი ავსტრიის წინააღმდეგ (*Gaygusuz v. Austria*), 1996 წლის 23 მაისი.

<sup>493</sup> იქვე, პარ. 42-52.

<sup>494</sup> Resolution DH (98) 372 adopted by the Committee of Ministers on 12 November 1998.

<sup>495</sup> Human Rights Committee, *Naidenova et al. v Bulgaria*, 30 October 2012, [CCPR/C/106/D/2073/2011](#).

---

ადამიანის უფლებათა კომიტეტმა განიხილა საქმე - *S. I. D. et al. vs Bulgaria*<sup>496</sup>, რომელიც ასევე ეთნიკურად ბომა მოსახლეობისთვის საცხოვრებელი სახლებიდან იძულებით გაძევებას ეხებოდა ყოველგვარი ალტერნატიული ფართით და შესაბამისი კომპენსაციით დაკმაყოფილების გარეშე. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ მათ მიმართ ბულგარეთის სახელმწიფომ დაარღვია საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლება ეთნიკური დისკრიმინაციის საფუძველზე. კომიტეტმა დასაშვებად არ მიიჩნია საქმე მისი დაუსაბუთებლობის გამო.

საინტერესო განმარტებები მიიღო ევროპის საბჭოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია (ECRI) რასიზმის დეფინიციისას ეთნიკურ ნიშანსაც გამოყოფს და მასში სხვადასხვა იდენტობების მიმართ ზიზღში და შეუწყნარებლობაში ვლინდება.<sup>497</sup> ECRI შემუშავებული აქვს რეკომენდაციები შრომით სფეროში რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ECRI #14 რეკომენდაცია სახელმწიფოებს მოუწოდებს ებრძოლონ რასობრივ დისკრიმინაციას დასაქმების სფეროში<sup>498</sup>. ECRI #14 რეკომენდაციის თანახმად, დამსაქმებლები ვალდებული არიან გაატარონ ზომები დასაქმების ადგილზე დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად და თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით. დამსაქმებლებს ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, გაატარონ ღონისძიებები დასაქმების ადგილზე რასობრივი დისკრიმინაციის თავიდან აცილების მიმართულებით<sup>499</sup>. ECRI #14 რეკომენდაციაში დამსაქმებლებს მოუწოდებს ოფიციალური ენის ცოდნის ბარიერი ამოიღონ საკვალიფიკაციო მოთხოვნების ნუსხიდან, თუ ეს სამუშაოს სპეციფიკით არ არის აუცილებელი<sup>500</sup>. ECRI აუცილებლად მიიჩნევს დასაქმების დოკუმენტაციის უმცირესობისთვის გასაგებ ენაზე თარგმნას, როდესაც უმცირესობები არ ფლობენ სახელმწიფო ენას<sup>501</sup>. ECRI წევრს სახელმწიფოებს მოუწოდებს, მიიღონ რელევანტური ზომები დამსაქმებლების, კადრების პერსონალისა და მენეჯმენტისთვის შესაბამისი წვრთნების განსახორციელებლად, იმისთვის, რომ მათ შეისწავლონ ეთნიკურად, რელიგიურად და ლინგვისტურად განსახვავებულ პირებთან და დასაქმებულებთან ურთიერთობის უნარები<sup>502</sup>.

---

<sup>496</sup> Human Rights Committee, *S. I. D. et al. vs Bulgaria*, 21 July 2014, CCPR/C/111/D/1926/2010.

<sup>497</sup> ECRI General Policy Recommendation No 7 on National Legislation to combat Racism and Racial Discrimination, 2017.

<sup>498</sup> ECRI General Policy Recommendation No 14 on combating Racism and Racial Discrimination in Employment, adopted on 22 June, 2012.

<sup>499</sup> *Ibid.*, 7.

<sup>500</sup> *Ibid.* 9.

<sup>501</sup> *Ibid.*, 17.

<sup>502</sup> *Ibid.*, 24.

---

## VI. რასიალიზაცია და მისი ფორმები

კვლევაში განალიზებულია რასიალიზაცია და მისი ფორმები, „რასიალიზაციისა“ და „რასობრივი გამორჩევის“ კონცეფტები, სეგრეგაცია, სიძულვილის ენასთან და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებული საკითხები და მათი მახასიათებლები.

### 6.1. „რასიალიზაციის“ და „რასობრივი გამორჩევის“ კონცეფტები

2021 წლის 8 დეკემბერს, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ (ECRI) შეიმუშავა კონცეპტის - „რასიალიზაციის“ განმარტება<sup>503</sup>. „რასიალიზაციის“ განმარტება საშუალებას იძლევა ღრმად იყოს დანახული სოციალური და იდეოლოგიური პროცესები, რომელიც იწვევს ადამიანთა მრავალფეროვანი იდენტობების რასობრივი თვალსაზრისით სტერეოტიპებზე დაფუძნებულ და დამაკნინებელ აღქმას, რაც ძალაუფლების გამოყენებას წარმოადგენს<sup>504</sup>. ადამიანთა პოპულაციას (პენოტიპს ან კულტურული მახასიათებლებით გამოკვეთილ ადამიანებს) რასიალიზაციის პროცესის საშუალებით მიეწერებათ გარკვეული მახასიათებლები, როგორც ამ ჯგუფის ყველა წევრის ბუნებრივი, უკვე წინასწარგანსაზღვრული თვისება<sup>505</sup>. ადამიანის წარმოშობისა და მდგომარეობის მიუხედავად, როგორც კი ეს ადამიანი ჯგუფის წევრად წარმოდგება, იზიარებს ჯგუფის ყველა ძირითად მახასიათებელს, როგორცაა: კანის ფერი, ეთნიკური თუ ეროვნული წარმომავლობა ან რელიგიური კუთვნილება<sup>506</sup>. ეს პროცესი ერთმანეთისგან განსახვავებულ ადამიანებს ჰომოგენულ ჯგუფად აქცევს და მისი წევრები „სხვებად“ მიიჩნევიან<sup>507</sup>. ECRI-ის შეფასებით „რასიალიზაციის“ კონცეფტის სწორად გამოყენება და სათანადო ახსნა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას იმ გარემოებებსა და ფაქტორების უკეთესად აღსაქმელად და გამოსავლენად, რომელიც ხელს უწყობს რასისტული აზროვნების დისკურსისა და პრაქტიკის გავრცელებას ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ. რასიალიზაციამ ხელი შეუწყო ცრურწმენებისა და წინასწარგანწყობების გავრცელებას, ღრმა უთანასწორობას გარიყულობისა და მტრობის ლეგიტიმაციას<sup>508</sup>.

რასიალიზაცია არის პროცესი, როდესაც წინასწარგანწყობებისა და ცრურწმენების საფუძველზე გარკვეული ნიშან-თვისებები კონკრეტულ ჯგუფს მიეწერება, რომლებიც

---

<sup>503</sup> ECRI's opinion on the concept of "racialisation" (adopted at ECRI's 87th plenary meeting on 8 December 2021), par.3.

<sup>504</sup> იქვე, პარ.3.

<sup>505</sup> იქვე, პარ.3.

<sup>506</sup> იქვე, პარ.3.

<sup>507</sup> იქვე, პარ.3.

<sup>508</sup> იქვე, პარ.5.

მტრობის, ძალადობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლები ხდებიან<sup>509</sup>. რასიალიზაციის პროცესი ქმნის გამოგონილ სოციალურ იერარქიებს და ჯგუფის უფრო მეტ გარიყვას და მარგინალიზებას იწვევს<sup>510</sup>. „რასიალიზაციის“ ტერმინის გამოყენება რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციით მოტივირებული პროცესების უკეთ აღქმის შესაძლებლობას იძლევა<sup>511</sup>.

კონცეფტი „რასობრივი გამორჩევა“ (racial profiling) არის სამართალდამცავი ორგანოების დისკრიმინაციული მოქმედებების პრაქტიკა, როდესაც პირის მიმართ საპოლიციო ღონისძიებები მოტივირებულია რასობრივი, ეთნიკური წარმოშობის, რელიგიის ან სახელმწიფოებრივი კუთვნილების საფუძველით.<sup>512</sup> „რასობრივი გამორჩევის“ დროს პოლიციის ქმედებების მამოძრავებელი საფუძველი არა პირის საფრთხის შემცველი ქმედებებია, არამედ, პირის ეთნიკურობა, კონფესიური კუთვნილება და გარეგნობა<sup>513</sup>. რასიზმის წინააღმდეგ ევროპული ქსელის განმარტებით, „რასობრივი გამორჩევა“ არის „პოლიციელის და გამომძიებლების ქმედება, რომელიც ეყრდნობა ჩაცმულობის, გარეგნობის და რწმენის გამო გაჩენილ უსაფუძვლო ეჭვებს“<sup>514</sup>.

ევროპაში „ეთნიკურ გამორჩევას“ მოიხსენიებენ ტერმინით (ethnic profiling). „ეთნიკური გამორჩევა“ (ethnic profiling) სახეზეა, როდესაც პოლიციელები საფუძველიანად არ სწავლობენ საკითხს და პირის კონკრეტული ქცევის შეფასების მაგივრად, პირის ზოგად მახასიათებლებს უსვამენ ხაზს<sup>515</sup>. „ეთნიკური გამორჩევის“ დროს ადამიანების კატეგორიზაცია ხდება მათი მახასიათებლების მიხედვით, რომელიც შეიძლება იყოს შეუცვლელი (გენდერი, ასაკი, ეთნიკურობა) ან შეცვლადი (ჩვევები).<sup>516</sup>

## 6.2. სერეგაცია

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) სერეგაციად მიიჩნევს ისეთ ქმედებას, რომლის შედეგადაც პირი აცალკევებს სხვა პირებს რომელიმე დაცული ნიშნით, ობიექტური და რაციონალური გამართლების გარეშე. სერეგაციად არ მიიჩნევა პირის ნებაყოფლობითი არჩევანი, თავად განცალკევდეს სხვა პირებისგან

<sup>509</sup> ECRI-ს მოსაზრება რასიალიზაციასთან დაკავშირებით, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2021, < <https://www.tdi.ge/ge/news/1009-ecri-s-mosazreba-rasializaciastan-dakavshirebit>>. [ბოლოს ნანახია: 15.12.2021].

<sup>510</sup> ECRI-ს მოსაზრება რასიალიზაციასთან დაკავშირებით, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2021, < <https://www.tdi.ge/ge/news/1009-ecri-s-mosazreba-rasializaciastan-dakavshirebit>>. [ბოლოს ნანახია: 15.12.2021].

<sup>511</sup> იქვე, 1.

<sup>512</sup> ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირი (ACLU) განმარტება, 2017; < <https://www.aclu.org/other/racial-profiling-definition>> [ბოლოს ნანახია: 20.12.2021].

<sup>513</sup> Ethnic Profiling, Open Justice Initiative (ENAR), 2009, 2. <<https://www.justiceinitiative.org/uploads/a8c80f4b-b69d-4bd7-9e6f-380353eb4ef3/Factsheet-ethnic-profiling-20091001-ENG.pdf>> [ბოლოს ნანახია: 15.12.2021].

<sup>514</sup> რასობრივი გამორჩევა საქართველოში, საპოლიციო სისტემაში ეთნიკური უმცირესობებისა და მიგრანტების მიმართ არსებული პოლიტიკა და პრაქტიკა, TDI, თბილისი, 2021, 13.

<sup>515</sup> Towards More Effective Policing Understanding and Preventing Discriminatory Ethnic Profiling: A Guide, FRA, Belgium, 2010, 8.

<sup>516</sup> იქვე, 8.



---

რომელიმე დაცული ნიშნით<sup>517</sup>. ECRI სეგრეგაციას დისკრიმინაციის ერთ-ერთ გამოვლინებად მიიჩნევს<sup>518</sup>.

ევროკავშირის დირექტივა „რასობრივი თანასწორობის შესახებ“ სეგრეგაციას, როგორც დისკრიმინაციის დამოუკიდებელ ფორმას არ განსაზღვრავს<sup>519</sup>. განსხვავებული სამართლებრივი რეგლამენტაციას არსებობს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სეგრეგაციის დისკრიმინაციის დამოუკიდებელ ფორმად მიჩნევასთან დაკავშირებით.

უნგრეთის კანონმდებლობა სეგრეგაციას დისკრიმინაციის სპეციალურ გამოვლინებად მიიჩნევს, რომელსაც რასობრივი საფუძვლის შემთხვევაში არ შეიძლება გამართლება მოექდებნოს. გამონაკლისია შემთხვევა, როდესაც იგი მშობელთა თავისუფალ ნებას ეფუძნება, ეთნიკური ან ეროვნული უმცირესობის განათლება მისცენ საკუთარ შვილებს<sup>520</sup>. ბულგარეთის კანონმდებლობა „რასობრივ სეგრეგაციას“ განმარტავს, როგორც ქმედებას ან უმოქმედებას, რომელსაც მივყავართ იძულებით გაყოფამდე, სეპარაციამდე, ან იზოლაციამდე ეთნიკური, რასობრივი ან კანის ფერის გამო გამორჩევის საფუძვლით<sup>521</sup>.

დიდი ბრიტანეთი სეგრეგაციას პირდაპირი დისკრიმინაციის გამოვლინებად მიიჩნევს და დისკრიმინაციის სპეციალურ ფორმად არ განიხილავს<sup>522</sup>.

გაეროს „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციით, საქართველოს აღებული აქვს საერთაშორისო ვალდებულება, რასობრივი სეგრეგაციისა და აპარტიდის ყველა ფორმის პრევენციის, აკრძალვისა და აღმოფხვრის კუთხით<sup>523</sup>. ECRI სეგრეგაციის კანონმდებლობაში დისკრიმინაციის სპეციალურ ფორმად განსაზღვრავს ითხოვს<sup>524</sup>. საქართველოს სახალხო დამცველის განმარტებით, სახელმწიფოს მიერ უნდა აიკრძალოს სამართლებრივი და ფაქტობრივი სეგრეგაციის საფრთხის შექმნელი ქმედებები, მაშასადამე „დაცული ნიშნების მიხედვით, შესაბამისი ჯგუფების ერთმანეთისგან განცალკევება ან ერთი ჯგუფის ძირითადი ჯგუფისგან იზოლირება“<sup>525</sup>.

---

<sup>517</sup> Explanatory Memorandum, General Policy Recommendation N°7: National legislation to combat racism and racial discrimination, 2002.

<sup>518</sup> ECRI General Policy Recommendation No. 7 on National Legislation to Combat Racism and Racial Discrimination, 2002.

<sup>519</sup> **Directive 2000/43 - Implementation of the principle of equal treatment between persons irrespective of racial or ethnic origin.**

<sup>520</sup> სახალხო დამცველი როგორც თანასწორობის მექანიზმი, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, EMC, 2017, 39.

<sup>521</sup> “Segregation of Roma Children in Education-Addressing Structural Discrimination through the Race Equality Directive”, European Commission, 2007, 30.

<sup>522</sup> სახალხო დამცველი როგორც თანასწორობის მექანიზმი, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, EMC, 2017, 39.

<sup>523</sup> გაეროს 1965 წლის კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მე-3 მუხლი.

<sup>524</sup> Report against Racism and Intolerance, on Georgia (fifth monitoring cycle), European Commission, 2015, par.18.

<sup>525</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის სექტემბრის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილების და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, 18.

---

საქართველოს სახალხო დამცველიც სეგრეგაციის დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად განსაზღვრავს ითხოვს<sup>526</sup>. საქართველოს ანტიდისკრიმინაციული კანონი დღემდე არ განსაზღვრავს სეგრეგაციას, როგორც დისკრიმინაციის ცალკე ფორმას და სეგრეგაციის პირდაპირ აკრძალვას არ ითვალისწინებს<sup>527</sup>. მიუხედავად სეგრეგაციის ამკრძალავი ნორმების პირდაპირი საკანონმდებლო რეგლამენტაციის არარსებობისა, არ შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ კრძალავს სეგრეგაციას. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის შინაარსი პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციის განმარტების თვალსაზრისით მოიაზრებს სეგრეგაციასაც, როგორც რასობრივი დისკრიმინაციით მოტივირებულ ქმედებას თუ უმოქმედობას<sup>528</sup>. თუმცა, დამატებით სეგრეგაციის პირდაპირ საკანონმდებლო აკრძალვის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ იგი დაეხმარება საგამოძიებო და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებს გამოკვეთონ სეგრეგაციის, როგორც რასობრივი დისკრიმინაციის ერთ-ერთი ფორმის მოტივი და შესაბამისი მგრძნობელობით მიუდგნენ ამ ტიპის დანაშაულების გამოძიებას. აღნიშნული კი გაზრდის სენსიტიურობას სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოების სისტემაში და ხელს შეუწყობს რასობრივი სიძულვილით მოტივირებული სეგრეგაციის დანაშაულების ეფექტიან გამოძიებას და სწორი საგამოძიებო პრაქტიკის დანერგვას.

### 6.3. მითითება დისკრიმინაციაზე (*instructions to discriminate*)

ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის შესახებ (ECRI) დისკრიმინაციაზე მითითებას (*instructions to discriminate*) დისკრიმინაციის ფორმად მიიჩნევს<sup>529</sup>. იგივე სტანდარტს ავითარებს ევროკავშირის დირექტივები დისკრიმინაციასთან ბრძოლის შესახებ<sup>530</sup>. ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობაში, დისკრიმინაციაზე მითითება დისკრიმინაციის ფორმად განიხილება<sup>531</sup>. მაგალითად, ბულგარეთის კანონმდებლობა დისკრიმინაციად განიხილავს დისკრიმინაციაზე მხოლოდ წინასწარგანზრახვით მითითებას<sup>532</sup>. ნორვეგიის კანონმდებლობით, დისკრიმინაციაზე მითითების ფაქტის დასაკვალიფიცირებლად, მითითების გამცემსა და მის მიმღებს შორის უნდა არსებობდეს დაქვემდებარებული, მორჩილებითი დამოკიდებულება<sup>533</sup>. დანიამი დისკრიმინაციაზე მითითების გამცემსა და მიმღებს შორის უნდა არსებობდეს

---

<sup>526</sup> იქვე, 18.

<sup>527</sup> Report against Racism and Intolerance, on Georgia (fifth monitoring cycle), European Commission, 2015, par.18.

<sup>528</sup> საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მე-2 მუხლი.

<sup>529</sup> ECRI General Policy Recommendation N°1 on Combating Racism, Xenophobia, Antisemitism and Intolerance, 1996.

<sup>530</sup> EU Directives: 2000/43/EC; 2000/78/EC. article 2.

<sup>531</sup> სახალხო დამცველი როგორც თანასწორობის მექანიზმი, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, EMC, 2017, 44.

<sup>532</sup> A comparative analysis of non-discrimination law in Europe, European Commission, Brussels, 2016, 56.

<sup>533</sup> იქვე, 56.

---

იარაქიული დამოკიდებულება<sup>534</sup>. ფინეთის კანონმდებლობის თანახმად, დისკრიმინაციაზე მითითების ფაქტის დასაკვალიფიცირებლად, მითითების გამცემსა მის მიმღებ პირზე უნდა ჰქონდეს ვალდებულების დაკისრების ძალაუფლება<sup>535</sup>.

დისკრიმინაციაზე მითითების გამცემისათვის პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრის ნაწილში, განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაციები არსებობს ევროპის ქვეყნებში. მაგალითად, ესტონეთში, ლიეტუვაში, საბერძნეთში და ირლანდიაში პასუხისმგებლობა დისკრიმინაციაზე მითითების გამცემს ეკისრება<sup>536</sup>. სახელმწიფოთა უმრავლესობაში (ავსტრია, ბელგია, ხორვატია, ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, გერმანია და სხვა) პასუხისმგებლობა ეკისრება, როგორც დისკრიმინაციაზე მიმთითებელს, ისევე, დისკრიმინაციის განმასხორციელებელ პირს<sup>537</sup>.

საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კრძალავს დისკრიმინაციის იძულებას, წაქეზებას ან ხელშეწყობას ან/და მისთვის დავალების მიცემას მესამე პირის მიმართ დისკრიმინაციის განსახორციელებლად<sup>538</sup>. მიუხედავად იმისა, რომ დისკრიმინაციის, იძულება, წაქეზება და ხელშეწყობა ანტიდისკრიმინაციული კანონის რეგულირების ფარგლებში ექცევა, კანონი მას დისკრიმინაციის იზოლირებულ, ცალკე სახედ არ მიიჩნევს.

მიუხედავად დისკრიმინაციის წაქეზების, იძულების და ხელშეწყობის აკრძალვისა, ანტიდისკრიმინაციული კანონი პირდაპირ არ ადგენს, თუ ვის შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს ამ ფორმით დისკრიმინაციის არსებობის შემთხვევაში.

#### 6.4. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული

„სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის“ უნიფიცირებული განმარტება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება მისი სპეციფიურობის გამო. უეთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის მოქმედი დეფინიციის მიხედვით, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები წარმოადგენს „ნებისმიერ სისხლისსამართლებრივ, მათ შორის, ადამიანისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, სადაც მსხვერპლი, ობიექტი ან სამიზნე შერჩეულია მისი რეალური ან ნავარაუდევი კავშირით, მიკუთვნებით, მხარდაჭერით, აფილირებით ან წევრობით კონკრეტული ჯგუფისადმი.“<sup>539</sup> აშშ-ს გამოძიების ფედერალური ბიუროს (FBI) განმარტებით „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ჩადენილია

---

<sup>534</sup> იქვე, 56.

<sup>535</sup> Finland, Government Proposal on the Non-Discrimination Act 19/2014, 69, <<http://www.finlex.fi/fi/esitykset/he/2014/20140019>> [ბოლოს ნანახი: 31.02.2022].

<sup>536</sup> A comparative analysis of non-discrimination law in Europe, European Commission, Brussels, 2016, 56.

<sup>537</sup> იქვე, 57.

<sup>538</sup> საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>539</sup> Hate Crime in the OSCE Region: Incidents and Responses, annual report for 2006, OSCE/ODIHR, 9.

---

მუწყნარებლობის მოტივით, რაც რასის, რელიგიის, მუზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის მიმართ არატოლერანტულ გამოხატვაში ვლინდება”<sup>540</sup>. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული მიმართულია ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფისადმი, რომელსაც საერთო დაცული მახასიათებლები (რასა, რელიგია, ეთნიკურობა, ენა, სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა და მუზღუდული შესაძლებლობა) გააჩნიათ<sup>541</sup>.

მსხვერპლის შერჩევა წინასწარგანწყობისა და არატოლერანტობის გამო ხდება იმ ჯგუფის მიმართ, რომელსაც მსხვერპლი რეალურად ან ნავარაუდევად მიეკუთვნება<sup>542</sup>.

გორდონ ოლპორტის განმარტებით „წინასწარგანწყობა მცდარ და ჯიუტ განზოგადებაზე დაფუძნებული ანტიპატიია. მას შეიძლება ადამიანი გრძნობდეს ან გამოხატავდეს და შეიძლება მიემართებოდეს ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს ან ცალკეულ წევრებს, აღნიშნულ ჯუფთან მიკუთვნებულობის გამო”<sup>543</sup>.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კონცეფტი ძალაუფლების დისბალანსს ეფუძნება<sup>544</sup>. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი როგორც წესი, სოციალურად და პოლიტიკურად გარიყული უმცირესობის ჯგუფის წევრია, ხოლო სავარაუდო დამნაშავე - დომინანტი და პრივილეგირებული უმრავლესობის ფენის წარმომადგენელი<sup>545</sup>. სიძულვილით მოტივირებული დანაშაული წარმოადგენს არა იზოლირებულ ინციდენტს, არამედ იმ პოლიტიკური კულტურის შედეგს, რომელიც თავს უყრის ბიოლოგიურ თუ სოციალურ მახასიათებლებზე დაფუძნებულ უფლებებს, პრივილეგიებსა და პრესტიჟს<sup>546</sup>. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები დანახულია, როგორც გენდერირებული და რასობრივ განსხვავებაზე დაფუძნებული წესრიგის დაცვის ინსტრუმენტი<sup>547</sup>. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის

---

<sup>540</sup> Hate Crimes, FBI, <<https://www.fbi.gov/investigate/civil-rights/hate-crimes>>. [ბოლოს ნანახია: 27.02.2022].

<sup>541</sup> M.Craig K., **Examining hate-motivated aggression: a review of the social psychological literature on hate crimes as a distinct form of aggression**, *Aggression and Violent Behavior* Volume: 7 Issue: 1 Dated: January-February 2002, 85-101.

<sup>542</sup> Prosecuting Hate Crimes; a practical guide, OSCE/ODHIR, Warsaw, 2014, 20.

<sup>543</sup> Allport, G. W., „The Nature of Prejudice”, 1954; ასევე, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ, ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი, EMC, 2017, 36.

<sup>544</sup> სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ, ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი, EMC, 2017, 34.

<sup>545</sup> Petrosino C., „Connecting the Past to the Future, Hate crime in America”, Perry B. “A Reader: Hate and Bias Crime”, Routledge, New York-London, 2003, 9-26. ასევე: სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ, ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი, EMC, 2017, 34.

<sup>546</sup> Sheffield C., “Hate Violence”, 1995, 438. ასევე: სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ, ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი, EMC, 2017, 34.

<sup>547</sup> Perry B., “In the Name of Hate”, 2001, 3. ასევე: სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ, ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი, EMC, 2017, 34.

---

შემთხვევაში, დანაშაულებრივი ქმედება მიმართულია არა მსხვერპლისადმი, არამედ იმ ჯგუფისადმი, რომელსაც მსხვერპლი რეალურად ან სავარაუდოდ წარმოადგენს<sup>548</sup>. მსხვერპლის მიმართ დანაშაული ჩადენილია, იმიტომ, რომ იგი კონკრეტული ჯგუფის რეალური ან დავარაუდები წევრია. მსხვერპლს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებში სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია<sup>549</sup>. შესაბამისად, იდენტობით მოტივირებული დანაშაულები მსხვერპლისთვის გაცილებით მტკივნეულია, ვიდრე ორდინალური დანაშაულები სიძულვილის მოტივის გარეშე<sup>550</sup>.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ორ მოდელს განარჩევენ. „მტრობის“ მოდელის მიხედვით, სავარაუდო დამნაშავის ქმედება ნაწილობრივ მაინც დაფუძნებულია მის ნეგატიურ წინასწარგანწყობაზე, შეუწყნარებლობასა თუ სიძულვილზე მსხვერპლის იდენტობის მიმართ<sup>551</sup>. „მტრობის“ მოდელში, სამართალდამრღვევი ჩადის ქმედებას მტრობისა და სიძულვილის გამო, რომელიც ერთ-ერთ დაცულ მახასიათებელს ეფუძნება (რელიგია, რასა, ეთნიკურობა, სექსუალური ორიენტაცია და სხვა)<sup>552</sup>. როგორც წესი, კანონმებლობა „მტრობის“ განმარტებას არ ახდენს. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის რეგულირების „მტრობის“ მოდელი ოპერირებს ბელგიაში<sup>553</sup>, კანადასა<sup>554</sup> და უკრაინაში<sup>555</sup>.

„დისკრიმინაციული სელექციის“ მოდელის მიხედვით, მოძალადე მიზანმიმართულად ირჩევს მსხვერპლს კონკრეტულ თემთან მიკუთნებადობიდან გამომდინარე. განსახილველ შემთხვევაში, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიცირებისთვის არ არის აუცილებელი ფაქტობრივად არსებობდეს მტრობის ან სიძულვილის ელემენტი<sup>556</sup>. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია დადგინდეს ქმედებასა და მსხვერპლის შერჩევის მიზეზს შორის კავშირი. დამნაშავის სუბიექტურ განწყობას არ აქვს გადაწყვეტი მნიშვნელობა.<sup>557</sup>

---

<sup>548</sup> Perry B., “In the Name of Hate”, 2001, 3.

<sup>549</sup> იქვე, 3.

<sup>550</sup> Chakraborti N., Garland J., Hate Crime: Impact, Causes and Responses, second edition, Sage publication, 2015, 7.

<sup>551</sup> **Hate Crime Laws - A Practical Guide, OSCE/ ODIHR, 2009, 47.**

<sup>552</sup> იქვე, 47.

<sup>553</sup> Article 377bis, Criminal Code of Belgium, <<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/41/Belgium/show>>. [ბოლოს ნანახია: 10.03.2022].

<sup>554</sup> Section 718.2(a), Criminal Code of Canada, <<http://www.criminal-code.ca/criminal-code-of-canada-section-718-2-other-sentencing-principles/index.html>> [ბოლოს ნანახია: 10.03.2022].

<sup>555</sup> Article 67(3), Criminal Code of Ukraine, <<https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/52/Ukraine/show>>. [ბოლოს ნანახია: 10.03.2022].

<sup>556</sup> Hate Crime Laws - A Practical Guide, OSCE/ ODIHR, 2009, 47.

<sup>557</sup> ოპერაციული სახელმძღვანელო დოკუმენტი, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და პრევენციის შესახებ, EMC, 2017, 45.

---

„დისკრიმინაციული სელექციის“ მოდელის მიმდევარი ზოგიერთი ქვეყანა<sup>558</sup> საერთოდ არ ახსენებენ სიძულვილს ან მტრობას თავიანთ ეროვნულ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის დეფინიციას არ ახდენს. იგი აქცენტს შეუწყნარებლობის მოტივზე აკეთებს და კონკრეტულ ნიშნებით დანაშაულის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენას სასჯელის დამამძიმებელ გარემოებათ მიიჩნევს<sup>559</sup>. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული „შეუწყნარებლობის მოდელი“ მტრობის მოდელის მსგავსია. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“<sup>560</sup>.

სსკ-ის 109-ე (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში), 117-ე (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), 115-ე (თვითმკვლელობამდე მიყვანა) მუხლების ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებას წარმოადგენს განზრახ მკვლელობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური შეუწყნარებლობის გამო ან/და გენდერის ნიშნით<sup>561</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი დისკრიმინაციას განიხილავს, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს და მის კრიმინალიზებას ახდენს. სსკ-ის 142-ე მუხლი<sup>562</sup> ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევას სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებად აცხადებს. ნორმაში ასევე მითითებულია პირის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, როგორც თანასწორუფლებიანობის დარღვევის საფუძველი.

---

<sup>558</sup> Criminal Code of Bulgaria, < <https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/39/Bulgaria/show> >. [ბოლოს ნანახია: 10.03.2022]. Criminal Code of Denmark, < <https://www.legislationline.org/documents/section/criminal-codes/country/34/Denmark/show> >; [ბოლოს ნანახია: 10.03.2022].

<sup>559</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=238>

<sup>560</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup>-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=238>

<sup>561</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=238>

<sup>562</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=238>

---

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142<sup>1</sup>-ე მუხლი რასობრივი დისკრიმინაციის კრიმინალიზებას ახდენს და მას განიხილავს როგორც ქმედებას, ჩადენილს ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვას ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭებას, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება<sup>563</sup>. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142<sup>1</sup>-ე მუხლი რასობრივი დისკრიმინაციის ნიშნების ჩამონათვალში არ ითვალისწინებს ენას, რელიგიას და მოქალაქეობას, თუმცა სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი კრძალავს თანასწორუფლებიანობის დარღვევას, მათ შორის, ენის, მოქალაქეობის, რელიგიის ან რწმენის გამო. კანონმდებლობით ჯერჯერობით ცხადად არ არის განსაზღვრული ისეთი დებულებები, რომლებიც აკრძალავდა ისეთ დანაშაულებს, როგორცაა რასობრივი შეურაცხყოფა, რასისტული განცხადებების შემცველი მასალების საჯარო გახმაურება ან გავრცელება, რასიზმის ხელშემწყობი ჯგუფის შექმნა ან ხელმძღვანელობა<sup>564</sup>.

ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპები მიუთითებს, რომ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლა პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს შორის თანამშრომლობით უნდა წარიმართოს<sup>565</sup>. ეუთოს შეფასებით, ღონისძიებები უნდა გატარდეს როგორც ოპერაციულ, ისე პოლიტიკის დონეზე. ეუთოს სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, მიზნშეწინილია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის უნიფიცირებული განმარტების შემუშავება, რაც უწყებებს შორის თანამშრომლობის წარმატებულობას შეუწყობს ხელს<sup>566</sup>.

2009 წელს ეუთოს საბჭოს მინისტრიალზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლის შესახებ<sup>567</sup>. დოკუმენტით გაწერილია ის ძირითადი ღონისძიებები, რომელიც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს კრიმინალის აღმოფხვრის მიზნით. ეს ღონისძიებებია: სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ მონაცემების შეკრება და გასაჯაროება, ეფექტიანი კანონმდებლობის მიღება და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მონაწილეების - პოლიციელების, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის

---

<sup>563</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142<sup>1</sup>-ე მუხლი  
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=236>

<sup>564</sup> რასიზმის და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის საქართველოს წინააღმდეგ ანგარიში, მონიტორინგის მეხუთე ციკლი, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, 13. ასევე, დისკრიმინაცია, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები და სიძულვილის ენა, საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისი, 2019, 19.

<sup>565</sup> Prosecuting Hate Crimes, Practical Guide, OSCE/ODIHR, 2014, 17-18.

<sup>566</sup> იქვე, 17-18.

<sup>567</sup> Decision No. 9/09, Combating Hate Crimes, OSCE, 2009.

---

შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას, რაც გაზრდის მათ ცოდნას და მგრძობელობას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიმართ<sup>568</sup>.

მიმართვიანობის გაზრდის შესახებ ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 სახელმწიფოებს მოუწოდებს, გაატარონ ყველა შესაძლო ღონისძიება, რათა სამართალდამცავ ორგანოებსა და მართლმსაჯულების სისტემას ჰქონდეს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენის, მსხვერპლთა და მოწმეთა დახმარებისა და მხარდაჭერისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარი<sup>569</sup>.

სახელმწიფოს მიერ საქმის გამოძიების ან სასჯელის დაკისრებისას დისკრიმინაციული მოტივის ყურადღების მიღმა დატოვება შეიძლება წარმოადგენდეს არაპირდაპირ დისკრიმინაციას<sup>570</sup>.

მრჩეველთა კომიტეტმა საქართველოსთან დაკავშირებით მიღებულ მესამე შემაჯამებელ დასკვნაში ხელისუფლებას მოუწოდა, მომართოს თავის ძალისხმევა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისკენ, დისკრიმინაციული განზრახვით ჩადენილი ყველა დანაშაულის სისტემატური და დროული გამოძიების მეშვეობით. იგი, ასევე, მოუწოდებს ხელისუფლებას, გააძლიეროს მუშაობა, ამგვარი დანაშაულების უფრო ეფექტურ სამართლებრივ დევნასა და სანქციებზე<sup>571</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არაერთი პრეცედენტული საქმე განუხილავს ეთნიკური სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებით, სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების ქრილში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში რასობრივი სიძულვილის მოტყუვე იმსჯელა საქმეში - *Angelova and Iliev v. Bulgaria*<sup>572</sup>. სახელმწიფოს განმარტებით, სახელმწიფო ვალდებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე აწარმოოს ეფექტიანი და მიუკერძოებელი გამოძიება სიძულვილით მოტივირებულ ქმედებებთან დაკავშირებით და გამოკვეთოს დისკრიმინაციის მოტივი, ასეთის არსებობის შემთხვევაში<sup>573</sup>. *Angelova and Iliev* საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ხელისუფლების დამატებით ვალდებულებაზეც მიუთითა და განმარტა, რომ სახელმწიფომ უნდა გადადგას ნაბიჯები საქმეზე რასისტული მოტივის გამოსააშკარავებლად და იმის გამოსვლენად, თუ რამდენად შეეძლო სიძულვილსა და ცრურწმენას როლი ეთამამა ძალადობის

---

<sup>568</sup> Decision No. 9/09, Combating Hate Crimes, OSCE, 2009.

<sup>569</sup> ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5.

<sup>570</sup> ლეგტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, EMC, 2016, 21.

<sup>571</sup> მრჩეველთა კომიტეტის 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACF/OP/III(2019)002 გვ.27

<sup>572</sup> ანგელოვა ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Angelova and Iliev v. Bulgaria*), 2007 წლის 26 ივლისი.

<sup>573</sup> ანგელოვა ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Angelova and Iliev v. Bulgaria*), 2007 წლის 26 ივლისი 115-ე პუნქტი.



---

ჩადენაში<sup>574</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს მიერ რასობრივი მოტივით გამოწვეული ძალადობისა და სისასტიკისადმი იმგვარი მოპყრობა, როგორც მოეპყრობოდა რასისტული ხასიათის არმქონე დანაშაულს, წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებათა განსაკუთრებით დამანგრეველი ქმედებების სპეციფიკურ ბუნებაზე თვალის დახუჭვას<sup>575</sup>. ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ ისეთი სიტუაციები, რომლებიც არიან არსებითად განსხვავებულები, ხოლო სახელმწიფო არ ახდენს მათ შორის განსახვავებას, შესაძლოა ექცეოდეს კონვენციის მე-14 მუხლის მოწესრიგების სფეროში<sup>576</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განიხილა საქმე - *Nachova v. Bulgaria*, რომელიც ბოშური ეთნიკური უმცირესობის მიმართ ჩადენილ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ეხებოდა. სასამართლომ განმარტა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ გამოიძიეს რასობრივი ნიშნით მოტივირებული დანაშაული, რითაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი (თანასწორობა) დაარღვიეს მე-2 მუხლთან მიმართებით (სიცოცხლის უფლება)<sup>577</sup>.

საქმეზე - *Osman v. Bulgaria*, ბულგარეთის იმ მოქალაქეების გამოსახლებას ეხებოდა, რომლებიც ეთნიკური თურქები იყვნენ და ბულგარეთში ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ. მითითებულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაეფექტური გამოძიების გამო, ევროპული კონვენციის კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა დაადგინა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციის მიერ გამოთქმული განცხადებები აშკარად შეურაცხმყოფელი და შესაბამისად, მიუღებელი იყო, ისინი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შესაძლებლობას ვერ აძლევდნენ, იმ დასკვნის გამოსატანად, რომ მომჩივნების მიერ გასაჩივრებული ძალადობრივი ქმედებები რასობრივი შეხედულებებით იყო მოტივირებული<sup>578</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე - *Timishev v. Russia*, რომელიც მომჩივნისათვის ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე შესვლის თაობაზე ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმას ეხებოდა. რუსეთის ფედერაციის ამგვარი თვითნებური დამოკიდებულება მომჩივნის ჩეჩნური წარმომავლობით იყო განპირობებული<sup>579</sup>. **Timishev-** ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა

---

<sup>574</sup> ანგელოვა ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Angelova and Iliev v. Bulgaria*), 2007 წლის 26 ივლისი 115-ე პუნქტი.

<sup>575</sup> იქვე, 115-ე პუნქტი.

<sup>576</sup> ანგელოვა ილიევი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Angelova and Iliev v. Bulgaria*), 2007 წლის 26 ივლისი 115-ე პუნქტი. ასევე: ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, EMC, 2016, 21-22.

<sup>577</sup> ნაჩოვა ბულგარეთის წინააღმდეგ (*Nachova v. Bulgaria*), 2005 წლის 6 ივლისი.

<sup>578</sup> ოსმანი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Osman v. Bulgaria*), 2006 წლის 16 თებერვალი.

<sup>579</sup> ტიმიშევი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (*Timishev v. Russia*), 2005 წლის 13 დეკემბერი.

---

სასამართლო კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევა დაადგინა მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან (გადაადგილების თავისუფლება) ერთად. სასამართლოს შეფასებით, მომჩივნის გადაადგილების თავისუფლება შეზღუდული იყო მხოლოდ მისი ეთნიკური ნიშნის გამო. მითითებულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რასობრივ დისკრიმინაცია. ასევე, სასამართლომ დაადგინა პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის (განათლების უფლება) დარღვევა, იმ საფუძვლით, რომ მომჩივნის შვილებს სკოლაში მიღებაზე უარი განუცხადეს<sup>580</sup>.

*Timishev*-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა რასობრივი დისკრიმინაციის მავნე შედეგები და სახელმწიფოს ვალდებულებები სიძულვილის მოტივის გამოკვეთასა და ეფექტიან გამოძიებასთან დაკავშირებით. სასამართლოს შეფასებით „სხვებს შორის, პირის ეთნიკურ წარმომავლობას დაფუძნებული დისკრიმინაცია რასობრივი დისკრიმინაციის ფორმაა. რასობრივი დისკრიმინაცია დისკრიმინაციის განსაკუთრებით აღმაშფოთებელი ფორმაა და, მისი საშიში შედეგების გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებისაგან განსაკუთრებულ სიფრთხილესა და სწრაფ რეაგირებას საჭიროებს. სწორედ ამ მიზეზით, ხელისუფლების ორგანოებმა ყველა ხელთ არსებული საშუალება უნდა გამოიყენონ, რათა აღმოფხვრან რასიზმი და, შესაბამისად, განამტკიცონ დემოკრატიის ხელვა იმგვარ საზოგადოებასთან დაკავშირებით, სადაც განსხვავებულობა აღიქმება არა საფრთხედ, არამედ გამდიდრების წყაროდ“<sup>581</sup>. სტრასბურგის სასამართლომ, აგრეთვე, დაადგინა, რომ „განსხვავებული მოპყრობა, რომელიც მხოლოდ ან გადამწყვეტად პირის ეთნიკურ წარმომავლობას ეყრდნობა, თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც პლურალიზმისა და განსხვავებული კულტურების პატივისცემაზეა დაფუძნებული, ვერ იქნება ობიექტურად გამართლებული“<sup>582</sup>. რაც შეეხება ასეთ საკითხებთან მიმართებით მტკიცების ტვირთს, ევროსასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან მომჩივანმა ნათელყო განსხვავებული მოპყრობის არსებობა, მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, რომ აღნიშნული განსხვავებული მოპყრობა გამართლებული იყო<sup>583</sup>.

სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით მკაცრი სისხლის სამართლის კანონმდებლობა და პრაქტიკა აქვს აშშ-ს. ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, თუ დანაშაული ჩადენილია სიძულვილის მოტივით, სასჯელის დამძიმება არ წარმოადგენს აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების დარღვევას<sup>584</sup>.

---

<sup>580</sup> იქვე, პარ. 58.

<sup>581</sup> იქვე, პარ. 56.

<sup>582</sup> იქვე, პარ. 58

<sup>583</sup> იქვე, 57.

<sup>584</sup> ვისკონსინი მიტჩელის წინააღმდეგ (*Wisconsin v. Mitchell*), 1993 წლის 11 ივნისი.

## 6.5. სიძულვილის ენა

სიძულვილის ენის რეგლამენტაციასთან დაკავშირებით არ არსებობს უნიფიცირებული სტანდარტი და სამართლებრივი მიდგომა. იგი სხვადასხვა სახელმწიფოში განსხვავებულად რეგულირდება, რაც თითოეული ქვეყნის სპეციფიურ მახასიათებლებით არის განპირობებული. სიძულვილის ენის სახელმძღვანელო განმარტება შეიმუშავა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციით, *“სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აუზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით”*<sup>585</sup>.

სიძულვილის ენა განსხვავდება შეურაცხყოფელი თუ ცილისმწამებლური გამონათქვამებისგან. სიძულვილის ენა უნდა იყოს კონკრეტული ჯგუფის მიმართ და ატარებდეს შეურაცხყოფელ ხასიათს, თუმცა ყველა შეურაცხყოფელი ტექსტი არ შეიძლება იყოს სიძულვილის ენა<sup>586</sup>. სიძულვილის ენა ცრურწმენებს და წინასწარ ჩამოყალბებულ შეხედულებებს ეფუძნება.

ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობაში<sup>587</sup> სიძულვილის ენა სისხლის სამართლის დანაშაულია, ხოლო აშშ-ში, სადაც გამოხატვის თავისუფლება გაცილებით მაღალი სტანდარტით, შინაარსობრივად ნეიტრალური მოდელით არის წარმოდგენილი, სიძულვილის ენა არ არის კრიმინალიზებული. ამერიკის შეერთებული შტატები სიძულვილის ენასთან და ზოგადად გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაფასებლად იყენებს „ბრანდენბურგის სამწვეროვან ტესტს“, რომელიც „ნათელი და მყისიერი საფრთხის ტესტის“ სახელით არის ცნობილი<sup>588</sup>. აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით გამოხატვის თავისუფლება არ შეიძლება შეიზღუდოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი მიზნად ისახავს უკანონო ქმედების მყისიერ გამოწვევას და არსებობს მაღალი ალბათობა, რომ ასეთი ქმედება დადგება<sup>589</sup>. შესაბამისად, თუ გამოხატვაში არ ვლინდება „ბრანდენბურგის ტესტის“ შემადგენლობა, სიძულვილის ქადაგებაც დაცულია აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორებით<sup>590</sup>. ბრანდენბურგის

<sup>585</sup> ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენაზე No. R(97) 20., 1997.

<sup>586</sup> სიძულვილის ენასთან ბრძოლა - სახელმძღვანელო წესები მედიისთვის, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, 2019, < <https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/75684>>, [ბოლოს ნანახია: 16.01.2022].

<sup>587</sup> დანია, საფრანგეთი, ნიდერლანდები, დიდი ბრიტანეთი და სხვა.

<sup>588</sup> ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ (Brandenburg v. Ohio), 1969 წლის 9 ივნისი.

<sup>589</sup> First Amendment of the Constitution of the United States,

<[https://www.law.cornell.edu/constitution/first\\_amendment](https://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment)> [ბოლოს ნანახია: 18.02.2022].

<sup>590</sup> გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, თავისუფლების ინსტიტუტი, ტომი 1, 2005, 17.

---

საქმეში ამერიკის უზენაესმა სასამართლომ გააუქმა კუ კლუქს კლანის წევრის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სინდიკალიზმისათვის<sup>591</sup>.

გამოხატვის თავისუფლებაზე შეიძლება გამოვყოთ სამი საერთაშორისო აქტი, რომელიც სიძულვილის ენასთან დაკავშირებულ საკითხებს აწესრიგებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, მიუხედავად გამოხატვის თავისუფლების მაღალი ღირებულებითი დატვირთვისა, იგი არ არის აბსოლუტური უფლება და შეიძლება შეიზღუდოს, როცა გამოხატვა ლახავს სხვათა უფლებებს<sup>592</sup>. უფლებათა ევროპული კონვენცია გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შესაფასებლად ე.წ. „სამწვეროვან ტესტს“ იყენებს<sup>593</sup>. იმისათვის, რომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა შესაბამისი იყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებთან შეზღუდვას უნდა ითვალისწინებდეს კანონი; იგი უნდა ემსახურებოდეს კონვენციაში გათვალისწინებულ ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას; შეზღუდვა აუცილებელი უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში<sup>594</sup>.

გაეროს „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის“ შესახებ კონვენცია გაცილებით მკაცრ დანაწესებს შეიცავს სიძულვილის ენასთან ბრძოლის მიმართულებით. კონვენციის მე-4 მუხლი ხელშემკვრელ სახელმწიფოებს ავალდებულებს, რასიზმსა და სიძულვილზე დაფუძნებული გამოხატვა დასჯად ქმედებად გამოაცხადონ<sup>595</sup>. გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კონვენცია ითხოვს რასობრივ დისკრიმინაციაზე დაფუძნებული სიძულვილის ენის ნებისმიერი გამოვლინების აკრძალვას, რაც გამოხატვის თავისუფლების მოთხოვნებს ეწინააღმდეგება<sup>596</sup>. კონვენციის მე-4 მუხლის დანაწესის გაზიარება განსაკუთრებით პრობლემურია იმ ქვეყნებისთვის, სადაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შინაარსობრივად ნეიტრალური მოდელი მოქმედებს, რომელიც გამოხატვის თავისუფლების შინაარსში შესვლის შესაძლებლობას თითქმის გამორიცხავს.

2013 წელს, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა მიიღო ზოგადი რეკომენდაცია უშუალოდ რასობრივი სიძულვილის ენასთან

---

<sup>591</sup> ბრანდენბურგი ოჰაიოს წინააღმდეგ (Brandenburg v. Ohio), 1969 წლის 9 ივნისი.

<sup>592</sup> 1950 წლის 4 ნოემბრის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი.

<sup>593</sup> Guide on Article 10 of the European Convention on Human Rights, Freedom of Expression, Updated – 31 August 2020, European Court of Human Rights, 2021, 19-22.

<sup>594</sup> ავალიანი, თ., გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან, ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა, კონსტანტინე კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 64.

<sup>595</sup> 1965 წლის რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს საერთაშორისო კონვენციის მე-4 მუხლი.

<sup>596</sup> ბექა ძამაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემწყობი გარემოებები საქართველოში, თსუ, 2017, 58.

---

დაკავშირებით და აქცენტი რასობრივ დისკრიმინაციის აკრძალვასა და გამომხატვის თავისუფლებას შორის გონივრული ბალანსის დაცვაზე გააკეთა, ასევე, დაცულ სფეროში პროპორციულ ჩარევის აუცილებლობაზე ისაუბრა<sup>597</sup>. კომიტეტის შეფასებით, დისკრიმინაციის აკრძალვისა და გამომხატვის თავისუფლების გარანტიების უზრუნველყოფისას, ისინი უნდა ავსებდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემას და დაუშვებელია უპირატესობის მინიჭება რომელიმე მათგანისთვის<sup>598</sup>. კომიტეტი განმარტავს, რომ სიძულვილის ენის აკრძალვისა და სანქციის დაკისრებისას, გათვალისწინებული უნდა იყოს გამომხატვის ფორმა, კონტექსტი, პირის სტატუსი, მიზნები და სხვა ფაქტორები<sup>599</sup>.

მიუხედავად ფაქტორების დაზუსტებისა, კომიტეტის რეკომენდაცია სიძულვილის ენის აკრძალვასთან და დასჯასთან დაკავშირებით შეუთავსებელია გამომხატვის თავისუფლების ღირებულებით წესრიგთან და გამომხატვის თავისუფლებაში ჩარევის მომეტებულ რისკს შეიცავს<sup>600</sup>. რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაცია გამომხატვის თავისუფლების რეგულირების მკაცრ სტანდარტს ადგენს და უფლების შინაარსში შესვლის შესაძლებლობას ქმნის. კომიტეტის რეკომენდაცია შესაძლებელს ხდის გამომხატვის თავისუფლების იმ ასპექტში ჩარევას, რომელიც ქვეყნების კონსტიტუციებით არის დაცული.

„სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში აკრძალონ ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისკენ მიმართული ყოველგვარი გამოსვლა, რომლის მიზანია დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზება<sup>601</sup>. გაცილებით პროგრესულ რეგულაციებს აწესებს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი. იგი სიძულვილის ენასთან ბრძოლას გამომხატვის თავისუფლებასთან მიმართებით სისტემურად განიხილავს და სიძულვილის ენის აკრძალვას და შესაბამის პასუხისმგებლობის დაკისრებისას, პაქტის მე-19 მუხლის შეზღუდვის საფუძვლების გათვალისწინებას აუცილებლობლად მიიჩნევს<sup>602</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ იცავს სიძულვილის ენას და შესაძლებელია მისი კრიმინალიზება კონვენციის ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა

---

<sup>597</sup> Committee on the Elimination of Racial Discrimination, General Recommendation No. 35 on Combating racist hate speech (26 September 2013), par. 45.

<sup>598</sup> იქვე, par. 45.

<sup>599</sup> იქვე, par. 15.

<sup>600</sup> ბექა ჰამაშვილის სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემწყობელი გარემოებები საქართველოში, თსუ, 2017, 58.

<sup>601</sup> „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ 1966 წლის 16 დეკემბრის საერთაშორისო პაქტის მე-20 მუხლი.

<sup>602</sup> Human Rights Committee, General Comment No. 34 on Article 19: Freedoms of opinion and expression, (12 September 2011), par. 50-52.

---

განახორციელონ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Vona v. Hungary* არ მიიჩნია ნორვეგიის მიერ შეკრების თავისუფლების გაუმართლებელ შეზღუდვად გადაწყვეტილება, რომ ნორვეგიის მთავრობას არ დაეშვა ისეთი პოლიტიკური პარტიის საქმიანობა, რომელთა მიზანსაც რასისტული გზავნილების გამოხატვა წარმოადგენდა<sup>603</sup>. საქმეზე - *Féret v. Belgium* ბელგიის ხელისუფლებამ პასუხისმგებამი მისცა ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარე, რომელმაც საარჩევნო კამპანიისას, რასისტული სლოგანები და მესიჯები გამოხატა შემდეგი სიტყვებით: „გამოდით ბელგიის ისლამიზაციისწინააღმდეგ“, „შეაჩერეთ ყალბი ინტეგრაციის პოლიტიკა“, „გაგზავნეთ არაევროპელი სამუშაოს მაძიებლები სახლში“<sup>604</sup>. სასამართლომ კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა არ დაადგინა, ვინაიდან პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელის გამოხატვა უცხოელთა წინაშე რასისტულ სიტუაციას აღვივებდა და შესაძლოა რასისტული სიტუაციის წაქეზებად მიჩნეულიყო<sup>605</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Jersild v. Denmark* მიიჩნია, რომ სახეზე იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა. სასამართლოს შეფასებით, ჟურნალისტის მიერ გაკეთებული დოკუმენტური ფილმი მთლიანობაში არ იყო ორიენტირებული რასისტული მოსაზრებების პროპაგანდისაკენ. ჟურნალისტი უბრალოდ აშუქებდა და საზოგადოების ინფორმირებას ახდენდა პრობლემის შესახებ<sup>606</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საინტერესო მოსაზრებები განავითარა საქმეზე - *Otto-Preminger-Institut v Austria*<sup>607</sup>. სასამართლოს შეფასებით „როდესაც ასეთი კრიტიკა გამოთქმულია ისეთი ფორმით, რომელიც შეურაცხყოფს მორწმუნეებს, სახელმწიფოს წარმოემოხა პოზიტიური ვალდებულება, დაიცვას მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები დემოკრატიულ საზოგადოებაში მიუღებელი გამომხდომებისგან და უზრუნველყოს მათი მხრიდან რელიგიური უფლებებით მშვიდობიანი და დაუბრკოლებელი სარგებლობა.“<sup>608</sup> ევროპულმა სასამართლომ გამართლებულად მიიჩნია ფილმის კინოთეატრებში ჩვენების აკრძალვა და მისი დაპატიმრება, რადგან ფილმში რელიგიური კულტის პერსონაჟები – მამა ღმერთი, იესო ქრისტე და მარიამ ღვთისმშობელი გამოხატული იყვნენ პროვოკაციული ფორმით. იგი დაეთანხმა, რომ ფილმი წარმოადგენდა თავდასხმას ქრისტიანულ რელიგიაზე და გაითვალისწინა, რომ ავსტრიის მოსახლეობის დიდი ნაწილი – 88 % – სწორედ ამ

---

<sup>603</sup> ვონა უნგრეთის წინააღმდეგ (*Vona v. Hungary*), 2013 წლის 9 ივლისი, par.57.

<sup>604</sup> ფერეტ ბელგიის წინააღმდეგ (*Féret v. Belgium*), 2009 წლის 16 ივლისი.

<sup>605</sup> იქვე, პარ.66.

<sup>606</sup> ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ (*Jersild v. Denmark*), 1994 წლის 23 სექტემბერი, par.31–37.

<sup>607</sup> ოტო-პრემინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ (*Otto-Preminger-Institut v Austria*), 1994 წლის 20 სექტემბერი. პარ.47.

<sup>608</sup> გოცირიძე ე., მუხლი 19, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 175.

---

რელიგიის მიმდევარი იყო. შესაბამისად, მიიჩნია, რომ არსებობდა ფილმის აკრძალვის „მწვავე საზოგადოებრივი საჭიროება“ ქვეყანაში რელიგიური მშვიდობის შესანარჩუნებლად და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად<sup>609</sup>.

ადა მიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Wingrove v United Kingdom* სასამართლომ ასევე გამართლებულად მიიჩნია უარი სერტიფიკატების მიცემაზე ფილმისათვის, რომელშიც გამოხატული იყო ჯვარცმულ ქრისტესთან სექსუალური მოქმედებების სცენები, რაც, ლორდთა პალატის განმარტებების მიხედვით, შეიძლებოდა შეფასებულიყო „ღვთის გმობად“<sup>610</sup>.

ამრიგად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი არ იცავს სიძულვილის ენას და შესაძლებელია იგი ეროვნულ დონეზე კრიმინალიზებული იყოს.

სიძულვილის ენის კრიმინალიზება დიდწილად მძიმე ევროპული წარსულით არის ნაკარნახევი და ანტისემიტური და ფაშისტური იდეოლოგიების კვლავ გავრცელების მიმს ეფუძნება.

რაც შეეხება აშშ-ს გამოცდილებას, კონსტიტუციის პირველი შესწორება კონგრესს უკრძალავს ისეთი კანონის მიღებას, რომელიც სიტყვის და პრესის თავისუფლებას ზღუდავს<sup>611</sup>. აშშ-ში სიძულვილის ენა არ ისჯება და გამოხატვის თავისუფლების ნაწილად მიიჩნევა.

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად მიიჩნევა საქმე - *R.A.V. v. City of St. Paul*<sup>612</sup>. ამ საქმეში, 14 წლის თეთრკანიანმა მოზარდმა მეგობრებთან ერთად დაწვა ჯვარი ქალაქში მცხოვრები ერთადერთი შავკანიანი ოჯახის სახლის წინ. დროშის დაწვა ავლენდა, რომ ეს შავკანიანთა ოჯახი, სულ მცირე, ამ ახალგაზრდისათვის არ იყო მისაღები სამეზობლოში. მოზარდს ბრალი წარუდგინეს მინესოტას შტატის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად. კოდექსის მიხედვით „პირი, რომელიც საჯარო ადგილზე ან კერძო საკუთრებაში განათავსებს ცეცხლწაკიდებული ჯვრის ან სვასტიკის სიმბოლოს, ობიექტს, დასახელებას, აღწერილობას ან წარწერას და თუ პირი აცნობიერებს ან აქვს გონივრული საფუძველი გააცნობიეროს, რომ ეს ქმედება იწვევს სხვა პირების გაბრაზებას, შეურაცხყოფას ან შიშს მათი რასის, კანის ფერის, წარმოშობის, რელიგიის, მსოფლმხედვის ან სქესის გამო, ჩადის დანაშაულს.“<sup>613</sup> ამერიკის უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ მინესოტას შტატის

---

<sup>609</sup> იქვე, 175.

<sup>610</sup> იქვე, 175. ასევე: ვინგროუვ გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Wingrove v United Kingdom*), 1996 წლის 25 ნოემბერი.

<sup>611</sup> First Amendment of the Constitution of the United States, <[https://www.law.cornell.edu/constitution/first\\_amendment](https://www.law.cornell.edu/constitution/first_amendment)> [ბოლოს ნანახია: 18.02.2022].

<sup>612</sup> *R.A.V. v. City of St. Paul*, Jun 22, 1992.

<sup>613</sup> გამოხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, თავისუფლების ინსტიტუტი, ტომი I, 2005, 85-87; ასევე: სიძულვილის ენა(სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის), GDI, 2014, 9-10.

---

სისხლის სამართლის კოდექსი გაუმართლებლად ერეოდა გამომხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში და შესაბამისად კონსტიტუციის პირველ შესწორებას ეწინააღმდეგებოდა. მოსამართლე სკალიამ განმარტა, რომ ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფოებრივი ინტერესია, თუმცა მან მიიჩნია, რომ ამ ინტერესის დაცვა შესაძლებელია გამომხატვის თავისუფლების შეუზღუდავად<sup>614</sup>. საქმეზე - R.A.V. v. St. Paul, აშშ-ს სასამართლომ გამოიყენა *overbreadth doctrine*. ეს დოქტრინა დამახასიათებელია გამომხატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელისთვის და გულისხმობს, რომ გამომხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ნორმა ინტერპრეტირდება იმდენად ფართოდ, რომ კრძალავს, როგორც კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცულ, ისე დაუშვებელ გამომხატვას. *overbreadth doctrine* იყენებს აშშ-ს უზენაესი სასამართლო გამომხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით საქმეების განხილვისას<sup>615</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტით „გამომხატვის თავისუფლების ზღვარი გაივლის იქ, სადაც გამომხატვა კონსტიტუციით დაცულ სიკეთეს, კონსტიტუციით გაცხადებულ პრინციპებსა და ღირებულებებს შეუქმნის საფრთხეს. კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა კონსტიტუციით დაცული სიკეთის უზრუნველსაყოფად შეიძლება განხორციელდეს.“<sup>616</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლთან (ძველი რედაქციით) დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა, რა შეიძლებოდა მიჩნეულ ყოფილიყო სხვათა უფლებების დარღვევად რწმენის თავისუფლებასთან მიმართებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ამ დროს სწორედ წარმოიშობა ღირებულებათა კონფლიქტი, რომელიც სამართლიანი ბალანსის მიღწევას მოითხოვს<sup>617</sup>. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ ამ დროს საჭიროა მოხდეს კერძო და საჯარო ინტერესების დაბალანსება და გონივრული ბალანსის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება<sup>618</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილისთვის, უმრავლესობის აზრს

---

<sup>614</sup> გამომხატვის თავისუფლება აშშ-სა და ევროპაში, თავისუფლების ინსტიტუტი, ტომი I, 2005, 85-87; ასევე: სიმუღილის ენა(სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის), GDI, 2014, 9-10.

<sup>615</sup> ავალანი, თ., გამომხატვის თავისუფლება vs. სასამართლოს ავტორიტეტი აშშ-ს კონსტიტუციის პირველი შესწორების მიხედვით და მისი გავლენა საქართველოს კანონმდებლობაზე, სოციალურ მეცნიერებათა ვექტორები, სეუ, N 2 2021, 23.

<sup>616</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის #2/482,483,487,502 გადაწყვეტილება საქმეზე - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის.- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები - ზვიად მიძიგური და კახა კუკუა, საქართველოს ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშყარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.90;

<sup>617</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბერი #1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II.3.45;

<sup>618</sup> იქვე, II.3.8, 46-49;



---

და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება ადამიანთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა დღევა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“<sup>619</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის მეორე პუნქტი გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ საფუძვლად საზოგადოებრივ მორალს მიიჩნევს, რაც გამოსატვის შინაარსში შესვლის შესაძლებლობას ქმნის<sup>620</sup>. საქართველოს კონსტიტუცია ევროპული კონვენციის მინიმალური სტანდარტისგან განსხვავებით, გამოსატვის თავისუფლების დაცვის მაღალ სტანდარტს ავითარებს და საზოგადოებრივი მორალის დაცვის საფუძვლით გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვას არ ითვალისწინებს<sup>621</sup>.

#### 6.6. სიძულვილის ენა და საქართველოს კანონმდებლობა

„სიტყვის და გამოსატვის თავისუფლების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად „სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზუნაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.“<sup>622</sup> „სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი არ განმარტავს სიძულვილის ენას და არც იმას აღნიშნავს, რამდენად შედის იგი გამოსატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი და საკონსტიტუციო სსამართლოს სტანდარტი გამოსატვის თავისუფლების შინაარსობრივად და თვალსაზრისობრივად ნეიტრალურ რეგულირებაზეა ორიენტირებული და გამოსატვის თავისუფლების აშშ-ს მოდელის გავლენას განიცდის. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი გამოსატვის თავისუფლების უფრო მაღალ სტანდარტს აწესებს, ვიდრე

---

<sup>619</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სსამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II- 40

<sup>620</sup> ავალიანი თ., გამოსატვის თავისუფლების შეზღუდვა სსამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სსამართლოს სტანდარტებთან; ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სსამართლის უზენაესობა სტატიათა კრებული, კონსტანტინე კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 63.

<sup>621</sup> იქვე, 63,

<sup>622</sup> „სიტყვისა და გამოსატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლი, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=6>>.

---

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომელიც გამოხატვის თავისუფლების შინაარსში შესვლის შესაძლებლობას იძლევა<sup>623</sup>.

კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ მე-4 მუხლი, აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას გარანტირებს, იგი აბსოლუტური პრივილეგიით არის დაცული და სრულად და უპირობოდ გამორიცხავს პასუხისმგებლობას აზრის გამოხატვის გამო<sup>624</sup>.

როგორც აღინიშნა, საქართველოში სიძულვილის ენა არ არის კრიმინალიზებული სისხლის სამართლის კოდექსით. გამოძიება იწყება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს ძალადობის კონკრეტულ საფრთხეს. გამოძიება იწყება სისხლის სამართლის კოდექსის 239<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც დანაშაულად აცხადებს ძალადობრივი ქმედებისკენ საჯაროდ მოწოდებას<sup>625</sup>.

სიძულვილის ენის რეგულირება დღეს დღეობით ძირითადად მედია მაუწყებლობასთან დაკავშირებით ხდება<sup>626</sup>. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის თანახმად „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც რაიმე ფორმით რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან სხვაგვარი შუღლის გავივების, რომელიმე ჯგუფის დისკრიმინაციის ან ძალადობისკენ წაქეზების აშკარა და პირდაპირ საფრთხეს ქმნის.“<sup>627</sup> ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით „იკრძალება ისეთი პროგრამების გადაცემა, რომლებიც მიმართულია პირის ან ჯგუფის ფიზიკური შესაძლებლობის, ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის, მსოფლმხედველობის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან სხვა თვისებისა თუ სტატუსის გამო შეურაცხყოფისაკენ, დისკრიმინაციისაკენ ან ამ თვისებისა თუ სტატუსის განსაკუთრებული ხაზგასმისაკენ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს აუცილებელია პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს არსებული შუღლის ილუსტრირებას.“<sup>628</sup> მაუწყებელთა ქცევის კოდექსის 33-ე მუხლი დეტალურად გაწერს სახელმძღვანელო რეკომენდაციებს მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ტოლერანტობის

---

<sup>623</sup>ავალიანი თ., გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან; ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა სტატიათა კრებული, კონსტანტინე კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 62.

<sup>624</sup>ავალიანი თ., გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის დასაცავად: ქართული მოდელის შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან; ადამიანის უფლებათა დაცვა, პანდემია და სამართლის უზენაესობა სტატიათა კრებული, კონსტანტინე კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2021, 62.

<sup>625</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239<sup>1</sup>-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=238>

<sup>626</sup> სიძულვილის ენა(სამართლებრივი ჩარჩოები საქართველოსთვის), GDI, 2014, 16. <https://gdi.ge/uploads/other/0/190.pdf>

<sup>627</sup> „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=62>

<sup>628</sup> „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=62>

---

პრინციპების დაცვის შესახებ<sup>629</sup>. სიძულვილის ამკრძალავ რეგულირებებს ითვალისწინებს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, რომელიც თვირეგულირების მექანიზმია და ჟურნალისტის ეთიკური ქცევის სტანდარტებს ადგენს. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მე-7 პრინციპი განმარტავს, რომ „ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით“<sup>630</sup>.

სიძულვილის ამკრძალავ ნორმებს ითვალისწინებს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის მე-11 მუხლის თანახმად „დაუშვებელია შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისას და ჩატარებისას მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთი მოწოდება, რომელიც არის ომისა და ძალადობის პროპაგანდა, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“<sup>631</sup>.

ჩარჩო კონვენციის მრჩვეულთა კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, სისტემატურად და დროულად დაგმოს შეუწყნარებლობის ყველა შემთხვევა, განსაკუთრებით კი საჯარო გამოსვლებში, რათა უზრუნველყოს რასობრივ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული არსებული კანონმდებლობის ეფექტური იმპლემენტაცია და უზრუნველყოს სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები აუცილებელი ტრენინგებით, რითაც გარანტირებული იქნება მისი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალთან, გამონატვის თავისუფლებასთან მომართებაში<sup>632</sup>.

---

<sup>629</sup> მაუწყებელთა ქვეყის კოდექსის 33-ე მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/82792?publication=0#>

<sup>630</sup> ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები, <https://www.qartia.ge/ka/mthavari-gverdis-aikonebi/article/30513-preambula> [ბოლოს ნანახია: 18.03.2022].

<sup>631</sup> „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=16>

<sup>632</sup> მრჩვეულთა კომიტეტის 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002, 27.

---

## VII. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების მომწესრიგებელი პრობლემური დებულებები საქართველოს კონსტიტუციაში

წინამდებარე თავში გაანალიზებულია ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების დაცვის ქართული კონსტიტუციური სტანდარტი და პრობლემური კონსტიტუციური დებულებები. საქართველოს კონსტიტუციის ნორმები შეფასებულია საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით.

### 7.1 საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის სტანდარტი

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი სპეციალურ, საგანგებო ნორმას წარმოადგენს, რომელიც უმცირესობების უფლებებს იცავს და ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობებისთვის დამატებით დაცვის გარანტიებს და სპეციალურ უფლებებს ადგენს<sup>633</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა კონსტიტუციის 38-ე მუხლზე<sup>634</sup> და განმარტა, რომ „დასახელებული მუხლი უნდა განვიხილოთ როგორც სპეციალური ნორმა (*lex specialis*), რადგანაც იგი ადგენს თანასწორობას, როგორც უმცირესობათა უფლებების დაცვის ერთ-ერთ ფორმას“<sup>635</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი, როგორც სპეციალური ნორმა მე-11 მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით კონკრეტიზებულია ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობების დაცვაზე. უმცირესობების კონკრეტული ნიშნების გამოყოფა თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან. სწორედ ეთნიკური, რელიგიური და ლიგვისტური ნიშნით ხდებიან უმცირესობები ყველაზე მეტად დისკრიმინირებულნი და ამიტომაც ახდენს საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი ცალკეული ნიშნების გამოყოფას<sup>636</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2006 წლის 31 მარტის განჩინებაში განმარტა უმცირესობის ცნება, კერძოდ: „უმცირესობა არის სახელმწიფოს დანარჩენ მოსახლეობაზე რიცხობრივად მცირე ჯგუფი, რომელსაც არ უკავია გაბატონებული პოზიცია და რომლის წევრებს ახასიათებთ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი ნიშნები, რომლებიც მას სხვებისგან განასხვავებენ და გამოხატავს საკუთარი კულტურის, ტრადიციების, რელიგიის ან ენის შენარჩუნებისკენ მიმართულ სოლიდარობის

---

<sup>633</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>>.

<sup>634</sup> საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 38-ე მუხლი

<sup>635</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინება საქმეზე - იურიდიული პირები - ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი "მიზანი-2005"-ის თავმჯდომარე - ნოდარ ცოტნაიაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; პარ.4.

<sup>636</sup> გოცირიძე ე., მუხლი 38, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 468.

---

გრძნობას<sup>637</sup>. იგივე დეფინიცია გაკეთებულია საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის განჩინებაში<sup>638</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს უმცირესობებზე მსჯელობისას, არ აქვს მითითებული „სახელმწიფოს მოქალაქეობის“ კრიტერიუმზე, რაც საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით არის გათვალისწინებული. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი „მოქალაქეობის კრიტერიუმს“ უმცირესობის მე-11 მუხლით დაცულ სფეროში მოსახვედრად სავალდებულოდ მიიჩნევს.

ჯერ კიდევ 2014 წლის 20 მაისს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ წინადადებებით მიმართა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას, რომელიც ეხებოდა იმას, რომ საქართველოს კონსტიტუციით დაზუსტებული ყოფილიყო, ეროვნულ ნიშანში მოიზრებოდა თუ არა პირის მოქალაქეობრივი სტატუსიც<sup>639</sup>.

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვის ზოგადი დებულება უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ზუსტად ისეთივე კონსტიტუციურ გარანტიას წარმოადგენს, როგორც ნებისმიერი ადამიანისთვის, მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი მათთვის დამატებით ქმნის სპეციფიური უფლებებით ინდივიდუალურად თუ ერთობლივად სარგებლობის შესაძლებლობას“<sup>640</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი უმცირესობების სპეციალურ უფლებებს განსაზღვრავს. კერძოდ, კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ“<sup>641</sup>.

---

<sup>637</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 31 მარტის #2/8/366 განჩინება საქმეზე - იურიდიული პირები - ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომელთა, ვეტერანთა და ომის მონაწილეთა უფლებების დაცვის საერთაშორისო კავშირი "მიზანი-2005"-ის თავმჯდომარე - ნოდარ ცოტნიაშვილი და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; პარ.4.

<sup>638</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის #2/10/383 განჩინება საქმეზე - საქართველოს მოქალაქეები - ნორად ცოტნიაშვილი, ზადრი მაჭარაშვილი, შოთა სომხიშვილი, პეტრე საფნიანი, დიმიტრი გოგოლაძე; ჯარიბეკ პარადიანი, ლუდვიგ გრიგორიანი, შალიკო ბეჟუაშვილი, ასიმ ჩიტრეკაშვილი, ლევან თოკმაჭიანი, ნორიკ სუმბათიანი, ივანე როსტიაშვილი, რაფილ სხვაჩხიანი, არჩილ ფუხაშვილი, სერგო ეგიაზაროვი, გივი ჭაბუკიანი — საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

<sup>639</sup> საქართველოს საკონსტიტუციო კომისია შექმნილი იყო საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 4 ოქტომბრის დადგენილებით.

<sup>640</sup> ქეთევან ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, წიგნი მეორე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2021, 112.

<sup>641</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>> .

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი არის უმცირესობების თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტია<sup>642</sup>. „სოციალური იდენტობის დაცვის შეუძლებლობის პირობებში, თავისუფალ განვითარებას პერსპექტივა არ აქვს. შესაბამისად, ასეთი გარანტიების არარსებობა თავისთავად გულისხმობს უმცირესობის წარმომადგენელთა გაწირვას არა მხოლოდ დისკრიმინაციისთვის, არამედ მათი ღირსების შელახვისთვისაც“<sup>643</sup>. საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი გარანტირებს როგორც უმცირესობათა წარმომადგენლების, როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური უფლებების დაცვას.

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი ეთნიკურ უმცირესობებთან ერთად იხსენიებს რელიგიური და ლინგვისტურ, იგივე ენობრივ უმცირესობებს.

„რელიგიურ უმცირესობებს“ განეკუთვნებიან ის ჯგუფები, რომელთა რელიგიაც განსახვავდება დომინანტური რელიგიისგან. შესაბამისად, საქართველოში მართლმადიდებლური რელიგიის გარდა, ყველა სხვა რელიგია უმცირესობის რელიგიად მიიჩნევა“<sup>644</sup>. „ენობრივი უმცირესობა“ კი გულისხმობს ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელთა მშობლიური ენა განსხვავდება უმრავლესობის მშობლიური ენისაგან, რომელიც, ჩვეულებრივ, სახელმწიფო ენაა“<sup>645</sup>. „რადგან საქართველოში უმრავლესობა ქართულად საუბრობს და იგი სახელმწიფო ენაა, ყველა სხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები „ენობრივ უმცირესობებად“ მიიჩნევიან“<sup>646</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში განვითარებული შეხედულების თანახმად „ენობრივი უმცირესობისადმი ვინმეს მიკუთვნებისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, ფლობს თუ არა იგი უმრავლესობის ენას და რამდენად სრულყოფილად. მთავარია, რომელს მიიჩნევს იგი თავის მშობლიურ ენად, როგორც კომუნიკაციის მისთვის ყველაზე უფრო მისაღებ საშუალებას.“<sup>647</sup>

## 7.2. საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილი და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან

საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი<sup>648</sup> კრძალავს პოლიტიკური პარტიის შექმნას ტერიტორიული პრინციპით, რაც 2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებამდე, მხოლოდ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“

<sup>642</sup> ქეთევან ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, წიგნი მეორე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2021, 112.

<sup>643</sup> იქვე, 112.

<sup>644</sup> გოცირიძე ე., მუხლი 38, საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, 470.

<sup>645</sup> იქვე, 470.

<sup>646</sup> იქვე, 470

<sup>647</sup> იქვე, 470.

<sup>648</sup> საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>>.

---

ორგანული კანონით იყო გათვალისწინებული<sup>649</sup>. 2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, პოლიტიკური პარტიის ტერიტორიული ნიშნით შექმნის აკრძალვა კონსტიტუციის დონეზე იქნა განმტკიცებული. საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი საკმაოდ ღრმად ერევა გაერთიანების თავისუფლების დაცვის სფეროში, რადგან იგი ტერიტორიული ნიშნით კრძალავს როგორც პარტიის საქმიანობას, ისე შექმნას. საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი პოლიტიკური პარტიის პრევენციულ აკრძალვას ითვალისწინებს (ჯერ კიდევ რეგისტრაციის ეტაპზე), რაც ნორმას მეტ ბუნდოვანებას და არაგანჭვრეტადობას სძენს. ამასთანავე, ნორმის ბუნდოვანებიდან გამომდინარე, მაღალია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკი.

ამგვარი ბუნდოვანი ნორმები ეთნიკური უმცირესობებისთვის „მსუსხავი ეფექტის“<sup>650</sup> მატარებელია, რითაც უმცირესობები გადაჭარბებული ჩარევის შიშით იძულებულნი არიან თავი შეიკავოს პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებისგან, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინტერესებს, და ამგვარად უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმეებში<sup>651</sup>.

2017-2018 წლების საკონსტიტუციო რეფორმის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ იქნა გაკრიტიკებული, როგორც უმცირესობების გაერთიანების თავისუფლებით სარგებლობისათვის საფრთხის შემქმნელი დებულება. ვენეციის კომისიამ არაერთხელ გამოთქვა უარყოფითი შეფასება საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიმართ და რეკომენდაცია გაუწია საქართველოს ხელისუფლებას სხვა ნაკლებად მზღლდავი და აგრესიული ზომების გამოყენებასთან დაკავშირებით<sup>652</sup>.

ჩარჩო კონვენციის მრჩველთა კომიტეტის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტი „აღიარებს რა ლეგიტიმურ ინტერესს და უდიდეს მნიშვნელობას სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნებაში და ასხენებს, რომ ჩარჩო კონვენციის პრეამბულა ცალსახად იმეორებს სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპებს, კომიტეტს მიაჩნია, რომ მიუხედავად ამისა, ამგვარ ზოგად აკრძალვას შეიძლება ჰქონდეს შემასუსტებელი გავლენა პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებაზე, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინტერესებს, და ამგვარად უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმეებში და არ მიიჩნევს, რომ ეს შესაბამისი მიზნის

---

<sup>649</sup> საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ.“

[-https://matsne.gov.ge/document/view/28324?publication=36-](https://matsne.gov.ge/document/view/28324?publication=36)

<sup>650</sup> ვაინაი უნგრეთის წინააღმდეგ (VAJNAI v. HUNGARY), 2008 წლის 8 ოქტომბერი, პარ. 54. კამპანა და მაცარი რუმინეთის წინააღმდეგ (CUMPĂNĂ AND MAZĂRE v. ROMANIA), 2004 წლის 17 დეკემბერი, პარ. 114.

<sup>651</sup> ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩველთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტს მიღებული შესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002, 29-30.

<sup>652</sup> ვენეციის კომისიის დასკვნები: 876/2017, CDL-AD(2017)023; par.41. 918/2018, CDL-AD(2018)005; par.40.

პროპორციულია.<sup>653</sup> კომიტეტის შეფასებით „შეზღუდვები პოლიტიკურ თავისუფლებებზე, როგორცაა გაერთიანების თავისუფლება, ერთდროულად უნდა იყოს დადგენილი კანონით და დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით, არულობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვის მიზნით, ან ამ ბოლო თვალსაზრისით, შეზღუდვის პროპორციულობა განსაკუთრებით მოითხოვს, რომ იგი შეფასდეს საქმის ინდივიდუალური მიდგომის საფუძველზე, დადგენილი პროცედურების, მათ შორის ეფექტური სამართლებრივი საშუალებების მეშვეობით, ვიდრე პრინციპულად გამოირიცხოს“<sup>654</sup>. შესაბამისად, კომიტეტმა მესამე დასკვნაში საქართველოს ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოუწოდა „განიხილოს საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის მესამე ნაწილი და სხვა ნაკლებად აგრესიული ზომების მიღებით, წაახალისოს ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლების მხრიდან, თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებების გაძლიერების მიზნით, პოლიტიკური პარტიების შექმნა“<sup>655</sup>.

### *7.3. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან*

2017 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებამდე, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის თანახმად<sup>656</sup> რწმენის, სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად „სხვათა უფლებების დაცვა“ იყო მიჩნეული<sup>657</sup>. საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლამდე რედაქციით, რწმენის, სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელი იყო, თუ მათი გამოვლინება ლახავდა სხვათა უფლებებს. ვენეციის კომისიამ „სხვათა უფლებების დაცვის“ ლეგიტიმური მიზანი ფართოდ ინტერპრეტირებად დებულებად მიიჩნია, რომელიც ქმნიდა „სამიშროებას იმისა, რომ იმისთვის, რათა დამყარდეს სათანადო წონასწორობა რწმენისა და სინდისის თავისუფლების უფლებასა და სხვა საწინააღმდეგო ინტერესებს შორის, ამ უფლების მოცულობა ზედმეტად შეზღუდვითადა განიმარტება, ან შეზღუდვის საფუძველი „სხვათა უფლებების დარღვევა“ განიმარტება (ზედმეტად) განვრცობითად.“<sup>658</sup> ვენეციის კომისიამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას,

<sup>653</sup> ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002, 29-30.

<sup>654</sup> იქვე, 29-30.

<sup>655</sup> ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ჩარჩო კონვენციის მრჩეველთა კომიტეტი, 2019 წლის 7 მარტს მიღებული მესამე დასკვნა საქართველოს შესახებ, ACFC/OP/III(2019)002, 29-30.

<sup>656</sup> ძველი მოწერილებით საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი.

<sup>657</sup> საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქციის მე-19 მუხლი.

<sup>658</sup> ვენეციის კომისიის მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტზე, CDL-AD(2017)013, პარ.68.



---

კონსტიტუციით რწმენის თავისუფლების შეზღუდვის ნათელი და განჭვრეტადი ლეგიტიმური მიზნის შემუშავება და მისი მოყვანა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის სტანდარტებთან<sup>659</sup>. კერძოდ, ვენეციის კომისიამ საქართველოს მიმართ გასცა რეკომენდაცია, რომ მას კონსტიტუციაში განესაზღვრა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ლეგიტიმური მიზნები, როგორცაა: საზოგადოებრივი უსაფრთხოება, საჯარო წესრიგის დაცვა, ჯანმრთელობა და მორალი<sup>660</sup>.

2017-2018 წლებში საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, საქართველოს კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პირველადი ვარიანტიდან ვენეციის კომისიის რეკომენდაციით<sup>661</sup>, შემცირდა რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებების შეზღუდვის საფუძვლები. საკონსტიტუციო ცვლილებების მონახაზის თავდაპირველ ვარიანტში გათვალისწინებული იყო რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა ეროვნული უსაფრთხოების, დანაშაულის პრევენციის და მართლმსაჯულების განხორციელების ლეგიტიმური მიზნებიდან გამომდინარე<sup>662</sup>. ვენეციის კომისიის შეფასებით, ეროვნული უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების განხორციელების ლეგიტიმური მიზანი არ იყო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით გათვალისწინებული და შესაბამისად, არ იყო მიზანშეწონილი მისი კონსტიტუციის გათვალისწინება. ვენეციის კომისიამ მოუწოდა საქართველოს, კონსტიტუციის მე-16 მუხლი შესაბამისობაში მოეყვანა კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნებთან და მასში არ გაეთვალისწინებინა ის ლეგიტიმური მიზნები, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ განსაზღვრავდა<sup>663</sup>.

რწმენის თავისუფლების შეზღუდვის „ეროვნული უსაფრთხოების“ ლეგიტიმურ მიზანთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა საქმეზე - *Nolan and K. v. Russia*<sup>664</sup>, სადაც განმარტა, რომ მხოლოდ ეროვნული უსაფრთხოების მიზნით რწმენის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების შეზღუდვა შეუთავსებელი ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტებთან<sup>665</sup>. სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოს არ არის უფლებამოსილი გამოიყენოს მხოლოდ ეროვნული

---

<sup>659</sup> იქვე, პარ.68.

<sup>660</sup> ვენეციის კომისიის მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტზე, CDL-AD(2017)013, პარ.68.

<sup>661</sup> Venice Commission Opinion on the draft revised Constitution as adopted by the Parliament of Georgia at the second reading on 23 June 2017, CDL-AD(2017)023.

<sup>662</sup> [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2017\)023-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2017)023-e) [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>663</sup> Venice Commission Opinion on the draft revised Constitution, CDL-AD(2017)013,

<sup>664</sup> [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2017\)013-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2017)013-e) [ბოლოს ნანახია: 20.02.2022].

<sup>665</sup> ვენეციის კომისიის მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტზე, CDL-AD(2017)013, პარ.68.

<sup>664</sup> ნოლანი და ქ. რუსეთის წინააღმდეგ (*Nolan and K. v. Russia*), 2009 წლის 12 თებერვალი.

<sup>665</sup> პარ.61-75.

---

უსაფრთხოების დაცვის ლეგიტიმური მიზანი რწმენის, რელიგიისა და სინდისის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები სწორედ მკაცრი და შეზღუდული ინტერპრეტაციით უნდა განიმარტონ<sup>666</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება“<sup>667</sup>. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ „ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით“<sup>668</sup>. რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება მოიცავს ორ სფეროს forum internum (რელიგიური და მორალური გრძნობები, შინაგანი რწმენა (აზროვნება) და forum externum (რელიგიური და მსოფლმხედველობრივი აღმსარებლობის თავისუფლება (მოქმედება))<sup>669</sup>. რწმენის, სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლების შინაგანი სფერო (აზროვნების დონე) აბსოლუტური ხასიათისაა, რაშიც ჩარევა როგორც ვალიდურიც არ უნდა იყოს ლეგიტიმური მიზანი დაუშვებელია. შეზღუდვას ექვემდებარება რწმენის, სინდისის და აღმსარებლობის თავისუფლების გარეგნული გამოვლენა (მოქმედების სფერო)<sup>670</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით, რწმენის თავისუფლების შეზღუდვა შესაძლებელია სამი ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე, კანონით დადგენილი წესით და თუ ეს აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოებისთვის<sup>671</sup>. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირებიდან ვლინდება, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი შესაძლებელს ხდის რწმენის თავისუფლების შინაგან სფეროს (აზროვნების სფეროს) შეზღუდვას, რაც შეუთავსებელია ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებთან<sup>672</sup>. აზროვნების სფეროში ჩარევა შეიძლება განხორციელდეს „იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური და მორალური ზემოქმედების მიზნით, დაშინებით, იძულებით ან იმ მიზნით, რომ ინდივიდმა უარი თქვას საკუთარ რწმენაზე და მიიღოს სხვა აღმსარებლობა“<sup>673</sup>. რწმენის თავისუფლების შინაგან სფეროში ასეთი ჩარევა ვერასდროს გამართლდება და ვერ იქნება რწმენის

---

<sup>666</sup> ნოლანი და ქ. რუსეთის წინააღმდეგ (Nolan and K. v. Russia), 2009 წლის 12 თებერვალი, პარ.61-75.

<sup>667</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის პირველი პუნქტი.

<sup>668</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის მეორე პუნქტი.

<sup>669</sup> კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, თბ., 2019, 160.

<sup>670</sup> იქვე, 164.

<sup>671</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი.

<sup>672</sup> კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, თბ., 2019, 165.

<sup>673</sup> კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, თბ., 2019, 164. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ. 12.

---

თავისუფლების შეზღუდვის თანაზომიერი<sup>674</sup>. დაუშვებელია, პირმა იძულებით შეიცვალოს რწმენა საზოგადოებრივი უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის ლეგიტიმური მიზნებიდან გამომდინარე<sup>675</sup>. საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის ფორმულირება ეწინააღმდეგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს კონვენციის მე-9 მუხლთან დაკავშირებით.

2017 წლამდე რედაქციით საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი ითვალისწინებდა რწმენის თავისუფლების შეზღუდვას თუ მისი გამოვლენა ლახავდა სხვათა უფლებებს. საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქცია დასაშვებად მიიჩნეოდა „სხვათა უფლებების დაცვის“ ლეგიტიმური მიზნიდან გამომდინარე რწმენის თავისუფლების მხოლოდ გარეგნული გამოვლენის შეზღუდვას<sup>676</sup>. საქართველოს კონსტიტუციის ძველი რედაქციის მე-19 მუხლი შეესაბამებოდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის მოთხოვნებს, რომელიც ასევე, რწმენის თავისუფლების მხოლოდ გარეგნული გამოვლენის შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა, თუ მისი „გამჟღავნება“ არ ლახავს სხვათა უფლებებს<sup>677</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „რწმენის თავისუფლება ერთგვარად მსოფლმხედველობის თავისუფლებაა, რადგან შესაძლებლობა, იცხოვრო და განვითარდე საკუთარი ინტერესების, სურვილის, გემოვნების, წარმოდგენების და შეხედულებების, ამასთან შესაძლებლობების შესაბამისად, ქმნის ადამიანის „მე“-ს, მის შინაარსს, პიროვნებას, განსაზღვრავს მის დანიშნულებას პირად, კერძო გარემოცვასა თუ საზოგადოებაში, ორიენტაციას აძლევს მის ცხოვრებას. ამიტომაც ამ თავისუფლებაში უხეში, გადამეტებული ჩარევა, ისეთი მოპყრობა, რომელიც იწვევს ადამიანის აზროვნების წესის შეცვლას, იწვევს მის სულიერ ტანჯვას“<sup>678</sup>. საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ „კონსტიტუციის მე-19 მუხლი ითვალისწინებს ადამიანის შინაგანი სფეროს, მისი შინაგანი სამყაროს აბსოლუტურ დაცვას და ადგენს ფარგლებს, შეზღუდვის შესაძლებლობას მათი გამოვლენისას“<sup>679</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე - *Darby v. Sweden*, რწმენის თავისუფლების შინაგან სფეროზე იმსჯელა და მასში დაუშვებელ ჩარევად მიიჩნია შვედეთის კანონმდებლობის დებულებები, რომლებიც განმცხადებელს აიძულებდა

---

<sup>674</sup> კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, თბ., 2019, 165.

<sup>675</sup> იქვე, 165.

<sup>676</sup> საქართველოს კონსტიტუციის 2017 წლამდე რედაქციის მე-19 მუხლი.

<sup>677</sup> კუბლაშვილი კ., ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მეხუთე გამოცემა, თბ., 2019, 165.

<sup>678</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ. 6.

<sup>679</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის N1/1/477 გადაწყვეტილება საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, პარ. 14.

---

შვედეთის ეკლესიისთვის სპეციალური გადასახადის გადახდას, მიუხედავად იმისა, რომ გი არ იყო ამ ეკლესიის მიმღევი<sup>680</sup>.

2018 წლის საკონსტიტუციო რეფორმის შედეგად, არსებითად გაუარესდა რელიგიის თავისუფლების დაცვის სტანდარტი საქართველოს კონსტიტუციაში. საქართველოს კონსტიტუციის მე-8 მუხლმა რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლება მართლმადიდებლური ეკლესიის წვლილის აღიარებით შემოზღუდა, რაც არსებითად აუარესებს რწმენის თავისუფლების დაცვის უფლებრივ სტანდარტს და სხვა კონფესიებთან შედარებით დომინანტური რელიგიის პრივილეგიებულ მდგომარეობას უსვამს ხაზს<sup>681</sup>.

რწმენის თავისუფლებისა და დომინანტი მართლმადიდებლური რელიგიის განსაკუთრებული როლის ერთ სიბრტყესა და ერთ შინაარსობრივ კონტექსტში მოაზრება არსებითად ლახავს კონფესიათა თანასწორობის პრინციპს და სახელმწიფოს კონსტიტუციურ იდეას აზიანებს. კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-8 მუხლი რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას დომინანტი რელიგიის განსაკუთრებული როლით პირობადადებულს ხდის, რაც თანსწორობის პრინციპს ეწინააღმდეგება<sup>682</sup>.

---

<sup>680</sup> დარბი შვედეთის წინააღმდეგ (Darby v. Sweden), 1990 წლის 24 სექტემბერი.

<sup>681</sup> ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) შეფასება კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვაზე, 2017. ხელმისაწვდომია: <<http://tdi.ge/ge/statement/tdi-shepaseba-konstituciashi-religiis-tavisuplebis-shegzdvaze>> [ბოლოს ნანახია: 23.04.2022]

<sup>682</sup> ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის (TDI) შეფასება კონსტიტუციაში რელიგიის თავისუფლების შეზღუდვაზე, 2017. ხელმისაწვდომია: <<http://tdi.ge/ge/statement/tdi-shepaseba-konstituciashi-religiis-tavisuplebis-shegzdvaze>> [ბოლოს ნანახია: 23.04.2022]

---

## VIII. უმცირესობების უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

ადამიანის უფლებების დაცვის ქმედითობის უზრუნველყოფის მიზნით, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ქმნიან უფლებების დაცვის მექანიზმებს სასამართლო, კვაზისასამართლო და არასასამართლო ორგანოების სახით. ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო, კვაზისასამართლო და არასასამართლო ორგანოები ხელს იწყობენ ადამიანის უფლებების რეალიზებას და უფლებებით სარგებლობას პრაქტიკულს ხდიან.

### 8.1 ევროპის საბჭოს მექანიზმები

ევროპის საბჭოს ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვის ყველაზე ეფექტიანი მექანიზმს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წარმოადგენს<sup>683</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაფუძნდა. ევროპული სასამართლოს ფუნქცია სახელმწიფოების მიერ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებულ უფლებებზე ზედამხედველობაა. მისი გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა, რადგან მის აღსრულებას ზედამხედველობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი როლი იმაშიც ვლინდება, რომ მას შეუძლია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში დაავალოს სახელმწიფოებს გარკვეული ქმედებების შესრულება ან მისგან თავის შეკავება. სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და დამატებითი ოქმების კონკრეტული მუხლების დარღვევა და მომჩივნის სასარგებლოდ მოპასუხე სახელმწიფოს სამართლიანი დაკმაყოფილების სახით მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაავალოს. მიღებული გადაწყვეტილებების ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შესაძლოა მოპასუხე სახელმწიფოს დაავალოს ინდივიდუალური და ზოგადი ზომების გატარება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის და დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად. ზოგადი ზომების სახით, სასამართლომ შესაძლოა მოპასუხე სახელმწიფოს მოსთხოვოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის შეცვლა მათი კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე მოქმედებს. იგი იხილავს კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებულ საჩივრებს, თუ ევროპულ დონეზე არ ხდება დარღვეული უფლების აღდგენა, უფლების ეფექტიანი

---

<sup>683</sup> ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>>

დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმის არარსებობის გამო<sup>684</sup>. სუბსიდიარობის პრინციპის თანახმად, ადამიანის უფლებების დაცვის პირველადი ვალდებულება ეროვნულ სახელმწიფოებს ეკისრებათ, რომელთაც ეროვნული კანონმდებლობის კონვენციასთან შესაბამისობის საკითხის გადაწყვეტის ვალდებულება აქვთ. ევროპული სასამართლო მხოლოდ აკონტროლებს ეროვნულ სახელმწიფოებს მიერ ადამიანის უფლებების დაცვას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის სუბსიდიარული, დამატებითი მექანიზმი, რომელიც არ არის სასამართლო ხელისუფლების მეოთხე ინსტანცია ან ეროვნული სასამართლო ხელისუფლების ზემდგომი ორგანო<sup>685</sup>. იგი არ არის უფლებამოსილი ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებათა რევიზია მოახდინოს ან/და შეცვალოს და გააუქმოს ისინი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იხილავს საქმეს და ადგენს დაირღვა თუ არა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და დამატებითი ოქმებით გარანტირებული უფლებები. სუბსიდიარობის პრინციპი ეფუძნება კონვენციის მე-13 მუხლის დაშვებადობას, რომ ეროვნულ დონეზე არსებობს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება, რომელიც დარღვეული უფლების აღდგენის ეფექტიან საშუალებას იძლევა<sup>686</sup>. ადამიანის უფლებების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივრის დასაშვებობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა<sup>687</sup>.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმიანობა პროპორციულობის პრინციპს ეფუძნება, რომელიც საჯარო და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დადგენაში ვლინდება. პროპორციულობის პრინციპს მჭიდროდ უკავშირდება „თავისუფალი შეფასების არის“ დოქტრინა, რომელიც კონვენციითა და დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დაცვასთან დაკავშირებით, ეროვნულ სახელმწიფოებს „თავისუფალი შეფასების არეს“ ანიჭებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ეს არე ფართო შეფასების თავისუფლებით სარგებლობს, ხოლო გარკვეულ საკითხებში „თავისუფალი შეფასების არე“ შედარებით ვიწროდ განიმარტება<sup>688</sup>.

2021 წლის 1 აგვისტოს ძალაში შევიდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-15 დამატებითი ოქმი, რომლის საფუძველზეც კონვენციის პრეამბულას დაემატა დათქმა სუბსიდიარობის პრინციპსა და „თავისუფალი შეფასების არესთან“ დაკავშირებით (the

<sup>684</sup> Protocol No. 15 amending the Convention on the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Strasbourg, 24.VI.2013.

<sup>685</sup> საქმისწარმოება სტრასბურგის სასამართლოსა და გაეროს კომიტეტებში, დამხმარე სახელმძღვანელო ადვოკატებისა და ოურისტებისთვის, განათლების ევროპული ცენტრი, 2021, 9.

<sup>686</sup> ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, მუხლი 13.

<sup>687</sup> იქვე, მუხლი 35.

<sup>688</sup> საქმისწარმოება სტრასბურგის სასამართლოსა და გაეროს კომიტეტებში, დამხმარე სახელმძღვანელო ადვოკატებისა და ოურისტებისთვის, განათლების ევროპული ცენტრი, 2021, 9-10.

---

margin of appreciation). მე-15 დამატებითი ოქმის ძალაში შესვლამდე, ამ პრინციპებით ოპერირებდა ევროპული სასამართლო მხოლოდ მის პრაქტიკაში<sup>689</sup>.

კონვენცია ადგენს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ორი სახის - სახელმწიფოთაშორისი და ინდივიდუალური საჩივრის მეტანის შესაძლებლობას. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ინდივიდუალური საჩივრით შეიძლება მიმართოს: ფიზიკურმა პირმა, არასამთავრობო ორგანიზაციამ ან ცალკეულ პირთა ჯგუფმა<sup>690</sup>. სასამართლოს შეუძლია მიიღოს საჩივარი ნებისმიერი ფიზიკური პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციის, ან ცალკეულ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან კონვენციის მონაწილე ერთ-ერთი სახელმწიფოს მიერ კონვენციით და/ან მისი ოქმებით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მსხვერპლნი, ან შეიძლება გახდნენ ასეთი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად, ყოველ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია სასამართლოში აღძრას საკითხი სხვა მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციისა და მისი ოქმების ნაგულები დარღვევის შესახებ<sup>691</sup>. უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებით კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის საფუძველზე შესაძლებელია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართოს.

რეგიონალურ დონეზე, ეთნიკური უმცირესობების დაცვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ჩარჩო კონვენცია „ეროვნული უმცირესობების დაცვის შესახებ“, რომელიც სპეციალიზირებული სამართლებრივი დოკუმენტია, სადაც გაწერილია ეთნიკური უმცირესობების სპეციალური უფლებები<sup>692</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ხშირად უთითებს და განმარტავს ჩარჩო კონვენციის დებულებებს თავის გადაწყვეტილებებში. ჩარჩო კონვენციის ქმედითობას ისიც უზრუნველყოფს, რომ მის შესრულებას ზედამხედველობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი. მინისტრთა კომიტეტი პერიოდული ანგარიშგებითა და რეკომენდაციებით ამოწმებს ჩარჩო კონვენციის სტანდარტების შესრულებას ეროვნულ დონეზე. ჩარჩო კონვენციასთან დაკავშირებით ფუნქციონირებს 18 ექსპერტისგან შემდგარი მრჩეველთა კომიტეტი, რომლებიც მოსაზრებებს იმუშავებენ სახელმწიფოების მისამართით. მრჩეველთა კომიტეტი ჩარჩო კონვენციის შესრულების მონიტორინგს ახორციელებს. კომიტეტი იღებს დასკვნებს და რეკომენდაციებს მინისტრთა კომიტეტისთვის. მრჩეველთა კომიტეტის მონიტორინგის ციკლი ყოველ 5 წელიწადში ერთხელ ტარდება და შემდეგ

---

<sup>689</sup> საქმისწარმოება სტრასბურგის სასამართლოსა და გაეროს კომიტეტებში, დამხმარე სახელმძღვანელო ადვოკატებისა და ოურისტებისთვის, განათლების ევროპული ცენტრი, 2021, 8-10.

<sup>690</sup> ევროპის საბჭოს 1950 წლის 4 ნოემბრის კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 34-ე მუხლი.

<sup>691</sup> იქვე, 33-ე მუხლი.

<sup>692</sup> ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია „ეროვნული უმცირესობათა დაცვის შესახებ“; 1.02.1995.

---

ეტაპებს მოიცავს: სახელმწიფოს მხრიდან ანგარიშების გაგზავნა და დადასტურება; კომიტეტის მიერ ჩატარებული მონიტორინგი; მინისტრთა კომიტეტის რეზოლუცია; დიალოგი მონიტორინგის შემდგომ შედეგებზე<sup>693</sup>.

ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი მექანიზმია რასიზმისა და შუუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისია (ECRI). 1993 წელს ვენის სამიტზე ევროპის საბჭომ მიიღო რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შუუწყნარებლობის სამოქმედო გეგმა, რომელიც 1997 წელს განამტკიცა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა<sup>694</sup>. 1997 წლიდან გაძლიერდა მისი ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის როლი. კომისია აანალიზებს წევრ სახელმწიფოებში არსებულ სიტუაციას და აყალიბებს ზოგადი ტიპის შენიშვნებს წევრი სახელმწიფოებისთვის. კომისიის მიერ სახელმწიფოების მონიტორინგი ვლინდება სახელმწიფოს მიერ წარდგენილი ანგარიშების განხილვაში და სახელმწიფოებისთვის ზოგადი ხასიათის რეკომენდაციების შემუშავებაში. კომისია აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და მათთან ერთად საკომუნიკაციო და საინფორმაციო აქტივობებს განსაზღვრავს. ECRI ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი არასასამართლო მექანიზმია<sup>695</sup>.

## 8.2. გაეროს სახელმწიფოებო ორგანოები

1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელმაც ადამიანის უფლებების ღირებულებითი სისტემა განსაზღვრა<sup>696</sup>. დეკლარაცია წარმოადგენს სისტემატიზირებულ დოკუმენტს, რომელმაც სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები ასახა. მოგვიანებით, 1966 წელს, ეს უფლებები განფენილ იქნა ორ პაქტში - საერთაშორისო პაქტში „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ და საერთაშორისო პაქტში „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“<sup>697</sup>. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მითითებულ ორ პაქტთან ერთად ქმნის ადამიანის უფლებების დაცვის მინიმალურ სტანდარტს, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ყველა სხვა რეგიონალური ადამიანის უფლებების დაცვის ინსტრუმენტი. შემდგომი, სხვადასხვა დროს, გაეროს ფარგლებში მიღებულ იქნა ცალკეული კონვენციები, რომელმაც თემატიურად მოაწესრიგა სხვადასხვა უფლებები.

---

<sup>693</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები, საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), თბილისი, 2014, 37-38.

<sup>694</sup> იქვე, 44.

<sup>695</sup> იქვე, 44.

<sup>696</sup> გაეროს 1948 წლის 10 დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

<sup>697</sup> გაეროს 1966 წლის საერთაშორისო პაქტები: „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ და „ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ“.



---

გაეროს სისტემაში არსებობს კვაზისასამართლო დაცვის მექანიზმები სახელმწიფოებო ორგანოების სახით, რომლებიც დაფუძნებულია გაეროს პაქტებისა და სხვადასხვა კონვენციების საფუძველზე. გაეროს სახელმწიფოებო ორგანოები განეკუთვნებიან დამოუკიდებელ ექსპერტთა კომიტეტებს, რომლებიც ზედამხედველობენ ხელშეკრული სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა ძირითადი ხელშეკრულებების შესრულებაზე. კომიტეტების შექმნის მიზანს სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებით ნაკისრი ვალდებულების იმპლემენტაციაზე მონიტორინგი წარმოადგენს.

კომიტეტების უმრავლესობა უფლებამოსილია განიხილოს ინდივიდუალური საჩივრები და აწარმოოს გამოძიება (მოკვლევა). გაეროს ფარგლებში მოქმედებს 10 სახელმწიფოებო ორგანო<sup>698</sup>.

კომიტეტების წევრები დამოუკიდებელი ექსპერტები არიან, რომლებიც მაღალი პროფესიული და მორალური თვისებებით ხასიათდებიან.

ეთნიკურ უმცირესობების საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა კომიტეტის მანდატი, რომელიც ოთხ ძირითად ფუნქციას ასრულებს: შეისწავლის სახელმწიფოთა მოხსენებებს პაქტის მოთხოვნათა შესრულებასთან დაკავშირებით; აყალიბებს საერთო წესის შენიშვნებს; განიხილავს მონაწილე სახელმწიფოთა საჩივრებს სხვა მონაწილე სახელმწიფოებზე ამ უკანასკნელთა მიერ პაქტის მოთხოვნათა დარღვევასთან დაკავშირებით; განიხილავს ცალკეულ პირთა საჩივრებს მონაწილე სახელმწიფოებზე<sup>699</sup>. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის დამატებითი ოქმის საფუძველზე, კომიტეტი განსახილველად იღებს ინდივიდუალურ შეტყობინებებს ცალკეული პირებისგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი პაქტში აღნიშნული რომელიმე უფლების დარღვევის მსხვერპლნი არიან<sup>700</sup>. ინდივიდუალური შეტყობინებების ფარგლებში, ადამიანის უფლებათა კომიტეტი იხილავს სახელმწიფოს მიერ უფლების დარღვევის ფაქტებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. კომიტეტის გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულოა, თუმცა, შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღსრულების მექანიზმი არ არის ისეთი ეფექტიანი, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემთხვევაში<sup>701</sup>. კომიტეტისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ევროპული

---

<sup>698</sup> ადამიანის უფლებათა კომიტეტი (CCPR); ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW); რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CERD); ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი (CESCR); კომიტეტი წამების წინააღმდეგ (CAT); წამების პრევენციის ექვეკომიტეტი (SPT); ზავშეშის უფლებათა კომიტეტი (CRC); • მიგრანტი მუშების დაცვის კომიტეტი (CMW); • შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი (CRPD); იძულებით გაუჭინარებულ პირთა კომიტეტი (CED).

<sup>699</sup> გაეროს 1966 წლის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტი.

<sup>700</sup> Optional Protocol to the International Covenant on Civil and Political Rights, 16 December 1966, General Assembly resolution 2200A (XXI).

<sup>701</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 69.

---

სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას ზედამხედველობს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი.

უმცირესობების უფლებების დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტი, რომელიც დაფუძნებულია გაეროს 1965 წლის კონვენციით რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ<sup>702</sup>. კომიტეტი შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისგან, რომლებიც მონიტორინგს უწევენ კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებში იმპლემენტაციას. ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია, კომიტეტს წარუდგინოს ანგარიშები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ. რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი სახელმწიფოზე მონიტორინგს სამი ფუნქციის მეშვეობით ახორციელებს. კომიტეტი იხილავს სახელმწიფოთაშორის განაცხადებს, ინდივიდუალურ საჩივრებს და ახორციელებს „ადრეული გაფრთხილების პროცედურას“. „ადრეული გაფრთხილების“ მექანიზმის ფარგლებში, კომიტეტი ყურადღებას უთმობს ისეთ სიტუაციებს, როდესაც რასობრივი დისკრიმინაცია ქვეყანაში საგანგებო ნიშნულამდე აღის<sup>703</sup>. ამ დროს კომიტეტი მიმართავს საგანგებო ღონისძიებებს კონვენციის სტანდარტების დარღვევის საპასუხოდ. „ადრეული გაფრთხილების“ მექანიზმი კონფლიქტების ესკალაციის პრევენციულ მექანიზმს წარმოადგენს სახელმწიფოში, ხოლო საგანგებო ზომა ეხმარება სასწრაფო ყურადღების მიქცევას კონვენციის სერიოზული დარღვევის პრევენციის ან მის მასშტაბის შემცირებასთან დაკავშირებით<sup>704</sup>.

### 8.3 უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR)

2006 წელს 60/251 მიღებული რეზოლუციით, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო ადამიანის უფლებების დაცვის ფართო მონიტორინგის მიზნით ახორციელებს უნივერსალურ პერიოდულ მიმოხილვას გაეროს წევრ 193 ქვეყანაში<sup>705</sup>. ადამიანის უფლებათა საბჭოს მონიტორინგს ექვემდებარება ეთნიკური უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა. ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულების შესრულება ყველა სახელმწიფოს ეკისრება, მიუხედავად იმისა, შეერთებულია თუ არა აქვთ თუ არა ესა თუ ის საერთაშორისო ინსტრუმენტს. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მექანიზმი თანამშრომლობაზე დაფუძნებული პრინციპებით ხელმძღვანელობას და ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფოებო ორგანოების შემავსებელი ფუნქცია

---

<sup>702</sup> გაეროს 1965 წლის კონვენცია „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

<sup>703</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 69.

<sup>704</sup> იქვე, 69.

<sup>705</sup> Resolution adopted by the General Assembly on 15 March 2006, 60/251. Human Rights Council.

---

გააჩნია<sup>706</sup>. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მექანიზმი შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოებს, განაცხადონ, რა ზომები გაატარეს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და რა გამოწვევებს ხედავენ სირთულეების აღმოსაფხვრელად. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მექანიზმი მთელს მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვის საუკეთესო პრაქტიკების გაზიარებას უწყობს ხელს<sup>707</sup>. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მიზანია მონიტორინგი გაუწიოს თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს; ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის გაუმჯობესებას; მოსთხოვოს სახელმწიფოებს, შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით<sup>708</sup>. უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა სამ სტადიად შეიძლება დაიყოს. პირველ ეტაპს მომხსენებელი სახელმწიფოს მიერ ანგარიშის წარდგენა და განხილვა წარმოადგენს; მეორე ეტაპი შემდეგ მოხსენებამდე მიღებული რეკომენდაციების აღსრულებაში ვლინდება; მესამე ეტაპზე სახელმწიფო წარადგენს ანგარიშს, რამდენად გაუმჯობესდა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტები<sup>709</sup>.

#### *8.4 უმცირესობის უფლებებზე სპეციალური მომხსენებელი*

უმცირესობების უფლებებზე სპეციალური მომხსენებლის მანდატი დაფუძნდა 2005 წელს. მის მანდატს განეკუთვნება ეროვნული ან ეთნიკური, რელიგიური და ლინგვისტური უმცირესობების შესახებ დეკლარაციის იმპლემენტაცია გაეროს წევრ ქვეყნებში მთავრობებთან და არასამთავრობო სექტორთან კონსულტაციებისა და თანამშრომლობის გზით. სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციების საფუძველზე, სპეციალური მომხსენებელი მთავრობების წინაშე აყენებს პრობლემურ საკითხებს უმცირესობების უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით. სპეციალური მომხსენებელი უფლებამოსილია მთავრობების მიმართ შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები მათი ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციის მიზნით<sup>710</sup>.

#### *8.5. უეთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისარი*

ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის მანდატი წარმოადგენს „ადრეულ ეტაპზე კონფლიქტის პრევენციის“ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელიც შეიმუშავებს

---

<sup>706</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები, საქართველოს რეფორმების ასოციაცია (GRASS), თბილისი, 2014, 5.

<sup>707</sup> იქვე, 5.

<sup>708</sup> იქვე, 5.

<sup>709</sup> იქვე, 5.

<sup>710</sup> ინფორმაცია უმცირესობის უფლებებზე სპეციალური მომხსენებლის მანდატის შესახებ ხელმისაწვდომია: <<https://www.ohchr.org/en/special-procedures/sr-minority-issues>> [ბოლოს ნანახია: 23.03.2022].

---

რეკომენდაციებს ეროვნულ ნიადაგზე კონფლიქტების პრევენციის მიზნით<sup>711</sup>. უმაღლესი კომისრის არასასამართლო მანდატი ითვალისწინებს მის მიერ რეკომენდაციების გაცემას და ეთნიკური უმცირესობების დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს აღგენს. ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სარეკომენდაციო ხასიათისაა და „რბილ სამართალს“ განეკუთვნება<sup>712</sup>. თუმცა, მიუხედავად ამისა, უმაღლესი კომისარი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, უმცირესობების დაცვის მდგომარეობა საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოვოს.

---

<sup>711</sup> ინფორმაცია ეუთოს ეროვნული უმცირესობების უმაღლესი კომისრის მანდატის შესახებ ხელმისაწვდომია: <<https://www.osce.org/hcnm>> [ბოლოს ნანახია: 23.03.2022].

<sup>712</sup> ეთნიკური უმცირესობების უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა, EMC, 2019, 71.

---

## IX. უმცირესობების უფლებების შიდასახელმწიფოებრივი დაცვის მექანიზმები

თანასწორობის უფლების დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმებს შორის აღსანიშნავია სასამართლო (საერთო სასამართლოები და საკონსტიტუციო სასამართლო) და არასასამართლო მექანიზმი (სახალხო დამცველი).

### 9.1 სახალხო დამცველის მექანიზმი

სახალხო დამცველის კონსტიტუციური ინსტიტუტი ადამიანის უფლებების დაცვის არასასამართლო მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ზედამხედველობს<sup>713</sup>.

ომბუდსმენი დამოუკიდებლად ამოწმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობას, ასევე მათი დარღვევის ფაქტებს, როგორც მიღებული განცხადებებისა და საჩივრების საფუძველზე, ისე საკუთარი ინიციატივით<sup>714</sup>. სწორედ პროაქტიული ქმედებების განხორციელების შესაძლებლობა განსაკუთრებულად ეფექტიანს ხდის ომბუდსმენის ინსტიტუტს და მას ადამიანის უფლებების დაცვის მეტ ბერკეტს ანიჭებს.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის თანახმად, სახალხო დამცველი დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე ზედამხედველი კონსტიტუციური ინსტიტუტი და ანტიდისკრიმინაციული მექანიზმია<sup>715</sup>. ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს საჯარო დაწესებულებებისა და თანამდებობის პირების, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების საქმიანობას, ავლენს პირდაპირი დისკრიმინაციისა და ირიბი დისკრიმინაციის ფაქტებს და ახორციელებს ღონისძიებებს დისკრიმინაციის შედეგების აღმოსაფხვრელად<sup>716</sup>. საქართველოს სახალხო დამცველი იხილავს მოქალაქეთა საჩივრებს დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებით. დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით, სახალხო დამცველი უფლებამოსილია ქმედების განხორციელების ან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოს, თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ უპასუხა მის რეკომენდაციას დისკრიმინაციასთან დაკავშირებით და

---

<sup>713</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 35. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>>

<sup>714</sup> ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ.“

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034?publication=27>>.

<sup>715</sup> საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მუხლი 6.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3>>

<sup>716</sup> ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მუხლი 3.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034?publication=27>>.

---

არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს<sup>717</sup>. სახალხო დამცველი დისკრიმინაციის საკითხებზე საერთაშორისო სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან თანამშრომლობს<sup>718</sup>. საქართველოს სახალხო დამცველი ანტიდისკრიმინაციულ უფლებამოსილებას მისი სტრუქტურული ერთეულის - თანასწორობის დეპარტამენტის მეშვეობით ახორციელებს, რომელიც ხელს უწყობს სახალხო დამცველს "დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებაში.

სახალხო დამცველის, როგორც ანტიდისკრიმინაციული მექანიზმის ეფექტიანობას ისიც განაპირობებს, რომ კანონმა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ ომბუდსმენის არა მხოლო რეაქტიული, არამედ პროაქტიული ფუნქციაც გაითვალისწინა. სახალხო დამცველის პროაქტიული ფუნქცია შესაბამისი მონაცემების ანალიზის საფუძველზე დისკრიმინაციის პრობლემის არსის ასახვაში გამოიხატება<sup>719</sup>. კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ სახალხო დამცველს, როგორც ანტიდისკრიმინაციულ მექანიზმს, ამ კუთხით ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების გატარებას ავალებს<sup>720</sup>.

2019 წელს, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონში და ორგანულ კანონში „სახალხო დამცველის შესახებ“ შეტანილ იქნა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელმაც გააძლიერა დისკრიმინაციასთან ბრძოლის ინსტიტუციური გარანტიები. კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებებით, გაძლიერდა სახალხო დამცველის ანტიდისკრიმინაციული მანდატი კერძო პირებთან მიმართებით.

სახალხო დამცველის შესახებ ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირები ვალდებული არიან, ომბუდსმენს სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტთან დაკავშირებით 10 დღის განმავლობაში მიაწოდონ ინფორმაცია<sup>721</sup>. კანონით კერძო პირებს ასევე დაეკისრათ ვალდებულება, სახალხო დამცველს 20 დღის განმავლობაში აცნობონ მათ მიმართ გაცემული რეკომენდაციის ან ზოგადი წინადადების განხილვის შედეგები<sup>722</sup>.

---

<sup>717</sup> იქვე, მუხლი 3.

<sup>718</sup> იქვე, მუხლი 3.

<sup>719</sup> ანტიდისკრიმინაციული კანონი: მიღწევები და გამოწვევები, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 17 ივნისი, 2014, <<https://www.transparency.ge/ge/blog/antidiskriminatsiuli-kanoni-mightsevebi-da-gamotsvevebi>> [ბოლოს ნანახია: 23.03.2022].

<sup>720</sup> იქვე, 1.

<sup>721</sup> ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მუხლი 18.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034?publication=27>

<sup>722</sup> იქვე, მუხლი 24.

---

2019 წელს შესული ცვლილებებით „სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულმა კანონმა შემოიღო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით საქართველოს სახალხო დამცველის გადაწყვეტილების აღსრულების მექანიზმი.

ორგანული კანონის თანახმად კერძო პირის მიერ მის მიმართ გამოტანილი რეკომენდაციის შეუსრულებლობის შეთხვევაში, ომბუდსმენი უფლებამოსილია სამოქალაქო საპროცესო კანონით განსაზღვრული პროცედურით რეკომენდაციის შესრულების მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს<sup>723</sup>.

გაზიარებულ უნდა იქნას მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ „კერძო პირებზე პროცედურული ვალდებულებების გავრცელებას არსებითი მნიშვნელობა აქვს თანასწორობის მექანიზმის ეფექტიანად ფუნქციონირებისთვის“<sup>724</sup>.

### 9.2. საერთო სასამართლოების მექანიზმი

თანასწორობის უფლების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს საერთო სასამართლოების სისტემა წარმოადგენს. დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებით სამართალწარმოება განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო პროცესის მე-7<sup>3</sup> კარით<sup>725</sup>.

2019 წელს, მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში და გაიზარდა დისკრიმინაციის საქმეზე სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის ვადა. სასამართლოსთვის მიმართვის 3 თვიანი ვადა გაიზარდა 1 წლამდე, რაც მტკიცებულებების მოძიებისა და კვალიფიციური სარჩელის შედგენისთვის ერთ-ერთი წინაპირობაა<sup>726</sup>.

### 9.3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო კონსტიტუციური კონტროლისა და კონსტიტუციური მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოა<sup>727</sup>. კონსტიტუციური კონტროლის არსი სახელმწიფო ხელისუფლების შეზღუდვასა და

---

<sup>723</sup> ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მუხლი 14<sup>1</sup>.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33034?publication=27>

<sup>724</sup> <https://socialjustice.org.ge/ka/products/koalitsia-tanastorobistvis-antidiskriminatsiul-kanonmdeblobashi-gankhortsielebul-tsvlilebebs-ekhmianebs>

<sup>725</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კარი მე-7<sup>3</sup>.

<<https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=149>>.

<sup>726</sup> „კოალიცია თანასწორობისთვის“ ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს ეხმიანება, <<https://socialjustice.org.ge/ka/products/koalitsia-tanastorobistvis-antidiskriminatsiul-kanonmdeblobashi-gankhortsielebul-tsvlilebebs-ekhmianebs>> [ბოლოს ნანახია: 12.04.2022].

<sup>727</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>>.

ადამიანის უფლებების დაცვაში მდგომარეობს. საკონსტიტუციო სასამართლოს უმთავრესი ფუნქცია ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაა. საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ უფლებამოსილებას პირის სარჩელის საფუძველზე ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით განხილვა წარმოადგენს<sup>728</sup>. ფიზიკური პირის, იურიდიული პირის ან სახალხო დამცველის სარჩელის საფუძველზე, საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს სარჩელს იმასთან დაკავშირებით, ხომ არ არღვევს კონკრეტული კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გარანტირებულ უფლებებს<sup>729</sup>. თუ საკონსტიტუციო სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება, მას ძალადაკარგულად გამოაცხადებს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება შესასრულებლად სავალდებულო ხასიათისაა.

ქართული კონსტიტუციური მოდელით, მოსარჩელები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართავენ ნორმატიული საკონსტიტუციო სარჩელით („normative constitutional complaint“), რაც მათ უფლებას აძლევთ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრონ მხოლოდ ნორმატიული აქტები<sup>730</sup>. საქართველოში არ მოქმედებს “რეალური” ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის („full constitutional complaint“) მოდელი, რაც მოსარჩელებს შესაძლებლობას მისცემდათ საჯარო ხელისუფლების სამივე შტოს აქტები, მათ შორის, საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებები გაესაჩივრებინათ<sup>731</sup>. „რეალური“ ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლებლობა ექნებოდა გადაესინჯა საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავთან მიმართებით. “რეალური” ინდივიდუალური საკონსტიტუციო სარჩელის პირობებში, გაცილებით უფრო ყოვლიმომცველი და ეფექტიანი იქნებოდა ადამიანის უფლებების დაცვა და ეროვნულ დონეზე შეიქმნებოდა ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტიანი შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმი და განიტვირთებოდა ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების გამოყენება საერთაშორისო დონეზე<sup>732</sup>.

<sup>728</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 60. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>>.

<sup>729</sup> საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“, მუხლი 39. <<https://matsne.gov.ge/document/view/32944?publication=29>>.

<sup>730</sup> ერქვანია თ., ნორმატიული საკონსტიტუციო სარჩელი როგორც კონკრეტული საკონსტიტუციო კონტროლის არასრულყოფილი ფორმა საქართველოში, 27 ოქტომბერ, 2014, <https://socialjustice.org.ge/ka/products/normatiuli-sakonstitutsio-sarcheli-rogoris-konkretuli-sakonstitutsio-kontrolis-arasulqofili-forma-sakartveloshi> <ბოლოს ნანახის: 12.04.2022>.

<sup>731</sup> იქვე, 1.

<sup>732</sup> იქვე, 1.